# სარბიელი

სპორტული გაზეთი | შაბათი 16 ივნისი 2001 №111 (1384) | ფასი 50 თეთრი


თბილისი. ეროვნული. 16 ივნისი. 18 საათი

**ვიტ ჯორჯია — რიდი**

# ავსტრიელთა თურქ-ტატარი დიდი გულით და მუქარით

საქართველოს ნაკრების ზედიზედ წაგებებით გასრულებულ საფეხბურთო სეზონს დღეს ინტერტოტოს თასის პირველი ეტაპის პირველი მატჩი განაახლებს.

იტალიელი ჯანი კარნევალის გაწვრთნილი თბილისის „ვიტ ჯორჯია" მასპინძლობს ავსტრიულ „რიდს", რომელიც ახალგაზრდული შემადგენლობით და ნატურალიზებული თურქის მუჰამედ ტაგიუნდუზის იმედად თბილისს გუშინ აწვია გუნდის მწვრთნელმა ალფრედ ტატარმა.

იხილეთ მესამე გვერდი



თბილისური „ვიტ ჯორჯიას" მეტოქე ავსტრიული „რიდი" სასტუმრო „ვერე პალასში" დაბინავდა



იხდის ის, ვინც იგებს: გაშიშვლდება კვირას რომაელი ფრანჩესკო ტოტი?

# ბობოლების ორი ბოლო: ბოლო-ბოლო...

## ხვალ იტალიას ჩემპიონი ეცოდინება, ესპანეთს ბარსელონა თუ ვალენსია

**იტალიიდან** ჩემპიონთა ლიგაში გამსვლელი ოთხივე გუნდი ცნობილია, მაგრამ უცნობია ჩემპიონის სახელი.

ესპანეთში პირიქითაა— ჩემპიონი უკვე ჰყავთ და ლიგაში გამსვლელს ელიან. ეს მოლოდინი ერთ რამედ ღირს, ერთგვარი მცირე ფინალია — „ბარსელონა" „ვალენსიას" წინააღმდეგ. აბა, როგორ ვთქვათ, რომელიმე მათგანი ლიგაში გასვლას არ იმსახურებსო და რაკი სხვაა ვარიანტი გამორიცხულია, ორივენი ერთად ლიგაში ვერ ეტევიან, ამათი ბრძოლის მოლოდინს განსაკუთრებული ფასი აქვს.

და იტალია? მიგიტოვებიათ ოდესმე ქალი? ყოველ შემთხვევაში, ვფიქრობთ, რომ საამისო ორმოცდაათი გზა არ გეცოდინებათ. მაშინ რაღა უნდა ვთქვათ სერია A-ზე, რომლის ფსკერზეც ისეთი სივიწროვეა, რომ სამი გუნდის გავარდნის 243 შესაძლო ვარიანტი არსებობს. გადამეტებული რიცხვია? მაშინ ცხრილს და კალენდარს ჩაუჯექით და თავად დათვალეთ.

არც ესპანელ მაჩანჩალებს აქვთ ყველაფერი ბოლომდე გარკვეული. მართალია, აქ ერთი გასავარდნის ვინაობაღა დარჩა გასარკვევი, მაგრამ იმდენი ვარიანტია... თუმცა უკაცრავად, ზუსტად მხოლოდ იტალიური ვარიანტების რაოდენობა ვიცით.

მოკლედ, ხვალ ევროპულ ბობოლა ჩემპიონატთაგან დარჩენილი ბოლო ორი — იტალიისა და ესპანეთის გასრულდება.

იხილეთ მეექვსე-მეშვიდე გვერდები

# მანახეთ მწვრთნელი!

## მიხეილ ყაველაშვილი შერისხული თაობის სახელით

*ახლა, როცა ქართულ ფეხბურთში ასეთი ვითარებაა, შერცხვენილი ეროვნული ნაკრები უმწვრთნელოდ დარჩა, ორიოდ დღის წინ კი ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის სხდომაზე ჯერაცართქმული, რამდენიმე სკანდალური ფრაზა გაისმა და მათ შორის ერთი-ორი ნაკრების ფეხბურთელების მისამართითაც, ერთი საფიქრალი გაგვიჩნდა — ნაკრების გამოცდილ წევრთაგან ინტერვიუ ვისთვის გვეთხოვა. საფიქრალიო, ვთქვით, მაგრამ მთლად სწორად არა. უმალ მიხეილ ყაველაშვილი გაგვახსენდა, გაგვახსენდა, რომ ის თბილისშია, ტაქტიანად, აზრიანად, ალალად მოსაუბრე მთქმელი კაცია.*

*თავიდანვე შევთანხმდით — არც ერთი სიტყვა კლუბზე, მის შესაძლო ტრანსფერზე, მხოლოდ ნაკრებზე, წარუმატებლობის მიზეზებსა და საშველზე.*



**— ნაკრები უმწვრთნელოდ დარჩა. შენი კომენტარი: უნდა წასულიყვნენ ძოძუაშვილი და ყიფიანი? შენ რას იზამდი მათ ადგილზე?**

— რა გითხრა, ძნელია მათ მდგომარეობაში ყოფნა. ერთმა თავად გამოთქვა ნაკრებიდან წასვლის სურვილი, მეორემ კი პირიქით, მწვრთნელად მარტო დარჩენა ისურვა. მე არ მივიყვანდი საქმეს აქამდე. როცა ნაკრების მწვრთნელი ხარ და შეატყობ, რომ მუშაობის საშუალებას არ გაძლევენ, ან საკეთებელს ვერ ან არ აკეთებ, საქმე კრახამდე და უფსკრულამდე არ უნდა მიიყვანო, ყველაფერი ადრევე უნდა თქვა. მე ძოძუაშვილის ნათქვამი დაგვიანებულად მეჩვენება. ახლა მნიშვნელობა არ აქვს, რა როგორ მოხდა, მთავარი შედეგია.

**— ის მართალია, რომ ძოძუაშვილს ნაკრებში მუშაობის საშუალება არ ჰქონდა?**

— ალალად გეტყვი, თავად ძოძუაშვილს ეს ჩემთვისაც უთქვამს რამდენჯერმე. მე ყოველთვის გაკვირვებული ვეკითხებოდი, ეგ რა სათქმელია, თქვენ ხომ მწვრთნელი ბრძანდებით-მეთქი. თვითონ ყოველთვის არიდებდა თავს ამ კითხვაზე პასუხს. იცი, მე ასე მესმის: თუ საქმე ისე არ კეთდება, როგორც გსურს, ეს ან მაშინვე უნდა თქვა, აღიარო და დააკონკრეტო, ვინ როგორ გიშლის ხელს, ან უნდა წახვიდე. გუნდში კი კეთდებოდა ის, რასაც ყიფიანი და ძოძუაშვილი ამბობდნენ. ჩემთვის ორივე მწვრთნელი იყო და მათ შორის რა ხდებოდა, ეს არ ვიცი.

**— ბევრჯერ ითქვა, ნაკრებში რაღაც უსიამოვნო ხდებაო. კონკრეტულად იტყვი, რა იყო, როგორ, რატომ? რისი ბრალია ასეთი შედეგი?**

— შევეცდები აგიხსნა. ყველაფრის თავი და თავი არცოდნაა, რაც უპირველესად მწვრთნელებზე ითქმის. მიუხედავად იმისა, რომ ყიფიანის და ძოძუაშვილის ხელში გავიზარდე „დინამოში" და აგერ უკვე რა ხანია მათი ხელმძღვანელობით მიწევს ნაკრებში თამაში, ამას საერთო ვითარებიდან გამომდინარე ვამბობ. დიახ, არცოდნაზე ვლაპარაკობ, თორემ რამდენი ყოფილა ისეთი შემთხვევა, ცუდი შედეგის გამო მწვრთნელები რომ გაუთავისუფლებიათ. აგერ, ტრაპატონი ამხელა მწვრთნელია და ის ამბობს, ყოველდღიურად რაღაც ახალს ვსწავლობო.

საქართველოს ნაკრების მწვრთნელებმა არ იცოდნენ რა, რატომ, როგორ უნდა ყოფილიყო, რა სურდათ და ფეხბურთელებს, აბა, რაღა მოგვეთხოვებოდა?! ფსიქოლოგიურ განწყობაზე, მეტოქის შესწავლაზე, ტაქტიკაზე, მომზადებაზე, ფეხბურთელთა შერჩევაზე, მოკლედ, ყველაფერ იმაზე ვამბობ, რაც მწვრთნელის ყოველდღიური საქმეა.

იხილეთ მეორე გვერდი

# არცოდნა ცოდვაა! მიხეილ ყაველაშვილი: მანახეთ მწვრთნელი!

იხილეთ პირველი გვერდი

**— კი, მაგრამ, მწვრთნელები სხვას ამბობენ. ყიფიანმა ისიც განაცხადა, საქართველოს ნაკრების ამ თაობასთან მე საქმე აღარ მაქვს, ამ თაობამ ფეხბურთი დაამთავრაო.**

— ჯერ ის ვთქვათ, ნაკრების ეს თაობა რომელი ფეხბურთელები არიან. ქეცბაია 33 წლისაა, შემდეგ მე, ჯამარაული, ნემსაძე მოვდივართ, არველაძეები, ქინქლაძე 28 წლისანი არიან, კალაძე, კობიაშვილი, იაშვილი, გახოკიძე, რეხვიაშვილი ამათზე ორი სამი წლით უმცროსები. საშუალოდ 24-25 წელი გამოდის. ეს კი ის ასაკია, როცა ფეხბურთელი ნაკრებში სრულფასოვან თამაშს უნდა იწყებდეს. როგორ შეიძლება ამ თაობამ ფეხბურთი დაამთავროს? ეს აბსურდია. ამ ბიჭების ნაკრებში თამაშის შესაძლებლობები არც არავის განუსაზღვრია და არც არავის უსწავლებია, ნაკრებში როგორ ითამაშონ. თითქმის ყველა თავისი გუნდის ერთ-ერთი ლიდერია. ნაკრებში კი... მოდი, ალალად ვთქვათ, საქართველოს ნაკრებს იმ დონის მწვრთნელი არ ჰყოლია, რომ ჩვენ რაიმე წარმატებისთვის მიგველწია. ვინ ყოფილა ისეთი მწვრთნელი, ნაკრებში მუშაობამდე რაიმე სერიოზული შედეგი ჰქონოდა? საქართველოს ჩემპიონატს არ ვგულისხმობ. ერთი ის იყო, ძოძუაშვილმა რომ ლატვიას ნორვეგიასთან მოაგებინა. საქართველოს ჩემპიონატით მწვრთნელთა დონის განსაზღვრა არ შეიძლება. აგერ, ხომ ხედავთ, ევროტურნირებზე როგორც თამაშობენ ქართული გუნდები. ყოველწლიურად მათი მონაწილეობა კრახით მთავრდება. ძოძუაშვილი და ყიფიანი აქ საუკეთესონი მართლაც არიან, მაგრამ ევროპული დონე სულ სხვაა.

როცა ნაკრების მწვრთნელობაზე თანხმდები, ხომ უნდა იცოდე, რომელ ფეხბურთელებთან გექნება საქმე? და თუ იცი, რომ ეს ფეხბურთელები არ გამოგადგებიან, რატომღა თანხმდები მწვრთნელობას? არადა, აქამდე მწვრთნელები საპირისპიროს ამბობდნენ, ჩვენი სჯეროდათ, არ იყო ასე? ნაკრების მწვრთნელი ის უნდა იყოს, ვისაც ფეხბურთელების სჯერა და ამ ფეხბურთელებთან ერთად კარგი შედეგის. მწვრთნელის მოვალეობა ფეხბურთელის შესაბამისად მომზადებაა, უნდა ასწავლოს, უნდა აუხსნას, რას მოითხოვს მისგან. ფეხბურთელს უნდა შეაგნებინო, რა გსურს. კლუბებში ჩვენი ნაკრების ყველა წევრმა იცის, რა მოეთხოვება. ჩინებულადაა მომზადებული და ჩინებულადვე თამაშობს. იცის, რა გააკეთოს. ნაკრებში კი საპირისპირო ხდება. მიზეზი რა არის?

**— სწორედ ეგ მაინტერესებს?**

— მწვრთნელი. მწვრთნელმა ყველაფერი უნდა გააკეთოს, რათა ფეხბურთელმა, რაც იცის, ყველაფერი გამოამჟღავნოს. ნაკრებს როცა იბარებ ფეხბურთელს, უნდა შთააგონო, რომ მაქსიმალურად დაიხარჯოს. ერთი წუთი რომ ითამაშოს, იმ ერთ წუთშიც თავი უნდა დადოს. ამას იმიტომ ვლაპარაკობ, რომ ევროპაში ამას ვხედავ. ევროპის ჩემპიონატის ფინალი გაიხსენეთ, როგორ მოუგო საფრანგეთმა იტალიას, შემცვლელებმა გადაწყვიტეს შეხვედრის ბედი. ეს მწვრთნელის დამსახურებაა.

**— მწვრთნელები ამბობდნენ, ფეხბურთელებს ერთს ვეუბნებით და მეორეს აკეთებენო.**

— ჩვენი ბრალიც არის, სათქმელი აქამდე უნდა გვეთქვა, ნაკრების მწვრთნელებთან უფრო ხშირი კონტაქტი უნდა გვქონოდა და მათთან ყველაფერზე გველაპარაკა. იცი, რა არ მესმის? როგორ შეიძლება, ფეხბურთელი გჭირდებოდეს და გაანაწყენებული გყავდეს. ის უნდა გამოიძახო, ვინც ნათქვამს შეასრულებს, სწორად ითამაშებს და არა ხალხის მოთხოვნით. აი ასე უნდა იყოს საქმე. სამწუხაროდ, ჩვენს ნაკრებში ასე არ ყოფილა.

**— სიტყვამ მოიტანა. ჯამარაულ-იაშვილის საქციელს როგორ შეაფასებ? ადრე ნაკრებში თამაშზე შენც გითქვამს უარი.**

— ნაწილობრივ უკვე გითხარი ამის მიზეზი. როცა ფეხბურთელი ნაკრების შეკრებაზე ჩამოდის, უყურადღებობა არ უნდა აგრძნობინო. ეს ნაკრებია, რჩეული ფეხბურთელები. ხომ ასეა?



მიშა ახალაშვილის ფოტო

პაოლო მალდინი და მიხეილ ყაველაშვილი

— ასეა.

— ჰოდა, ყველა ერთი უნდა იყოს. როცა ფეხბურთელი გრძნობს, რომ მწვრთნელს არ სჭირდება, მოვალეობის მოხდის მიზნით ნაკრებში რატომ უნდა ჩამოვიდეს. იცის, გუნდს ვერაფრით დაეხმარება. ეს ჩემი აზრია და ძირითად შემადგენლობაში ჯამარაულისა და იაშვილის თამაშზე საერთოდ არ ვლაპარაკობ, შექმნილ სიტუაციაზე ვამბობ და არა ერთ კონკრეტულ მატჩზე.

**—უნგრეთში რა მოხდა? მართალია, ძოძუაშვილი იქიდან გამორბოდა, შემადგენლობის დაყენების საშუალება არ მაქვსო?**

— არ ვიცი. გუნდს შემადგენლობა ერთად გამოგვიცხადეს და სათამაშო პოზიციები გაგვინაწილეს. ორივე გველაპარაკებოდა.

**— როცა ტაქტიკაზე გელაპარაკებოდნენ, ყველაფერს გასაგებად გიხსნიდნენ?**

— მთავარ პრობლემასაც მივადექით, უშუალოდ ფეხბურთს. ბოდიში, მაგრამ ამისგან მასმედიაც შორს არის, თუმცა თქვენზე რას ვამბობ, როცა მწვრთნელები უფრო შორს არიან. გეუბნები ყველაფერს და უნდა დაწერო.

**— რა თქმა უნდა. მასმედია შორს რატომაა ფეხბურთისგან?**

— მთლად პირდაპირ ნუ გაიგებ. თამაშის გარჩევები გაქვთ არაპროფესიული. ნახეთ, სხვა ქვეყნებში როგორ არის.

**— სხვაგან ფეხბურთიც არის.**

— კი, მაგრამ, მაინც: თქვენ უნდა შეაფასოთ ფეხბურთელის შესაძლებლობები, ტაქტიკა, თქვენ წაგებას ხანდახან აბრალებთ იმას, ვისაც არ უნდა დააბრალოთ, ჰქმნით პრობლემას, რომელიც არ არის, თუმცა... დავიწყოთ ლიტვაში თამაშით. ლიტვასთან ვითამაშეთ დაცვითი ფეხბურთი, კონტრშეტევებზე. გავიტანეთ პირველი გოლი და საქმეც კარგად გაკეთდა. ჩავედით იტალიაში და ზუსტად ისეთივე ტაქტიკით ვითამაშეთ, როგორითაც ლიტვასთან. პირველ ტაიმში თანაბარი თამაში იყო, შეგვეძლო კიდეც გოლის გატანა. ვერაფერს იტყვი, მწვრთნელებს პასუხს ვერ მოსთხოვ, რომ შესვენებაზე ისევე გვთხოვეს თამაშის გაგრძელება, როგორც პირველ ტაიმში, მაგრამ იტალიამ გოლი მეორე ტაიმის პირველსავე წუთზე გაგვიტანა. ხომ უნდა შეცვლილიყო გუნდის თამაში? წაგებაცაა და წაგებაც? არა, წაგება წაგებაა. 0:1-ზე ჩვენი ტაქტიკა არ შეცვლილა. აგებ, გინდ იტალია იყოს, გინდ ნებისმიერი გუნდი და უნდა შეუტიო. კი, შესაძლოა, მწვრთნელები იმის მოლოდინში იყვნენ, რომ ერთ კონტრშეტევაზე დავიჭერდით იტალიელებს და ანგარიშს გავუთანაბრებდით, გვქონდა კიდეც ერთიორჯერ ამისი შანსი, მაგრამ, ლოგიკურად მწვრთნელებს თავდასხმა უნდა გაეძლიერებინათ, ტაქტიკა შეეცვალათ. მერე რა, რომ იტალიაა? თუ შენ უკეთესად ფიქრობ, ყველა გუნდისთვის შეიძლება გოლის გატანა. აქ არ იყო იტალია, მწვრთნელებმა რომ გარისკეს, ერთი, მერე მეორე თავდამსხმელი შემოიყვანეს მოედანზე, ზედ შემტევი ნახევარმცველი დაამატეს და გოლიც გავიტანეთ და სამიოთხი ნაღდი მომენტი ვერ გამოვიყენეთ?! როცა აგებ, უნდა გარისკო. რატომ უნდა შეეგუო წაგებას, როცა პირველად გოლს შენ გაუშვებ? სხვა საქმეა, კონტინგენტი თუ არ გყავს და სკამზე თავდამსხმელი არ ზის, მაგრამ როცა სამი ფორვარდი გყავს სათადარიგოდ და აგებ, არ უნდა ათამაშო? პრობლემაც ეგაა, რომ სულ ერთი ტაქტიკით თამაშობ და თამაშის მიმდინარეობისას ტაქტიკას ისე ვერ ცვლი, რომ მოიგო. იტალიასთან სწორედ ამიტომ წავაგეთ.

ყველაფერ ამას კი ცოდნა უნდა, ამხანაგური მატჩებისას ნაირ-ნაირი ტაქტიკის დამუშავება და არა სულ ერთნაირად თამაში.

**— მივედით რუმინეთთან მატჩამდე. მწვრთნელებმა, როგორც ამბობენ, გარისკეს და წააგეთ.**

— ჯერ იმას დავამთავრებ, რაც უნდა მეთქვა. იტალიასთან, ანკონაში, რაც ყიფიანმა და ძოძუაშვილმა გააკეთეს, ეს იყო მათი მაქსიმუმი, მაგრამ ამის ზემოთაც ხომ არის რაღაც?

ახლა რუმინეთი. დიდი აჟიოტაჟი მატჩამდე. ტაქტიკურად იგივე ფეხბურთი ვითამაშეთ. ასე დაგვარიგეს, მეტოქემ რომ არ დაგვიჭიროს კონტრშეტევაზე, მოდი, ჩვენ დავიჭიროთო. ჩვენ ტაქტიკურად წავაგეთ. ყოველთვის ერთი ტაქტიკით ვერ მოიგებ. ამხანაგური მატჩები ვახსენე, მაშინ რომ ჩვენ რაიმე ახალი ტაქტიკა დაგვემუშავებინა, ორი, სამი თავდამსხმელით გვეთამაშა, რუმინეთსაც დავამარცხებდით, მაგრამ ჩვენ არ ვიცოდით, როგორ მოგვეგო. კი, გადავკეტეთ ზონები და რუმინელთა განაპირა მცველ-ჰავბეკს სივრცე შევუზღუდეთ, მაგრამ მერე? არასწორი შეცვლები და წავაგეთ. შეცვლას კი ტაქტიკური გადაადგილება არ მოჰყოლია, ესე იგი, რისკიც არ იყო. მე რომ შემცვალეს და თავდამსხმელი ჯანაშია ათამაშეს, შოთა არველაძე ჩემს ადგილას გადაიყვანე. ასე რომ, ისევ ერთი თავდამსხმელით გაგრძელდა თამაში. მერე ქეცბაიაც მოხსნეს მეორე ფლანგიდან. აი, ეს იყო წაგების მიზეზი. არასწორი შეცვლები და მოგების არცოდნა. მწვრთნელები კი ამბობდნენ, რუმინეთი ჩვენზე ძლიერი გუნდიაო. მე, პირადად, მათი სიძლიერე ვერ დავინახე. არასწორი შეცვლებით წავაგეთ.

**— ჯანაშია ხალხის მოთხოვნით ვათამაშეთო.**

— ძოძუაშვილს ასეთი რამ არ უნდა ეთქვა. სასაცილოა, როგორ შეიძლება ფეხბურთელი ხალხის მოთხოვნით ათამაშო. ეს გაუმართლებელია.

**— უნგრეთი რუმინეთზე სუსტი გუნდი იყო.**

— გეთანხმები.

**— იქ რა მოხდა?**

— ახლა რომ ვიხსენებ, თამაშის წინა დღეებს, მგონია, რომ მოსაგები განწყობა არ გვქონდა. ესეც მწვრთნელების საქმეა, ფეხბურთელი ფსიქოლოგიურად უნდა განეწყოს. სლოვენიის ნაკრების მწვრთნელ სრეჩკო კატანეცს უთქვამს — ფეხბურთელებისთვის რომ შთამეგონებინა, ძლიერები იყვნენ და ყველა გუნდის დამარცხება შეეძლოთ, ამისათვის ძალიან დიდი დრო დამჭირდაო. ჩვენთან, ერთად-ერთ ბოსკამპს თუ არ ჩავთვლით, ასეთი არასდროს მომხდარა. პირველ გოლს გავუშვებთ თუ არა, არიქა, ქვეყანა დაიქცა, დავიღუპეთო, ასეა საქმე. ჩვენ არც ფსიქოლოგიურად ვართ მზად. ეს კი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია სწორი ფეხბურთის სათამაშოდ.

**— მიშა, რამდენადაც ვიცი, მწვრთნელობას აპირებ.**

— ეს ჯერ გადაჭრით მეც არ ვიცი. ამ ბოლო დროს მწვრთნელობაზე კი ვფიქრობ, მაგრამ გადაწყვეტილი არ მაქვს. ჯერ საამისაოდ ბევრი უნდა ვისწავლო.

**— იდეალურ მწვრთნელად ვინ მიგაჩნია?**

— კაპელო. საოცარია, სადაც მუშაობს, ის გუნდი ყოველთვის ჩემპიონი ხდება. „მილანი" აიღეთ, „რეალი", ახლა „რომა". აი, ეს არის მწვრთნელი, ფეხბურთელს მაქსიმუმს აკეთებინებს, ბოლომდე წურავს. აგერ შედეგიც.

**— საქართველოს ნაკრების ფეხბურთელები თამაშისას მაქსიმუმს აკეთებთ?**

— არა, ამას როგორ ვიტყვი, ეგ კი არა... გულით ვთამაშობთ, თითქოს ყველაფერს ვაკეთებთ, მაგრამ როცა ირგვლივ ამდენი პრობლემა და საფიქრალია, იფიქრები, მონდომებული ხარ, მაგრამ გრძნობ, რაც შეგიძლია, ვერ აკეთებ.

**— წელან მასმედია ახსენე. უფრო კონკრეტულად თქვი. რუმინეთთან მატჩის წინ დიდი აჟიოტაჟი იყოო, ესეც ახსენე. არ უნდა მოგვეთხოვა მოგება?**

— მოგება როგორ არ უნდა მოგეთხოვათ. აბა, ფეხბურთელს სხვა რა უნდა მოსთხოვო, წაგება? ამას არ ვამბობ. აი თამაშს როგორ არჩევთ, ეგაა საქმეში და ამაზე უკვე გითხარი. ჟურნალისტი საქმე პროფესიონალი უნდა იყოს, სწორი ანალიზისა და შეფასების უნარი ჰქონდეს.

როცა გუნდს ტაქტიკა არ აქვს, როცა გუნდი ვერ თამაშობს, რაღ უნდა ლაპარაკი, რომ ეს მწვრთნელის ბრალია. როცა მწვრთნელები ვერ ასრულებენ თავიანთ საქმეს, ფედერაციამ ისინი უნდა შეცვალოს, ყველამ თავისი საქმე აკეთოს. ყველამ თავისი წილი პასუხისმგებლობა იკისროს.

**— უცხოელი მწვრთნელი უშველის საქართველოს ნაკრებს?**

— ბოსკამპი უნდა გავიხსენო. კარგად მახსოვს, ჟურნალისტები ფეხბურთელებს რომ ბოსკამპის თაობაზე რომ ეკითხებოდით, თითქმის ყველა გპასუხობდათ, მან ბევრი რამ გვასწავლა, მის ხელში აშკარა პროგრესს ვგრძნობო. მერე თქვენ შექმენით საზოგადოებრივი აზრი, ეს ფედერაციამაც გაითვალისწინა და ბოსკამპიც წავიდა. არადა, ფედერაცია რომ კარგად დაფიქრებულიყო, ბოსკამპს არ გაუშვებდა. ის რომ პირველ ვარჯიშს ატარებდა, თვალები გადმოყრაზე ჰქონდა, ამდენი ნიჭიერი ერთად არსად მინახავსო. იგივე სხვა უცხოელთაგანაც მსმენია.

ახლა კი ისევ ატყდება ერთი ამბავი, მხოლოდ უცხოელი თუ გვიშველისო. ჩამოვიდეს, ბატონო, ოღონდ ერთი ხელის მოსმით და წაგებით უკანვე ნუ გავუშვებთ. ყველაფერი ავწონ-დავწონოთ, ვნახოთ, ვინ არის, რა შეუძლია, რა გაუკეთებია. ისე ნუ ვიზამთ, ჯერ ცაში ავიყვანოთ, მერე დავასამართოთ. მენტალიტეტი კი არაფერ შუაშია, აგერ მორაგბეთა ფრანგი მწვრთნელი მთლად ქართულად აზროვნებს, თუ მორაგბეები ფრანგულად?

**— მიშა, არ გეთანხმები. „სარბიელს" არასდროს მოუთხოვია, ბოსკამპს ნაკრები დაეტოვებინა. საპირისპირო სურვილი კი გვქონდა.**

— იმაში ხომ მეთანხმები, რომ უმრავლესობის აზრი ასეთი იყო?

**— ამაში გეთანხმები. რა უშველის ნაკრებს?**

— რაც ზემოთ ვთქვი, ის თუ გამოსწორდება. რა თქმა უნდა, ჩემი აზრით.

**— დაბოლოს. ყაველაშვილს ელაპარაკებოდე და მის მიერ ისეთ გამოუყენებელ მომენტებზე არ ჰკითხო, ასპროცენტიანები რომ ერთქმის, არ შეიძლება. მხოლოდ იტალიასთან თბილისში მატჩისას ორი ნაღდი მომენტი გაცუდდა. იღბალი?**

— არა, ამას ვერ ვიტყვი. იმ ეპიზოდში, მაგალითად, როცა ნესტას თავზე გადავუგდე ბურთი და მეკარესთან პირისპირ დავრჩი, ტერფი ვერ დავჭიმე ბოლომდე, ამიტომაც ავაცილე. დავინახე, მალდინი მოჰქროდა ჩემსკენ და უნდა დამერტყა. დავინახე კარის ის ნაწილიც ბურთი საითაც უნდა გამეშვა, მაგრამ ტერფის ვერგაჭიმვის გამო ავაცილე ბურთი კარს. ამას ცოტა ფიზიკურ ნაკლსაც ვაბრალებ, ფეხის მოტეხვის მერე ტერფს ბოლომდე ვერ ვშლი, ამიტომაც ვერ დავაფარე ბურთს ფეხი ისე, როგორც საჭირო იყო. კი, ძალიან, ხშირად მექმნება ნაღდი საგოლე მომენტები, მაგრამ... ეტყობა, ჩემს თავს რაღაცას ვაკლებ, ფაქტია, რომ ვაკლებ. თუმცა, ხომ გამაქვს კიდეც?

**ძოგა ინასარიძე**




გიო ახვლედიანის

## ვიქნებით ტკბილად

ნაკრები კვლავ უმწვრთნელოდაა და როგორც ამბობენ, ლაპარაკი მიდის უცხოელზე.

თუმცა, ქართველ მწვრთნელებშიც გამოიძებნება ორი-სამი ისეთი სპეციალისტი, ვინც, რომ დანიშნო, ამ თანამდებობაზე წამსვლელია. წავა და ბევრი არც არაფერი შეიცვლება, ვინაიდან, ყველა ქართველი მწვრთნელი, ასე თუ ისე რომ შეეძლო ნაკრების გაწვრთნა, უკვე იყო ამ თანამდებობაზე. ორი მწვრთნელის ამბავმა ის მოიტანა, რაც მოსალოდნელი იყო — ერთმა თქვა, მე ისე მერქვა მწვრთნელიო, თორემ ბოლო სამი თამაში არ ვყოფილვარო. ორი მთავარი მწვრთნელიდან, ერთი გამოდგა მთავარიო. ის ერთი გადადგა კიდეც, მშვიდად და ხმაურის გარეშე. მეორემ კი, მოითხოვა, ახლა მეც ვიქნები მწვრთნელი, რადგან სინამდვილეში მწვრთნელობა არ გამიწევია, რადგან პირველმა მითხრა, რომ ცხოვრებაში უფროსი არ მყოლიაო. პირველმა მთავარმა მწვრთნელმა სრულად დაუჭირა მხარი, მეორეს — ეს კაცი მართალია, წაგებებზე პასუხისმგებლობას მე ვიღებ, მას კი შანსი უნდა მიეცესო.

ფეხბურთის ფედერაციამ ეს ლაპარაკები ყურად არ იღო და ნაკრების მწვრთნელის მეორე სკამიც გაათავისუფლა.

ახლა ლაპარაკი წავიდა უცხოელზე, რაც, ზოგადად მისასალმებელი ფაქტია.

ოღონდ უცხოელიც იმგვარია საჭირო, რომ კარგად გავარკვიოთ რამდენიმე საკითხში. კერძოდ, ვინ, რატომ და რა პოზიციაზე უნდა ითამაშოს ნაკრებში. ვის უნდა გაუცინოს და ვის უნდა დაუბღვიროს. ვინ რომელ წუთზე უნდა შეცვალოს და ვისი დებიუტი როდის უნდა შედგეს. დებიუტის საკითხი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია — უცხოელი კარგად ვერ გაერკვევა ჩვენს საფეხბურთო მეურნეობაში და კერძოდ რომელი ახალბედაა სათამაშებელი, ჩვენ უნდა მივუთითოთ. ასევე უნდა ავუხსნათ, რომ ამ თაობამ არ გაამართლა (ბოლო დღეებში გავრცელებული აზრია), მაგრამ ხალხი ყოველ თამაშზე უნდა დავარწმუნოთ, რომ არ გაამართლა და ამიტომ უნდა ვათამაშოთ და ვათამაშოთ, რათა ყველა კარგად დარწმუნდეს, თვითონაც და ჩვენც. სხვაგვარად საქართველოს ნაკრები საქართველოს ნაკრები აღარ იქნება და ეგებ მოიგოს კიდეც, თუ რა თქმა უნდა, ეს უცხოელი გადაწყვეტს, რომ ხანდახან, ზრდილობის გულისთვის მაინც შეიძლება ორი თავდამსხმელით თამაში იმ გუნდისთვის, რომელსაც ძალიან უჭირს გოლის გატანა ისეთ თამაშში, რომელიც რაღაცას წყვეტს.

ამიტომ ეს უცხოელიც ჩვენებური გვჭირდება, რათა თავი არ აგვტკივდეს.

ეს ხუმრობით, რა თქმა უნდა, თორემ ისე, ორი უცხოელის მოყვანაც შეიძლება, ვთქვათ, ერთი ვანდერლეი ლუქსემბურგო იყოს, მეორე როლან კურბისის ვაჟი (სახელი აღარ მახსოვს). ვიქნებით ტკბილად.

თუმცა, თაობამ არ გაამართლა თუ ზოგადად საფეხბურთო მეურნეობამ, ველარ გავიგე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სტუმართა სამზადისი

„რიდის" მთავარი მწვრთნელი 37 წლის **ალფრედ ტატარი** გახლავთ. იგი გუნდის თავკაცად ხუთი თვის წინ დაინიშნა. მანამდე მეორე მწვრთნელად მუშაობდა გუნდში. მწვრთნელობის 7-წლიანი გამოცდილება აქვს და „რიდამდე" ავსტრიის მეორე დივიზიონის „სენტ პოლტენს" წვრთნიდა.

ტატარი გულღია კაცია, ინტერვიუზეც სიამოვნებით დაგვთანხმდა.

**— რას წარმოადგენს დღევანდელი „რიდი"?**

— „შტურმის" და „რაპიდის" დონეზე არ ვართ, მაგრამ ავსტრიაში ჩვენი სიტყვა გვეთქმის. წლეულს მეშვიდე ადგილზე გავედით, რამაც ინტერტოტოს თასზე თამაშის საშუალება მოგვცა. ახალგაზრდული გუნდი გვყას, საშუალო ასაკი 23 წელია. თუ ეს ბირთვი შევინარჩუნეთ, სამერმისოდ უფრო მოვუმატებთ, თუმცა ბიუჯეტი ბევრის საშუალებას არ გვაძლევს.

**— თუ საიდუმლო არ არის, რამდენია თქვენი კლუბის ბიუჯეტი?**

— სამი მილიონი მარკა მაშინ, როდესაც „შტურმს" ოთხი ამდენი აქვს. ამიტომაცაა ჩემპიონთა ლიგის ხშირი ბინადარი. ისე, მოსახლეობით 13-ათასიანი რიდისთვის ასეთი შეძლების გუნდიც არ არის ურიგო.

**— სეზონის ბოლოს ვინმემ თუ დატოვა „რიდი"...**

— რას ამბობთ, ერთბაშად რვა კაცი წავიდა. მართალია, ხუთი დავიმატეთ, მაგრამ ძირითადად გამოუცდელები.

**— თბილისში სრული შემადგენლობით ჩამოხვედით?**

— სამი ფეხბურთელი გვაკლია, მათ სამხედრო სავალდებულო სამსახური ჰქონდათ მოსახდელი.

**— ყველაზე უფრო ვისი გეიმედებათ?**

— მუჰამედ აკგიუნდუზის. ავსტრიაში დაბადებულ-გაზრდილი თურქია. მაღალ დონეზე თამაშის პერსპექტივა აქვს.

**— ინტერტოტოს გათამაშება დანარჩენ ევროტურნირებთან შედარებით არაპრესტიჟულია და ბევრ გუნდს მასში მონაწილეობა დიდად არც ეპიტნავება. თქვენ შემთხვევაში როგორაა საქმე?**

— ცუდი წარმოდგენა რომ მქონდეს ამ ტურნირზე, დღეს თბილისში არ ვიქნებოდი.

**— ქართულ ფეხბურთზე რა გსმენიათ?**

— ბევრი კარგი რამ. ვიცი, რომ ევროპის არაერთ ძლიერ კლუბში თამაშობენ თქვენებურები. ქართველები ტექნიკურები არიან, ეს ფაქტორი კი არცთუ უმნიშვნელო როლს ასრულებს ფეხბურთში.

**— „ვიტ ჯორჯიაზე" რამე თუ იცით?**

— სამწუხაროდ, არაფერი. ბევრი ვიწვალეთ, მაგრამ ამ კლუბის ვებ-გვერდს ვერ მივაგენით ინტერნეტში, ალბათ, არცა აქვთ.

ალფრედ ტატარს „ვიტ ჯორჯიას" საინტერნეტო მისამართი რომ გადავეცი, მერელა მითხრა, თბილისში მოგების დიდი იმედი არ მაქვს, აქ ერთობ ცხელა და ბევრი სირბილი გადაგვლლის, თუმც გარწმუნებთ, ორი მატჩის ჯამში გამარჯვებულნი ჩვენ დავრჩებითო.

ისე, საკვირველიც კია, ეს კაცი სიცხეზე რომ წუწუნებს. განა თვითონვე არ თქვა უარი „ვიტ ჯორჯიას" ხელმძღვანელთა შეთავაზებულ წინადადებაზე — მატჩი საღამოს 8 საათზე დაწყებულიყო.

სალამოს ექვსი საათი იყო, როცა სასტუმრო „ვერე პალასთან" ავტობუსი გაჩერდა. რუხ შარვალ-კოსტიუმებში გამოწყობილმა „რიდის" ფეხბურთელებმა და მოკრძალებულმა დელეგაციამ ორიოდ წუთში ტრანსპორტი გაათავისუფლეს. იქვე შეკრებილმა ცნობისმოყვარე ბავშვებმა თარჯიმანს გამოჰკითხეს მათი ვინაობა და რიდელებს ავტოგრაფებიც ჩამოართვეს, რასაც ავსტრიელები ხალისით აკეთებდნენ. თბილისური ჰაერის ჩასუნთქვის შემდეგ ცნობისმოყვარე თვალით მოათვალიერეს იქაურობა, ხოლო რამდენიმე მათგანმა ტელეფონი მოიმარჯვა, ალბათ ნაცნობ-ახლობლებს გაუზიარეს პირველი შთაბეჭდილება. ერთი-ორჯერ ფოტოაპარატმაც გაიჩხაკუნა, ფეხბურთელებმა ჩანთები აიღეს და სტუმრებმა ნელ-ნელა ფოიეში გადაინაცვლეს. როგორც კი ავსტრიელებმა ბარგის შეტანა დაასრულეს, ჩვენც შენობაში შევყევით. ჩანთები იქვე დაელაგებინათ და დაბინავებას ელოდნენ. ვისარგებლეთ ოდნავი არეულობით და სახელდახელოდ გავესაუბრეთ მთავარ მწვთრნელსა და ერთ-ერთ ფეხბურთელს.

# ავსტრიელთა თურქ-ტატარი დიდ გულით და მუქარით

თბილისი. ეროვნული. 16 ივნისი. 18 საათი

## ვიტ ჯორჯია — რიდი

**სავარაუდო შემადგენლობები**

**ვიტ ჯორჯია:** ჭურაძე, საჯაია, ჭანკოტაძე, კობიაშვილი, ჯ. მუჯირი, ლ. ნოზაძე, დილმელაშვილი, გოგობერიშვილი, ყიფიანი, ლ. მელქაძე, ზ. მეტრეველი

**რიდი:** ორაზე, იანკი, ნენტვიხი, ფაისტინგერი, ორტეხნერი, როტბაუერი, ანგერშმიდი, გლასნერი, დრექსელი, ლაუერსი, აკაგიუნდუზი

სამხრეთული იერის ერთ-ერთი მოთამაშე ავსტრიის მოქალაქე, ეროვნებით თურქი **მუჰამედ აკაგიუნდუზი** აღმოჩნდა.

**— მგზავრობამ გადაგღალათ?**

— არა, მაგრამ ვგრძნობ, დასვენება მაინც მჭირდება.

**— ეს სამხრეთელი კაცი როგორ მოხვდი ავსტრიაში?**

— ჩემი მშობლები წავიდნენ სამუშაოდ 14 წლის წინ და იქ დარჩნენ. მერე მოქალაქეობა მიიღეს. დღეს მეც ავსტრიის მოქალაქე ვარ.

**— თურქეთში თუ ჩადიხართ ხოლმე?**

— რა თქმა უნდა, იქ ბევრი ნათესავი და მეგობარი მყავს.

**— თქვენი თვისტომნი საერთოდ მრავალშვილიანნი არიან. თქვენს ოჯახში როგორ არის ამ მხრივ საქმე?**

— სამი ძმა მყავს, ერთი უფროსი და ორიც ჩემზე პატარა. ერთი უკვე ფეხბურთსაც თამაშობს.

**— თავად როდის დაიწყეთ ფეხბურთის თამაში?**

— დაწყებითი სკოლა თურქეთში დავამთავრე და 9 წლის ვიყავი, როცა ვენაში ჩავედი. ჩემი მონდომებით მივაღწიე იმას, რომ ვენის „აუსტრიაშიც" კი ვთამაშობდი თავდამსხმელის პოზიციაზე.

**— „რიდში" როდისღა გადახვედით?**

— ერთი წელია, რაც აქ ვარ. საკმაოდ კარგი, მეგობრული გუნდია. არანაირი პრობლემა არ მაქვს. მართალია, კლუბი არ არის ისეთი მდიდარი, როგორიც ევროპული გრანდები, მაგრამ მაინც კმაყოფილი ვარ.

**— რამდენი ბურთი გაიტანეთ გასულ სეზონში?**

— ცამეტი.

**— სხვა გუნდებიდან თუ გაქვთ მიწვევა?**

— კი, სხვათა შორის, „ფენერბაჰჩედანაც", სადაც სიამოვნებით ვითამაშებდი.

**— ავსტრიის მოქალაქე თურქს თურქეთის ეროვნულ ნაკრებში რომ შემოგთავაზონ თამაში, დათანხმდებით?**

— მე უკვე ავსტრიის ეროვნული ნაკრების კანდიდატი ვარ. ასე რომ, ალბათ ამ ქვეყნის პირველ გუნდში ვითამაშებ.

**— „რიდის" მთავარი მწვრთნელი თქვენით კმაყოფილია?**

— რატომაც არა.

**— ჩვენს გუნდს იცნობთ?**

— არაფერი მსმენია, თუმცა გოლის გატანას მაინც შევეცდები.

**ბაატა ძვანტალიანი**
**ვაჟა ხუციშვილი**



ალფრედ ტატარი

ბადრი ქართველიშვილის ფოტოები



რიდელები „ვერე პალასში"



მუჰამედ აკაგიუნდუზი

## მასპინძელთა სამზადისი

# რიდით და არა შიშით

**თითქოს** გუშინ იყო „ბეითართან" ორრაუნდიანი ორთაბრძოლა. არადა, ერთი წელიწადი გასრულდა. დღეს თბილისური „ვიტ ჯორჯია" მეორედ სცდის ბედს ევროსარბიელზე, პირველი მარცხიანი გამოდგა.

ვიტელებს ეროვნული ჩემპიონატის შემდეგ ფაქტობრივად არც დაუსვენიათ. თითქმის ყოველდღე ვარჯიშობდნენ. კვირის დასაწყისიდან კი შეკრებაზე ჰყავს გუნდი ჯანი კარნევალის.

გუშინ თამაშამდე ბოლო ვარჯიში ჩაატარა იტალიელმა. ვეტერინართა ავტობუსი ექვსის ნახევარზე მოადგა „ეროვნულს".

მოთამაშეების გასახდელში შეყოვნებით ვისარგებლე და მოედნის სიახლოვეს, სკამზე მოკალათებულ სინიორ ჯანის გამოველაპარაკე. ჩაფიქრებული ჩანდა კარნევალი, სიგარეტს ღრმა ნაფაზებით ეწეოდა.

— ბიჭები ფორმის პიკზე არ არიან და ჯერ არც შეიძლება იყვნენ, თუმც ეს არ მაშინებს. მართალია, გიორგი ყიფიანს, ედიკ საჯაიას და დავით დოლიძეს მიკროტრავმები აწუხებთ, მაგრამ უსაშველო ამაში არაფერია. პრობლემა გვაქვს, მაგრამ ისინი ითამაშებენ.

**— მაშ, რამ ჩაგაფიქრათ?**

— მეტოქის თამაშს საკმარისად არ ვიცნობ. თამაშის დროს მომიწევს გუნდის გადაწყობა. აი, ეს არის მთავარი პრობლემა, მაგრამ ბიჭების იმედი მაქვს, მჯერა მათი, ალბათ, შეასრულებენ ჩვენს მიერ იმცემულ დავალებებს.

ნელ-ნელა ვიტელებიც გამოვიდნენ გასახდელიდან. კარნევალიმ თანაშემწე ზურაბ ბერიძეს მითითებები მისცა და მანაც ჩაიბარა საწვრთნელი პროცესი. ვეფხია გვენცაძემ მეკარეები ცალკე გაიყვანა და ვარჯიშიც დაიწყო.

კარნევალიც იქვე, მინდორზე, იდგა, აკვირდებოდა ფეხბურთელებს. ზოგჯერ შენიშვნებს აძლევდა მოვარჯიშეებს.

ჩვეულებრივი, მსუბუქი წვრთნა იყო, ისეთი, საფეხბურთო სამყაროში თამაშის წინა დღეს რომ არის მიღებული. უმეტესად ბურთთან იყვნენ ვეტერინარები. გაწელვითი ვარჯიშები, კვადრატი, კარგად ნაცნობი ხელბურთი თუ თავბურთ-კალათბურთი და ბოლოს ნახევარ მოედანზე ორკარა.

წვრთნის დასრულება კარნევალიმ ისევ გაწელვებით ბრძანა და ნელ-ნელა გასახდელის გზას გაუყვნენ ფეხბურთელები.

„ვიტ ჯორჯიამ" გუშინ 22 ფეხბურთელი გაიყვანა მინდორზე. ამათგან სამი მეკარე იყო. განცალკავებით ივარჯიშეს ნაავადმყოფარმა ვლადიმერ გოჩაშვილმა და ფეხმტკივანმა დავით დოლიძემ.

დარწმუნებული ვარ, კარნევალიმ გუშინვე იცოდა სასტარტო თერთმეტეული, მაგრამ მატჩის ოქმში 18-ის გვარსახელი იწერება. სათადარიგოების არჩევისას გვარიანი ფიქრი მოუწევს მწვრთნელს.

ერთი რამ კი ნაღდია. დღეს ვიტელთა რიგებში ვერ ვიხილავთ გიორგი ქორიძეს. გასული სეზონის შემადგენლობიდან ქორიძე ერთადერთი დანაკლისია. გიორგი კარიერის უცხოეთში გასაგრძელებლად ემზადება და ვიტელებს ამ ეტაპზე ვერაფრით შეეშველება.

ნავარჯიშევს, ვეტერინართაგან კომენტარისთვის ორი კაცი შევარჩიეთ. მეკარეების მწვრთნელი ვეფხია გვენცაძე და ნახევარმცველი ალეკო გოგობერიშვილი. ესენი ხომ ყოფილი მერანელები არიან. „მერანმა" კი ამავ ინტერტოტოს გათამაშებაში სამი წლის წინ სტუმრად 3:1 სძლია „რიდს".

***ვეფხია გვენცაძე:*** მაშინდელი „რიდიდან" გუნდში მხოლოდ ერთი ფეხბურთელიღაა დარჩენილი. ათლეტურები და მებრძოლები იყვნენ. თავიდან ჩვენ ორი ბურთით დავწინაურდით, მაგრამ პირველ ტაიმშივე ერთი გაგვიქვითეს. მეორე ნახევრის დასაწყისიდანვე შემოგვიტიეს, მაგრამ ბადრი კვარაცხელიას მესამე გოლმა გატეხა მასპინძლები.

ალბათ, დღეს სხვა ხელწერით ითამაშებენ. ახალი ფეხბურთელები, ვინ იცის მერამდენე ახალი მწვრთნელი, თუმც ისევ ხისტი, ძალისმიერი ფეხბურთის მიმდევრები იქნებიან.

***ალეკო გოგობერიშვილი:*** დიდი დროა გასული მას აქეთ. მეტოქე სულ სხვა „რიდია". მაშინ მასპინძელთა დაცვის სუსტი თამაში თვალში საცემი იყო. დღეს გამორიცხულია, მეტოქემ რამე დათმოს. მძიმე თამაში იქნება, ბევრი ბრძოლა.

ვიტელთა უკანახაზელი ***ჯაბა მუჯირი*** კი შეგვპირდა, რომ „ვიტ ჯორჯია" ყველაფერს იღონებს, რათა „ბეითარი" აღარ განმეორდეს და გამარჯვებას ვეცდებითო.

ვეტერინარები ავტობუსში ისხდნენ უკვე, როცა ავსტრიელთა სამკაციანი დელეგაცია მწვრთნელ ალფრედ ტატარის მეთაურობით „ეროვნულს" მოადგა.

ტატარმა ჯერ გაზონი შეამოწმა, კარგიაო თქვა. მერე სავარჯიშო მოედნებს შორის აღმა-დაღმა სირბილს მოჰყვა. მე კი რატომღაც მომეჩვენა, რომ ავსტრიელი რაღაცას ითვლიდა და ზომავდა.

ბოლოს ჩვენს წინ მორჩილად გაჩერდა. კითხვებს სხვაპასუხით, დაზეპირებულივით პასუხობდა. დაიწყო წუწუნი, ოხვრა, სათადარიგოებით ჩამოვედით, სამი კაცი სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაიწვიეს, ორი ტრავმირებულია, ზანგი მაპეზა გუნდიდან გარბის, ინგლისში უნდა ვითამაშოო.

აქო „ვიტ ჯორჯია", კარგი, ტექნიკური გუნდი გყავთ, აქაური სიცხე მოგვიღებს ბოლოს, დავიღლებით თამაშისასო.

ხასიათი და განწყობა კი ჩინებული ჰქონდა. უყურეს ტატარს ვიტელთა ხელმძღვანელებმა და გაოცებისგან ხელები გაშალეს — იტყუება ეს კაცი. ძირითადის ერთი ფეხბურთელი, ზანგი მაპეზალა აკლიათ, დანარჩენები ჩამოიყვანაო. ამის საუბარს ყურს არ ვუგდებთ, „ვიტ ჯორჯია" ძალების სრული მობილიზებით, ფრთხილად ითამაშებსო.

თვალთმაქცეობდა თუ არა ტატარი, ამას დღეს საღამოს შევიტყობთ, მანამდე კი საინტერესო თამაშის სანახავად განვეწყოთ, იქნებ...

**მამუკა ძვანტალიანი**



უკრაინასთან მატჩამდე ალექსანდრე იაშვილს
დიმიტრი ზაალიშვილის დახმარება დასჭირდა

# დასტაქრის აზრები

## წითელ ღვინოზე, ნაკრებზე და ანაბოლიკებზე

მწვრთნელს თუ ფეხბურთელს ხშირად დაუჩივლია ჩვენში, აღდგენითი საშუალებები არ გვაქვს, არც სხვა სახის მედიკამენტებიო. ისიც კი ითქვა, ფეხბურთელებს ვიტამინად ოდენ გორის ვაშლი აქვთო...

აქეთ ბავშვთა ფეხბურთშია პრობლემები. არასწორი ვარჯიშებისგან თუ კვებისგან საკმაოდ ბევრი მოზარდი დაავადმყოფდა...

ფეხბურთი და მედიცინა — ძალიან ტევადი და საინტერესო თემაა. მით უმეტეს, ახლა, როცა ერთიც და მეორეც ძალიან წინ წავიდა. გაიზარდა მედიცინის როლი ფეხბურთში, სულ სხვა სტანდარტებზე გადაინაცვლა ყოველივემ.

ბუნებრივია, საქართველოში ამ საქმეშიც ჭირს. თუმც რამდენიმე თვის წინ სფფ-მ თხოვნით მიმართა უეფას, ისეთი სპეციალისტი გამოგვინახეთ, რომელიც ჩვენი გუნდების ექიმებს ლექციების მოკლე კურს ჩაუტარებსო. უეფამ დანიელი სპეციალისტი შეგვირჩია, რომელმაც თბილისში სტუმრობისას თქვა — ქართველი საფეხბურთო ექიმების დონე დამაკმაყოფილებელიაო. რა უფლება გვაქვს, ეჭვი შევიტანოთ, მაგრამ ჩვენს ექიმებს რომ ფინანსები და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ზურგს არ უმაგრებს, ცხადზე ცხადია.

ასეა თუ ისე, საფეხბურთო მედიცინა ჩვენში არსებობს. ამ თემაზე სასაუბროდ კი ეროვნული ნაკრებისა და თბილისის „დინამოს“ ექიმ **დიმიტრი ზაალიშვილს** მივმართეთ.

**— საფეხბურთო მედიცინის მხრივ ძალიან ჩამორჩენილები ვართ?**

— რა თქმა უნდა, ჩამოვრჩებით. საფეხბურთო მედიცინა ხომ მარტო ის არ არის, მოედანზე გახვიდე და ფეხბურთელს დახმარება აღმოუჩინო. გვაქვს იმის საშუალება, ფეხბურთელს დროულად დავუსვათ ტრავმის დიაგნოზი, პროფილაქტიკური ღონისძიებები ჩავატაროთ, მაგრამ ღრმა გამოკვლევების თანამედროვე საშუალებანი არ გაგვაჩნია. ადრე დისპანსერიზაცია არსებობდა. თუმც ახლა უკვე შეინიშნება სასიკეთო ძვრები, ფირმა „ნეკო“ ნერგავს თანამედროვე სამედიცინო მეთოდიკას ფეხბურთელთათვის. ვთანამშრომლოთ ჩვენს ტრავმატოლოგიისა და ორთოპედიის ინსტიტუტთან, სადაც ძირითადად ახალგაზრდა სპეციალისტები მუშაობენ.

**— ზოგიერთ ჩვენს ლეგიონერს უთქვამს, უცხოეთში ისეთი ფარმაკოლოგია აქვთ, რაც უნდა დიდი დატვირთვები მივიღოთ, თავს მაინც მხნედ ვგრძნობთო. ნუთუ ჩვენთან არ არის იმის საშუალება, აღდგენისთვის აუცილებელი ვიტამინები შეიძინონ კლუბებმა?**

— არ ვიცი, სხვაგან როგორ, მაგრამ „დინამოში“ კლუბის ხელმძღვანელობა უკან არაფერზე იხევს. ფარმაკოლოგიაც გვაქვს და ყველანაირი გამოკვლევის საშუალებაც. პორტატული უკვე გვაქვს, ახალი სტაციონალური აპარატურის შეძენასაც ვაპირებთ.

აღდგენითი პროცესი კი მთლიან კომპლექს მოიცავს — საუნა, ჰიდრომასაჟი, ხელის მასაჟი, ფარმაკოლოგია, რაციონალური კალორიულ კვება და ვიტამინიზაცია. ჰოდა, ძალიან დიდი ყურადღების გამახვილება არაა საჭირო იმაზე, თუ რა აბებს გადააყლაპებენ უცხოური გუნდების ექიმები ფეხბურთელებს. მხოლოდ აბები საქმეს არ შველის, სრულფასოვანი აღდგენისთვის ეს მთელი კომპლექსია აუცილებელი, რაც „დინამოში“ შეძლებისდაგვარად იყო და არის. ნაკრების ზოგიერთ ლეგიონერს თან ჩამოაქვს მედიკამენტები, ზოგს მე თვითონ ვურიგებ.

**— ბავშვები რომ არასწორი წვრთნისგან ავადდებიან, ამას რა ვუყოთ?**

— ბავშვებთან მუშაობას თავისი სპეციფიკა აქვს. დატვირთვები ბავშვებზე ასაკის მიხედვით უნდა იყოს გათვალისწინებული, მათ ინდივიდუალურადაც უნდა მივუდგეთ. აქ მთავარია მწვრთნელთა განათლება, რასაც ძალიან დიდი ყურადღება უნდა მივაქციოთ, პლუს ცხოვრების დონიდან გამომდინარე ასპექტები — კვება და დასვენება.

**— „დინამოზე“ თქვით, რომ მედიცინის მხრივ შეძლებისდაგვარად საქმე რიგზეაო. გუნდს ახლა უეფას თასზე ელის თამაში. როგორ ფიქრობთ, ფიზიკური კონდიციებით აშკარად დაჩაგრავენ მას ევროპული გუნდები?**

— „დინამოს“ ეს პრობლემა არ უნდა ჰქონდეს. რევაზ არველაძე და გოჩა ტყებუჩავა თანამედროვე ფეხბურთში დამკვიდრებული მეთოდიკით ავარჯიშებდნენ გუნდს. წვრთნის პროცესი ევროპულ სტანდარტებს აკმაყოფილებდა. თანაც გუნდს საერთო ფიზიკურ მომზადებაში საგანგებოდ ჰყავს გამოყოფილი სპეციალისტი — ავთო ბერიძე. „დინამოში“ ახალი მწვრთნელი მოვიდა და ვთვლი, რომ ყველაფერი კვლავაც სათანადო დონეზე გაკეთდება.

**— საკამათო თემაზეც შეგეკითხებით. არის თუ არა ალკოჰოლი ყველგან მიღებული, როგორც ერთ-ერთი აღმდგენი საშუალება?**

— ლუდი მიღებულია, ოღონდ განსაზღვრული დოზით. ჭიქა ღვინოც კარგია, განსაკუთრებით ნატურალური წითელი ღვინო, მაგრამ ამას აღარ ვიყენებთ, რადგან ჩვენში ერთი ჭიქა ღვინოს კიდევ ბევრი მოჰყვება.

**— იმაზე რას გვეტყვით, რომ ფეხბურთელებს გარკვეულ პერიოდში მეუღლეებთან თუ მეგობარ გოგონებთან ყოფნას უკრძალავენ? ზოგიერთ ფეხბურთელს ეს არ მოსწონს და საპირისპიროს ამტკიცებს.**

— როცა ფეხბურთელი შეკრებაზეა, ამას თავი უნდა აარიდოს და იზოლირებული იყოს. თამაშის შემდეგ კი...

**— ნაკრებზეც ვთქვათ, სალაპარაკო შეიქნა ის, რომ რუმინეთთან მატჩისთვის გუნდი გერმანიაში მოემზადა და თამაშამდე ერთი დღით ადრე ჩამოვიდა. ფაქტია, ნაკრები ერთობ უნიათოდ გამოიყურებოდა რუმინეთის წინააღმდეგ, ფეხბურთელები თითქოს ვერ მოძრაობდნენ. თქვენ, როგორც გუნდის ექიმი, რას იტყოდით ამაზე?**

— ვთვლი, რომ ყველაფერი სწორად გაკეთდა, მაგრამ იმ ერთმა დღემ, თამაშამდე თბილისში რომ დავყავით, ვითარება თავდაყირა დააყენა. ფეხბურთელების იზოლირება ვერ მოხერხდა, სასტუმროში ფანჯრებიდანაც კი უვარდებოდნენ ფეხბურთელებს.

იტალიასთან მატჩისთვის კი გუნდი მართლაც ჩაკეტილ გარემოში იყო, დასვენებისთვის იდეალური პირობები შეიქნა, რაც თამაშზეც აისახა — წავაგეთ, მაგრამ ფეხბურთელები უკეთ გამოიყურებოდნენ.

**— კი მაგრამ, გერმანიიდან შინ მობრუნებულებს აკლიმატიზაციისთვის მხოლოდ ერთი დღე რომ დარჩათ, ამან არაფერიავნო ფეხბურთელებს?**

— ეს საკამათო საკითხია, რადგან აკლიმატიზაციისთვის სტანდარტები დადგენილი არ არის. მაგრამ ჩვენ ვერ მოვახერხეთ ფეხბურთელებისთვის იგივე პირობები შეგვენარჩუნებინა, რაც მათ გერმანიაში ჰქონდათ. იყო ისეთი აზრიც, რომ მატჩამდე 2-3 დღით ადრე ჩამოვსულიყავით, არეულ-დარეულობა ერთ დღეს გასტანს და მერე ყველაფერი კალაპოტში ჩადგებაო, მაგრამ მაინც ერთი დღით ადრე ჩამოსვლა ვამჯობინეთ.

**— სტიმულატორები ჩვენში ერთობ უცხო ხილია, მაგრამ მაინც, აბსოლუტურად გამორიცხავთ ქართულ გუნდებში დოპინგის მოხმარებას?**

— ჩვენს ფეხბურთელებს ამაზე უბრალოდ ხელი არ მიუწვდებათ. არა აქვთ საშუალება, დოპინგი მიიღონ, რადგან სტიმულატორების მიღებისთვის სპეციალისტის რჩევა აუცილებელია. ევროპის განვითარებულ ქვეყნებში ათასნაირი კერძო ფირმებია, ფეხბურთელები ბიოქიმიკოსებს ეკვრებიან, ჩვენში კი ასეთი რამ არ არსებობს. საერთო მოხმარებაში ანაბოლიკები კი შემოდის, მაგრამ მათ მიღებას ცოდნა უნდა. არავის ვურჩევ მათ გამოყენებას, თანაც ფეხბურთში ეს რაიმე განსაკუთრებულ ეფექტს არ იძლევა. გუნდს სტიმულატორებით გაჭყეპილი ორი-სამი კაცის სირბილი ღირებულს ვერაფერს მოუტანს. დოპინგს სპორტის მხოლოდ არაგუნდურ სახეობებში თუ მოაქვს ეფექტი და ისიც სპორტსმენის ჯანმრთელობის ფასად.

**დავით თავართქილაძე**

# კოსმოპოლიტური მიმოხილვა

მას მერე, რაც საქართველოს ეროვნული ნაკრების მწვრთნელის თანამდებობიდან გადადგნენ ბატონები დავით ყიფიანი და რევაზ ძოძუაშვილი, „სარბიელის“ კოსმოპოლიტური ბიუროს ოფისში, არ წყდება ზარი ანუ ტელეფონი რეკავს, ჩვენ კი ყურმილს არ ვიღებთ, მაგრამ კარგად ვიცით, რა მოთხოვნაც აქვთ ქომაგებს — უცხოელი მწვრთნელი! რამდენიმემ ფაქსი და იმეილიც კი გამოგვიგზავნა, სადაც ჩამოთვლილი გახლდათ იმ უცხოელ სპეციალისტთა ვინაობა, ვინც, მათი აზრით, ჩვენი გუნდის საჭე უნდა ჩაიბაროს. დღეს, სწორედ ამ სიას გვინდა გამოვეხმაუროთ.

**ა) ვალერი ნეპომნიაშჩი** — ნამდვილად ვერ გეტყვით სად არის ახლა (იქნებ საპარიკმახეროში იყოს ან კინოში, გააჩნია, რომელ საათზე კითხულობთ წინამდებარე ტექსტს), მაგრამ თუ ამ მწვრთნელის ადგილსამყოფელი ვერ დავადგინეთ, მდგომარეობის გამოსწორება იოლია — ჩვენ ვიცნობთ ადამიანს, რომელიც ორი ჭიქის შემდეგ მაგარი ნეპომნიაშჩი ხდება და შეგვიძლია მისი კანდიდატურა შემოგთავაზოთ.

**ბ) ველიბორ მილუტინოვიჩი** — თუ ძმა ხარ, ერთ ნორმალურ ქვეყანაში არ უმუშავია და კოსტა რიკის უროვენი აქ არ გავა.

**გ) კრისტოფ დაუმი** — რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, უპირატესად ხარისხიან ნარკოტიკს ეძალება, ჩვენში კი ხარისხიანი ნარკოტიკი იშვიათობა ყოფილა, ამიტომ საეჭვოა საქართველოში მუშაობა ისურვოს. გამოსავალი შესაძლოა საგანგებოდ მისთვის კოკაინის გერმანიიდან ჩამოტანა იყოს, მაგრამ ქვეყანაში აკრძალულ ნივთიერებათა შემოზიდვას, მოგეხსენებათ, ქართული პოლიცია მედგრად ებრძვის, ხოლო ადგილზე, ვარკეთილიდან გლდანში და მერე ავლაბარში დვიჟენიას ეგ ვერ დაიწყებს, დაიწვება. ძალიან რიჟაა.

**დ) ვლადიმერ ბესონოვი** — რატომაც არა, მაგრამ აქაც ხარისხის პრობლემაა. ჩვენებურ არაყს ვერ ენდობი კაცი, შეიძლება მოიწამლო და გლუკოზის წვეთოვანი ან ადრენალინი დაგჭირდეს.

**ე) ლადისლაუ ბოლონი** — ახლახან მოხსნეს რუმინეთის ნაკრების მწვრთნელის თანამდებობიდან და რუმინეთის ამბები ხუთი თითივით იცის (მაგ. მაგას კუჭის ოპერაცია აქვს გაკეთებული და პირდაპირ კუჭში დაარტყი), ჩვენ კი ბოლო შეხვედრა იქ გვაქვს. თანაც, თეორიული შანსი ჯერ არ დაგვიკარგავსო. ერთი სიტყვით იდეა აზრსმოკლებული არ არის.

**ვ) ანგელ იორდანესკუ** — ეგეც რუმინელია, მაგრამ გენერლები ჩვენი გვეყოფა. აუ, რამდენი გვყავს!

**ზ) იოჰან კრუიფი** — მეძვირეა. თანაც, ამას წინათ განაცხადა, სანამ სერტიფიკატს არ მომცემთ, რომ პელეზე მაგარი ვიყავი, მანამდე მთელ დედამიწას ერთ ჭკვიანურ აზრსაც არ გეტყვითო.

**თ) პელე** — ამასწინათ განაცხადა, არც იმდენად სულელი ვარ, მწვრთნელობა დავიწყოო. ერთი სიტყვით, საჩვენო კაცის ძებნა სულელებში გვირჩია. გვაწყობს, ვითომ?

**ი) ვალერი გაზაევი და გაჯი გაჯიევი ერთად** — იდეალური იქნებოდა, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას ნათქვამი რომ არ ჰქონდეს, ერთბაშად ორ მწვრთნელს აღარ დავნიშნავთო. თუ, არ უთქვამს ასეთი რამ? თუმცა, რა მნიშვნელობა აქვს, ფიფამ ხომ თქვა, ერთდროულად ორ ქვეყანაში მსოფლიოს ჩემპიონატს აღარ ჩავატარებთო. მოკლედ, ჰო, რა, არ გამოვა.

**კ) ტონი მონტანა** — აი, ვინ გვინდა!!! ერთადერთი ნაკლი აქვს, ამერიკელია, იქ კი ფეხბურთს არ თამაშობენ და სპორტის ეს სახეობა არც გაუგიათ. მაგრამ, მაგას რა მნიშვნელობა აქვს, ეგ ხომ მთავარი არ არის და ეჭვია, არც ოდესმე ყოფილა... სვაზილენდში.

**ლ) ფეოლა** — გარდაიცვალა.

**ბაბუნა ძიდია**

**მოიწერეთ ხოლმე, რაც შეიძლება სერიოზულად**
*engotengo@hotmail.com*



ტონი მონტანა

Copa Toyota Libertadores '2001

## ლიბერტადორესის თასი 2001

ნახევარფინალი. II მატჩი

**როსარიო სენტრალი (არგენტინა) 3:3 კრუს ასული (მექსიკა) (0:2)**

0:1 ალმაგერი (7), 1:1 პიცი (38პ), 2:1 მაკერატეზი (42), 2:2 ადომაიტისი (44), 3:2 მაკერატეზი (67), 3:3 პალენსია (90)

როსარიო სენტრალი: ტომბოლინი, დ. დიასი, ლოეშბორი, ლეკი, ეროსი, ვესპა, ე. გონსალესი, დე ბრუნო (არიასი 55), კუბერასი (პერუჩი 83), პიცი, მაკერატეზი

კრუს ასული: ო. პერესი, ანგელესი (როდრიგესი 61), ალმაგერი, მ. ბრაუნი, გუტიერესი, გალდამესი, ხ. ერნანდესი, პინეირო (ტ. კამპოსი 83), მორალესი, ადომაიტისი (მენდოსა 61), პალენსია

43 000 მაყურებელი

# მექსიკელი ასული ნაღდი კაცია

## სამხრეთამერიკელებმა ჯერ არ იციან, „ბაიერნისთვის“ კი უკვე ცნობილია

„ბოკა ხუნიორსმა“ ლიბერტადორესის თასის ფინალში მეტოქის ვინაობა შეიტყო. საპასუხო ნახევარფინალურ მატჩში მექსიკური „კრუს ასული“ არგენტინულ როსარიოში იქაურ „სენტრალს“ ფრედ ეთამაშა, რაც ფინალში გასასვლელად სავსებით აძლევდა ხელს. „კრუს ასული“ პირველი მექსიკური კლუბი გახდა, რომელიც სამხრეთელთა უპირველესი საკლუბო ტურნირის ფინალში ითამაშებს.

თითქოს უცნაურია, ლიბერტადორესის თასი 1960 წლიდან თამაშდება და აქამდე როგორ ვერაფერი გააზერხეს მექსიკელებმა. მაგრამ უცნაური არაფერია — ტურნირში მექსიკური კლუბები სულ რაღაც სამი წელია, რაც ჩაებნენ და ეს ორგანიზატორთა კეთილი ნება იყო. გეოგრაფიულად და კონფედერაციის კუთვნილების მიხედვით მექსიკა, აბა, რომელი სამხრეთ ამერიკაა. თუმცა ამას რა მნიშვნელობა აქვს, ისრაელი ხომ ევროპაში თამაშობს და სამხრეთამერიკელებმაც მექსიკელებს ლიბერტადორესის თასზე გამოსვლის უფლება მისცეს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს სამი წლის წინ მოხდა და მექსიკელებმა თავიანთი ძალა უკვე აჩვენეს. შარშან „ამერიკა“ (რომელშიც რამდენიმე თვის წინ ივან სამორანო გადავიდა) ნახევარფინალში გავიდა, ახლა კი „კრუს ასულმა“ ფინალს უწია.

და აქვე ერთი საინტერესო ამბავიც. მექსიკელთა ლიბერტადორესის თასზე დაშვება არ ნიშნავს, რომ მისი მოგების შემთხვევაში იქაური გუნდი საკონტინენტთაშორისო (ტოიოტას) თასისთვის უეფას ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებულს შეხვდება. ამის უფლება ნაღდ სამხრეთამერიკელებს აქვთ. ამიტომაც, ფინალის შედეგის მიუხედავად, ტოკიოში ერთმანეთის პირისპირ მიუნხენის „ბაიერნი“ და ბუენოს აირესის „ბოკა ხუნიორსი“ წარდგებიან.

ახლა თავად საპასუხო მატჩზეც. თამაში, ცხადია, დაგვიანებით დაიწყო. ცხადი კი იმიტომაა, რომ სამხრეთამერიკელებთან გვაქვს საქმე, მათი სიფიცხის ამბავი კი არაერთხელ ალგვინიშნავს. როსარიოს სტადიონის პერსონალი კარგა ხანს მოუნდა ნასროლი მაშხალებისგან და სხვა საგნებისგან მინდვრის გაწმენდას. საბედნიეროდ, „პალმეირასი“ — „ბოკა ხუნიორსის“ მატჩისგან განსხვავებით, არავინ დაუჭრიათ და უცემიათ.

„როსარიოს“ ორბურთიანი სხვაობა ჰქონდა გასაქვითი, მაგრამ პირველი ბურთი საკუთარ კარში მიიღო. თანაც ეს ძალიან სწრაფად მოხდა — მეშვიდე წუთზე.

აქ ერთიცაა გასათვალისწინებელი. ევროპული წესები სტუმრად გატანილ გოლს უპირატესობას ანიჭებს, სამხრეთელებისთვის კი ამ ფაქტორს მნიშვნელობა არ აქვს. ამიტომ პირველი გაშვებული გოლის მერე „როსარიოს“ სამი საპასუხოს გატანა სჭირდებოდა და არა ოთხისა, როგორც ევროპაში იქნებოდა.

მასპინძლები ახლოს იყვნენ მიზანთან. ხუან ანტონიო პიციმ პენალტით, რომელიც საჯარიმოში ხელით თამაშისთვის დაინიშნა, ტურნირზე თავისი მეშვიდე გოლი შეაგდო, ოთხ წუთში კი რაფაელ მაკერატეზიმ მეორეც მიამატა. თითქოს ტაიმიც ასე უნდა დასრულებულიყო და შესვენების შემდეგ არგენტინელებს ერთი გოლიღა დასჭირდებოდათ, რათა საქმე პენალტების სერიამდე მაინც მიეყვანათ, მაგრამ ზედ შესვენებამდე კრუსასულელებმა გაათანაბრეს.

მეორე ტაიმში იმავე მაკერატეზიმ მეორედ დააწინაურა მასპინძლები და დარჩენილ ოცდასამ წუთში „როსარიომ“ ნამდვილი შტურმი მოუწყო მეტოქეს. მაგრამ რად გინდა. როგორც ასეთ შემთხვევებში ხშირად ხდება, მექსიკელებმა „როსარიოს“ ზურგის მოშიშვლებით ისარგებლეს და 43 ათასი ადგილობრივი ქომაგი შინ დაღონებული გაუშვეს.

**გიორგი დარჯანია**




REUTERS როიტერიდან

სტუმართა კაპიტანი ხუან პალენსია და დანიელ დიასი




## ფინალური ეტაპის მასპინძელი ქალაქები




# დარჩა 350 დღე!

## ემზადეთ შვებულებისთვის!

**ახალი არაფერია** — საქართველოს ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ვერ გავიდა. კი დაგვიბარა ჩვენი ნაკრების აწ უკვე გადამდგარმა თავკაცმა, შანსი კიდევ არისო („თვლაც მე გასწავლოთ, ტო?“), მაგრამ ის, რომ რუმინეთი უნგრეთშიც წააგებს და შინაც საქართველოსთან (თანაც 0:3-ს), ისეთივე რეალურია, როგორც იბერიის იაპონიის დონეზე გაბრწყინება.

მოკლედ, ვერ გავედით, თუმცა მიჩვეულები ვართ და დიდად არც გაგვკვირვებია. ამიტომაც, ისევე როგორც ადრე, ახლაც სხვათა თამაშის გამო ღელვა მოგვიწევს — მომავალი წლის 31 მაისიდან 30 ივნისის ჩათვლით.

2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე ზუსტად 350 დღე დარჩა, მერე კი კორეულ სეულში პირველი მატჩი გაიმართება და... მიდი-მოვდივარ: 64 შეხვედრა 31 დღეში! ივნისის ბოლო დღეს პლანეტის უძლიერესი საფეხბურთო გუნდიც გამოვლინდება.

ამ 64 მატჩიდან 32 იაპონიაში ჩატარდება და 32 — კორეაში. მასპინძელი ქალაქებიც პარიტეტულად არიან წარმოდგენილნი — 10-10. საინტერესოა, რომ ამომავალი მზის ქვეყნის დედაქალაქ ტოკიოში არც ერთი შეხვედრა არ გაიმართება.

რაც შეეხება ფინალური ეტაპის წილისყრას, ის წლეულს, 1 დეკემბერს, კორეის სიდიდით მეორე ქალაქ პუსანში შედგება და აქ მოყვანილი განრიგი სრულ სახეს სწორედ მაშინ მიიღებს. ჯერჯერობით ორი რამაა ცნობილი: კორეის ნაკრები D ჯგუფში იქნება (D1), იაპონიისა კი — H ჯგუფში (H1). საერთოდ კი 32 ფინალისტი რვა ჯგუფში განაწილდება, ორ-ორი საუკეთესო კი მერვედფინალში გავა, საიდანაც ბრძოლა ოლიმპიური სისტემით გაგრძელდება.

როგორც ჩემპიონატის მასპინძლები და ფიფას მესვეურები ვარაუდობენ, იაპონიასა და კორეას მომავალი წლის ივნისში დაახლოებით 3,5 მილიონი გულშემატკივარი ესტუმრება, ტელეაუდიტორია კი აქამდე არნახულ რიცხვს, 41 მილიარდს მიაღწევს (პლანეტის მოსახლეობა, შეგახსენებთ, 6 მილიარდზე ოდნავ მეტია).

მიუხედავად ათასი გაჭირვებისა, ამ 41 მილიარდში, იმედია, ქართველი ტელემაყურებელიც მოხვდება, თუმცა ამჯერად თამაშების პირდაპირ ნახვა ჩვენთვის უცნაურ დროს იქნება შესაძლებელი: ყველაზე გვიანი მატჩები თბილისის დროით 17 საათსა და 30 წუთზე იწყება, ხშირად კი ნაშუადღევს, პირველის ნახევარზე მოგვიწევს ტელევიზორებთან მისხდომა. ასე რომ, თუ ფეხბურთის ქომაგი ხართ და ამავდროულად მუშაობთ კიდეც(?!), მომავალი წლის შვებულებაზე ზრუნვა ახლავე უნდა დაიწყოთ.

**გიგა კობახიძე**

## ფინალური ეტაპის კალენდარი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1. | 31 მაისი, პარასკევი | 17.30 | სეული | A1 — A2 |
| 2. | 1 ივნისი, შაბათი | 12.30 | ნიიგატა | E3 — E4 |
| 3. | | 15.00 | ულსანი | A3 — A4 |
| 4. | | 17.30 | საპორო | E1 — E2 |
| 5. | 2 ივნისი, კვირა | 11.30 | საიტამა | F3 — F4 |
| 6. | | 13.30 | პუსანი | B3 — B4 |
| 7. | | 15.30 | იბარაკი | F1 — F2 |
| 8. | | 17.30 | კვანჯუ | B1 — B2 |
| 9. | 3 ივნისი, ორშაბათი | 12.30 | ნიიგატა | G3 — G4 |
| 10. | | 15.00 | ულსანი | C1 — C2 |
| 11. | | 17.30 | საპორო | G1 — G2 |
| 12. | 4 ივნისი, სამშაბათი | 12.30 | კვანჯუ | C3 — C4 |
| 13. | | 15.00 | საიტამა | H1 — H2 |
| 14. | | 17.30 | პუსანი | D1 — D2 |
| 15. | 5 ივნისი, ოთხშაბათი | 12.30 | კობე | H3 — H4 |
| 16. | | 15.00 | სუვონი | D3 — D4 |
| 17. | | 17.30 | იბარაკი | E1 — E3 |
| 18. | 6 ივნისი, ხუთშაბათი | 12.30 | პუსანი | A1 — A3 |
| 19. | | 15.00 | საიტამა | E4 — E2 |
| 20. | | 17.30 | ტეგუ | A4 — A2 |
| 21. | 7 ივნისი, პარასკევი | 12.30 | კობე | F4 — F2 |
| 22. | | 15.00 | ჩონჯუ | B1 — B3 |
| 23. | | 17.30 | საპორო | F1 — F3 |
| 24. | 8 ივნისი, შაბათი | 12.30 | ტეგუ | B4 — B2 |
| 25. | | 15.00 | იბარაკი | G1 — G3 |
| 26. | | 17.30 | სოგვიპო | C1 — C3 |
| 27. | 9 ივნისი, კვირა | 12.30 | მიიაკო | G2 — G4 |
| 28. | | 15.00 | ინჩხონი | C4 — C2 |
| 29. | | 17.30 | იოკოჰამა | H1 — H3 |
| 30. | 10 ივნისი, ორშაბათი | 12.30 | ტეგუ | D1 — D3 |
| 31. | | 15.00 | ოიტა | H4 — H2 |
| 32. | | 17.30 | ჩონჯუ | D4 — D2 |
| 33. | 11 ივნისი, სამშაბათი | 12.30 | ინჩხონი | A4 — A1 |
| 34. | | 12.30 | სუვონი | A2 — A3 |
| 35. | | 17.30 | სიძუოკა | E4 — E1 |
| 36. | | 17.30 | იოკოჰამა | E2 — E3 |
| 37. | 12 ივნისი, ოთხშაბათი | 12.30 | მიიაკო | F4 — F1 |
| 38. | | 12.30 | ოსაკა | F2 — F3 |
| 39. | | 17.30 | ტეჯონი | B4 — B1 |
| 40. | | 17.30 | სოგვიპო | B2 — B3 |
| 41. | 13 ივნისი, ხუთშაბათი | 12.30 | სუვონი | C4 — C1 |
| 42. | | 12.30 | სეული | C2 — C3 |
| 43. | | 17.30 | ოიტა | G4 — G1 |
| 44. | | 17.30 | იოკოჰამა | G2 — G3 |
| 45. | 14 ივნისი, პარასკევი | 12.30 | ოსაკა | H4 — H1 |
| 46. | | 12.30 | სიძუოკა | H2 — H3 |
| 47. | | 17.30 | ინჩხონი | D4 — D1 |
| 48. | | 17.30 | ტეჯონი | D2 — D3 |
| | | მერვედფინალი | | |
| 49. | 15 ივნისი, შაბათი | 12.30 | სოგვიპო | 1E — 2B |
| 50. | | 17.30 | ნიიგატა | 1A — 2F |
| 51. | 16 ივნისი, კვირა | 12.30 | ოიტა | 1F — 2A |
| 52. | | 17.30 | სუვონი | 1B — 2E |
| 53. | 17 ივნისი, ორშაბათი | 12.30 | ჯონჩუ | 1G — 2D |
| 54. | | 17.30 | კობე | 1C — 2H |
| 55. | 18 ივნისი, სამშაბათი | 12.30 | მიიაკო | 1H — 2C |
| 56. | | 17.30 | ტეჯონი | 1D — 2G |
| | | მეოთხედფინალი | | |
| 57. | 21 ივნისი, პარასკევი | 12.30 | სიძუოკა | 50 — 54 |
| 58. | | 17.30 | ულსანი | 49 — 53 |
| 59. | 22 ივნისი, შაბათი | 12.30 | კვანჯუ | 52 — 56 |
| 60. | | 17.30 | ოსაკა | 51 — 55 |
| | | ნახევარფინალი | | |
| 61. | 25 ივნისი, სამშაბათი | 17.30 | სეული | 58 — 59 |
| 62. | 26 ივნისი, ოთხშაბათი | 17.30 | საიტამა | 57 — 60 |
| | | მატჩი მესამე ადგილისთვის | | |
| 63. | 29 ივნისი, შაბათი | 17.00 | ტეგუ | |
| | | ფინალი | | |
| 64. | 30 ივნისი, კვირა | 17.00 | იოკოჰამა | |

იტალია

კახუნა კედია

# ილაპარაკეთ, ილაპარაკეთ!

## ქალის მიტოვების 50 გზა

*ვისაც მობეზრდა — დაისვენებს, ვისაც კიდევ სურს — გული დაწყდება, ვისაც ჩვეულებრივ აინტერესებდა — ცნობისწადილს მოიკლავს, ხოლო ეს ყველაფერი იმას ნიშნავს, რომ ხვალ იტალიური სერია ბ -ს 2000-2001 წლების გათამაშება დამთავრდება.*



დავიდ ტრეზეგე და ალესანდრო დელ პიერო

| XXXIV ტური | | |
|---|---|---|
| ხვალ | | |
| იუვენტუსი | — | ატალანტა |
| ბრეშა | — | ბარი |
| ინტერი | — | ბოლონია |
| ლეჩე | — | ლაციო |
| რეჯინა | — | მილანი |
| ფიორენტინა | — | ნაპოლი |
| რომა | — | პარმა |
| ვერონა | — | პერუჯა |
| უდინეზე | — | ვიჩენცა |

**საღლეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რომა | 33 | 21 | 9 | 3 | 65:32 | 72 |
| იუვენტუსი | 33 | 20 | 10 | 3 | 59:26 | 70 |
| ლაციო | 33 | 21 | 6 | 6 | 64:34 | 69 |
| პარმა | 33 | 16 | 8 | 9 | 50:28 | 56 |
| მილანი | 33 | 12 | 13 | 8 | 55:44 | 49 |
| ინტერი | 33 | 13 | 9 | 11 | 45:46 | 48 |
| ატალანტა | 33 | 10 | 14 | 9 | 37:32 | 44 |
| ფიორენტინა | 33 | 10 | 13 | 10 | 52:50 | 43 |
| ბოლონია | 33 | 11 | 10 | 12 | 48:51 | 43 |
| პერუჯა | 33 | 10 | 12 | 11 | 48:51 | 42 |
| ბრეშა | 33 | 9 | 14 | 10 | 41:41 | 41 |
| უდინეზე | 33 | 11 | 5 | 17 | 47:56 | 38 |
| ლეჩე | 33 | 7 | 13 | 13 | 38:53 | 34 |
| რეჯინა | 33 | 9 | 7 | 17 | 30:48 | 34 |
| ვერონა | 33 | 9 | 7 | 17 | 38:58 | 34 |
| ვიჩენცა | 33 | 8 | 9 | 16 | 34:49 | 33 |
| ნაპოლი | 33 | 7 | 12 | 14 | 33:50 | 33 |
| ბარი | *33* | *5* | *5* | *23* | *30:65* | *20* |

**რა შეიძლება** მოხდეს ხვალ? ამაზე მთელი კვირაა ვლაპარაკობთ, მაგრამ გამეორებაზე ამბობენ ცოდნის დედააო და ამიტომ გავიმეოროთ: თუ რომში, „სტადიო ოლიმპიკოზე“ „რომა“ „პარმას“ დაამარცხებს, 18 წლიანი მდუმარების შემდეგ კვლავ ქვეყნის ჩემპიონი გახდება — მესამედ. თუ ვერ გაიმარჯვა, უამრავი რამ არის შესაძლებელი, „იუვენტუსის“ ჩემპიონობით დაწყებული, გადათამაშებით დამთავრებული. ისე კი, ცნობისთვის, თუ ჩემპიონი მართლა „იუვენტუსი“ გახდა, ეს მისთვის 26-ე სკუდეტო იქნება. სეირისთვის: შეგიძლიათ ეს რიცხვი „რომას“ ტიტულების რაოდენობას შეადაროთ.

ამრიგად, წინ 90 წუთია, რომელმაც უმთავრეს იტალიურ კითხვაზე უნდა გაგვცეს პასუხი.

აქვე დავამატებთ აუცილებელ დასამატებელს: „რომასა“ და „იუვენტუსის“ თანაბარი ქულების შემთხვევაში, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, დაინიშნება პლეი-ოფი, რომელიც ორმატჩიანი იქნება.

და კიდევ თუ „იუვენტუსი“ გაიმარჯვებს, „რომა“ კი წააგებს და ამ დროს „ლაციო“ მოიგებს, „რომასა“ და „ლაციოს“ ქულათა თანაბარი რაოდენობა დაუგროვდებათ. შესაბამისად, დაინიშნება რომაული პლეი-ოფი, დერბი, რომელიც პასუხს გასცემს კითხვას: ვინ მოხვდება ჩემპიონთა ლიგის ჯგუფში და ვინ დაიწყებს შეჯიბრებას ბოლო საკვალიფიკაციო ეტაპიდან. ფაქტობრივად კი იტალიის ჩემპიონატში მეორე ადგილზე გასული გაირკვევა.

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, მოიგოს „რომამ“ „პარმასთან“ და არც მათემატიკა დაგვჭირდება და აღარც დამატებითი მატჩების ლოდინი, მითუფრო, რომ ამბობენ, ფაბიო კაპელო სასტარტო შემადგენლობაში მარკო დელვეკიოს მაგივრად ვინჩენცო მონტელას დასახელებას აპირებსო. ესე იგი, რომაელთა წინა ხაზი გაბრიელ ბატისტუტასა და მონტელას ჩაბარდება, მონტელა კი რომში მხსნელად თუ გადამრჩენად ჰყავთ შერაცხული.

ზემოთ „იუვენტუსზე“ კი ვთქვით, თუ გაიმარჯვებს, შესაძლოა, გაუმართლოს და ჩემპიონობას გამოჰკრას ხელიო, მაგრამ არ გვითქვამს, ვის უნდა მოუგოს: ხვალ ტურინში „ატალანტა“ თამაშობს. „ატალანტას“ ამ მატჩისგან არაფერი უნდა, კალენდრის წინაშე ვალი აქვს მოსახდელი და სულ ეს არის, მასპინძელთა თავდასხმა კი იგივე იქნება, რაც ერთი კვირის წინ, ვიჩენცაში გახლდათ, როდესაც „ბებერმა ქალბატონმა“ 3:0 მოიგო — დავიდ ტრეზეგე და ალესანდრო დელ პიერო. „იუვენტუსს“ შესაძლოა, არ ჰყავდეს ურუგვაელი მცველი პაოლო მონტერო, რომელიც დაშავდა.

„ლაციო“, რომელსაც კიდევ აქვს ჩემპიონობის თეორიული შანსი (მან უნდა მოიგოს, „რომამ“ წააგოს, ხოლო „იუვენტუსმა“ არ უნდა მოიგოს, რათა საჩემპიონო პლეი-ოფში თამაშის უფლება მოიპოვოს) „ლეჩეს“ ეწვევა. მაგრამ, „ლეჩე“ უბრძოლველად არაფერს დათმობს — ბოლო 11 შეხვედრაა, არ მოუგია და სერია B-ში გასავარდნად აქვს საქმე.

რაკილა გასავარდნი გუნდი ვახსენეთ, ბარემ ისიც ვნახოთ, ცხრილის ბოლოში რა ხდება. „გაძეტა დელო სპორტი“ წერს, რომ არსებობს ქალის მიტოვების 50 გზა, რაც სერია A-ს დატოვების გზებზე გაცილებით ნაკლებია. თურმე, ნუ იტყვით და იქ, სერია A-ს ფსკერზე, ბოლო ტურში, 243 შესაძლო ვარიანტიდან ერთ-ერთი დატრიალდება.

ბუნებრივია, 243 ვარიანტის გათვლას ჩვენ არ ვაპირებთ, მაგრამ იმას გავიხსენებთ, რომ უკვე გავარდნილი გახლავთ „ბარი“, რომელსაც კიდევ სამი უნდა მიჰყვეს. აღსანიშნავია, რომ ხუთი გუნდი თითო ქულით არის ერთმანეთს დაშორებული, ხოლო ისევე, როგორც ზევით, ქვემოთაც, თანაბარი ქულების შემთხვევაში პლეი-ოფი ინიშნება. ახლა წარმოიდგინეთ, თუ, ვთქვათ, თანაბარ ქულებს სამი ან მეტი გუნდი დააგროვებს, მაშინ რა საშინელება დატრიალდება: ამოქექავენ გუნდების ერთმანეთთან ნათამაშევს, დაახარისხებენ და ასე თეორიულად დაადგენენ, ვინ პირდაპირ გავარდება, ვინ პირდაპირ გადარჩება და ვინ პლეი-ოფში შეყოფს თავს.

აი, რა ქნა „გაძეტა დელო სპორტმა“: აილო სათუო მდგომარეობაში მყოფი ხუთივე გუნდის ურთიერთშედეგები და კომპიუტერში შეყარა, საიდანაც მანქანის აზრი გადმოვარდა: „ნაპოლი“ 79 პროცენტით გავარდნილია, „ვიჩენცა“ 73,6 პროცენტით. გადარჩენის შანსი ორივეს 19,8 პროცენტი აქვს. თუმცა თავის პლეი-ოფში შეყოფის ალბათობით მაინც „ვიჩენცა“ სჯობია.

თანაბრია „ვიჩენცასა“ და „რეჯინას“ გადარჩენის შანსიც — 39,5 პროცენტი, თუმცა 20,6 პროცენტით „რეჯინა“ პლეი-ოფში მოხვდება. „ვერონას“ კი ამის შანსი 16 პროცენტი აქვს.

აი, „ლეჩე“ კი, კომპიუტერის აზრით, საუკეთესო მდგომარეობაშია. მისი გადარჩენის შანსია 46,5 პროცენტი, გავარდნისა კი 34 პროცენტი.

რას ნიშნავს ყოველივე ეს ადამიანურად, ჩვენ ნუ გვკითხავთ. ჩვენ შეგვიძლია, „რომას“ დავუბრუნდეთ და ის გითხრათ, თუ რას ფიქრობს მისი ბრაზილიელი მოთამაშე ემერსონი დარჩენილ შეხვედრაზე:

„მთელი ეს ლაპარაკი იმის შესახებ, რომ „პარმა“ ქულებს დაგვაკარგვინებს, ფუჭია. ჩვენ ამას ვისმენთ და კიდევ უფრო მეტად გვინდება გამარჯვება. იოლ თამაშს, ბუნებრივია, არ ველით, მაგრამ გამარჯვებისთვის საჭირო ენერგიის გასაღებად მზად ვართ. ჩვენი გუნდი დაღლილი სულაც არ არის. არც ფსიქოლოგიური თვალსაზრისით გვაქვს რაიმე პრობლემა და ჩვენი შემჩერებელი აღარ არსებობს. ერთი სიტყვით, იმედი მაქვს, რომ ეს გამაღიზიანებელი საუბრები გაგრძელდება და ისედაც ერთ მუშტად შეკრულთ, კიდევ უფრო შეგვკრავს. პირადად ჩემთვის, „პარმასთან“ ეს მატჩი 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალის შემდეგ უმნიშვნელოვანესია. ჩვენ, „რომას“ ფეხბურთელები, მოედანზე ერთმანეთს უნდა დავეხმაროთ, „პარმა“ დავამარცხოთ და ჩემპიონობა ვიზეიმოთ.“



ვინჩენცო მონტელა



ემერსონი: ჩვენც ეგ გვინდა, თუ გაგვაბრაზებენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესპანეთი

გიორგი დარჯანია

# ხვალ ვიღაც იტყვის, მშვიდობით ლიგა!

*პრიმერადივიზიონის 380 მატჩიდან 370 უკვე გაიმართა. ეს ნიშნავს, რომ ათი შეხვედრაც და სეზონი დასრულდება. მთავარი, ჩემპიონის ვინაობა, უკვე ცნობილია. გასაგები დარჩა: იმ მესამე გუნდის სახელი, რომელიც სეგუნდადივიზიონში დაქვეითდება, იმისი სახელიც, უეფას თასზე რომ ითამაშებს და ყველაზე საინტერესო — ვინ გავა ჩემპიონთა ლიგაში.*



ხოსეპ გვარდიოლა

| XXXVIII ტური | | |
|---|---|---|
| დღეს | | |
| ნუმანსია | — | ალავესი |
| რასინგი | — | ბილბაო |
| ვილიარეალი | — | ესპანიოლი |
| ლას პალმასი | — | რაიო ვალეკანო |
| ხვალ | | |
| მალიორკა | — | ოვიედო |
| დეპორტივო | — | მალაგა |
| ბარსელონა | — | ვალენსია |
| რეალი | — | ვალიადოლიდი |
| სარაგოსა | — | სელტა |
| სოსიედადი | — | ოსასუნა |

**სადღეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 37 | 23 | 8 | 6 | 79:39 | 77 |
| დეპორტივო | 37 | 21 | 7 | 9 | 69:44 | 70 |
| მალიორკა | 37 | 19 | 11 | 7 | 57:41 | 68 |
| ვალენსია | 37 | 18 | 9 | 10 | 53:31 | 63 |
| ბარსელონა | 37 | 16 | 12 | 9 | 77:55 | 60 |
| სელტა | 37 | 16 | 10 | 11 | 50:48 | 58 |
| მალაგა | 37 | 16 | 8 | 13 | 60:57 | 56 |
| ვილიარეალი | 37 | 15 | 9 | 13 | 54:52 | 54 |
| ესპანიოლი | 37 | 14 | 8 | 15 | 46:40 | 50 |
| ალავესი | 37 | 14 | 7 | 16 | 57:57 | 49 |
| რაიო ვალეკანო | 37 | 10 | 13 | 14 | 56:67 | 43 |
| ბილბაო | 37 | 11 | 10 | 16 | 44:57 | 43 |
| სოსიედადი | 37 | 11 | 10 | 16 | 52:67 | 43 |
| ლას პალმასი | 37 | 12 | 7 | 18 | 41:62 | 43 |
| ვალიადოლიდი | 37 | 9 | 15 | 13 | 41:48 | 42 |
| სარაგოსა | 37 | 9 | 14 | 14 | 53:56 | 41 |
| ოვიედო | 37 | 11 | 8 | 18 | 49:63 | 41 |
| ოსასუნა | 37 | 9 | 12 | 16 | 42:54 | 39 |
| *რასინგი* | *37* | *9* | *9* | *19* | *45:62* | *36* |
| *ნუმანსია* | *37* | *9* | *9* | *19* | *38:63* | *36* |

**„ბარსელონა“** თუ „ვალენსია“? აშკარად გაგვიმართლა, რადგან ამათ სხვადასხვა ქალაქებში, პარალელურად მიმდინარე მატჩში კი არა, „კამპ ნოუზე“, ურთიერთშეხვედრაში მოუწევთ უმჯობესის გამოვლენა. ვფიქრობთ, ასე უფრო საინტერესო და სამართლიანი უნდა იყოს.

და რჩება კითხვები, რომლებზე პასუხსაც ალბათ, მატჩის დაწყებამდე ვერ მივიღებთ: ითამაშებენ თუ არა ფრანკ დე ბური და გაისკა მენდიეტა. ბარსელონელის ბედი ახლა იურისტთა ხელშია, ვალენსიელისა კი ექიმების.

კიდევ ერთიც. პრიმერადივიზიონი ემშვიდობება ხოსეპ გვარდიოლას. კაცმა, რომელმაც 17 წელი შესწირა „ბარსელონას“, თქვა, სხვა კლუბში გადავდივარო და დაუმატა, ეს სხვა, ესპანური გუნდი არ იქნება, „ბარსას“ წინააღმდეგ ვერ ვითამაშებო.

## იმედი გაქრა, იმედი გაჩნდა

რაღა ახლა — უეფას სადისციპლინო კომიტეტს ფრანკ დე ბურის საკითხის განხილვა თუნდაც ორშაბათამდე რომ გადაედო, ჰოლანდიელი ხვალ „ვალენსიას“ წინააღმდეგ ითამაშებდა. შეგახსენებთ, რომ გუშინწინ ტყუპისცალს დოპინგის ხმარების გამო ერთწლიანი დისკვალიფიკაცია მისცეს.

გუშინ ვწერდით, რომ ამ თამაშისთვის დე ბურს ერთი შანსიღა დარჩა. კერძოდ ის, რომ განაჩენი ძალაში მისთვის ოფიციალური წერილის გაგზავნის შემდეგ შედის და ეგებ, კვირამდე, ანუ თამაშამდე ეს ვერ მოსწრებოდა. ისე, ცოტა უცნაურია, რა საჭიროა, ბარსელონაში წერილის გაგზავნა, როცა დე ბური თავად ესწრებოდა ნიონში საკუთარი საქმის განხილვას. ამდგარიყვნენ და იქვე მიეცათ.

„ბარსელონასთვის“ და დე ბურისთვის სამწუხაროდ, ევროპაში ფოსტა ძალიან კარგად მუშაობს და ეს იმედი გაქრა. მაგრამ გამოჩნდა სხვა იმედი. კლუბის დირექტორი ანტონ პარერა ამბობს: „ფრანკმა გადაწყვეტილება გაასაჩივრა და პასუხს ყველანი მოუთმენლად ველოდებით. თუ ვერაფერს მივაღწიეთ, სამოქალაქო სასამართლოში ვიჩივლებთ. ამ მომენტისთვის კი მთავარი ისაა, რომ აპელაციის განხილვამდე უეფასეული გადაწყვეტილების შეჩერებას ვითხოვთ. ჩვენი იურისტები ამაზე მუშაობენ და ვფიქრობ, ფრანკს „ვალენსიასთან“ თამაშის საშუალება მიეცემა“.

შევნიშნოთ, რომ „ბარსელონა“ ცაიტნოტშია, რაკი თამაშამდე ძალიან ცოტა დრო რჩება და საბოლოო პასუხს, ალბათ, ზედ მატჩის დაწყების წინ მივიღებთ.

რა თქმა უნდა, კლუბი მხარში უდგას ფეხბურთელს და მასთან ერთად ცდილობს უდანაშაულობის დამტკიცებას. თუმცა მორალურ მხარდაჭერაზე უფრო დასაფასებელი მაინც კლუბის ეს გადაწყვეტილებაა — მიუხედავად იმისა, დარჩება თუ არა ძალაში ერთწლიანი დისკვალიფიკაცია, დე ბურს უკვე ახლა სთავაზობს კონტრაქტის გაგრძელებას, რომლის ვადაც გაისად იწურება.

## კაპიტანო, ჩემო კაპიტანო

ჩვიდმეტი სეზონი ერთ გუნდში — ეს ბევრი არაა, ეს ძალიან ბევრია. ჩვიდმეტი სეზონი და ორადორი დარჩენილი მატჩი მშობლიურ „კამპ ნოუზე“ — ერთი ხვალ „ვალენსიასთან“ და მეორეც, ორი კვირის შემდეგ „სელტასთან“ სამეფო თასის ნახევარფინალში. ამის მერე ხოსეპ გვარდიოლას, როგორც ფეხბურთელს, გადაჭედილი „კამპ ნოუ“ ტაშს ველარ დაუკრავს.

„სელტამდე“ ორი კვირა კიდევ დარჩა, ხვალ კი ბარსელონელთა კაპიტანი პრიმერადივიზიონს გამოეთხოვება. ეგებ კალენდარი და სატურნირო ვითარება იმგვარი ყოფილიყო, რომ პრიმერადივიზიონის ბოლო ტურში „ბარსელონას“ არაფრის მომცემი მატჩი ჰქონოდა საეჭვო კლასის გუნდთან, მაგრამ ბედმა ინება, რომ გვარდიოლა ნაღდ ბრძოლაში გამომშვიდობებოდა ქომაგს.

კაპიტნის კლუბიდან წასვლაზე მომავალში უფრო ვრცლად ვილაპარაკებთ. ახლა კი გვარდიოლას აზრი მოვისმინოთ „ვალენსიასთან“ შეხვედრაზე.

„მგონი, აზრი არა აქვს იმაზე ლაპარაკს, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი თამაში გველის. წაგება ჩვენთვის განადგურების ტოლფასი იქნება, „ბარსელონა“ კი არასდროს განადგურდება.

ახლა ბიჭები ვღელავთ, მაგრამ გარწმუნებთ, თამაში დაიწყება თუ არა, ნერვიულობა გაგვიქრება.



ფრანკ დე ბური

„ვალენსიას“ მცირეოდენი უპირატესობა აქვს — ფრეც ჰყოფნის. თან ეს ის გუნდი არაა, თხუთმეტ წუთში რომ მოუთავო საქმე. „ვალენსია“ მთელი 90 წუთი მის საჯარიმოსთან უნდა მიაჯაჭვო, რათა შეცდომა დააშვებინო და მოუგო. ჩვენ ეს კარგად გვესმის.

მეტოქე ძალიან ძლიერი გვყავს. ამის დაუნახაობა არ შეიძლება. მას ბრწყინვალე კაპიტანი, თითქმის გაუვალი დაცვა და ჭკვიანი მწვრთნელი ჰყავს. ამიტომ ერთხელაც ვიმეორებ, ურთულესი ამოცანა უნდა გადავჭრათ. იმედი მაქვს, მათ ჩვენს წინააღმდეგ მენდიეტა არ ეყოლებათ, თუმცა, ესეც ბევრს არაფერს ნიშნავს, რადგან ალბელდას და ანგულოს კაპიტნის შეცვლა კარგად შეუძლიათ“.

აი, ასეთია, ხოსეპ გვარდიოლას მატჩისწინა განწყობა.

## და სხვა მატჩებიც...

„ნუმანსია“ — „ალავესი“. სორიელები უკვე გავარდნენ პრიმერადივიზიონიდან. ვიტორიელებს ეს საფრთხე არანაირად არ ემუქრებათ, მაგრამ ევროტურნირზე გასვლისთვისაც ველარ იბრძვიან. ასე რომ, ამ მატჩს პრაქტიკული თვალსაზრისით აზრი დაკარგული აქვს.

„ლას პალმასი“ — „რაიო ვალეკანო“. ესეც ყოვლად უსარგებლო მატჩია. კანარელები რამდენიმე ყმაწვილი ფეხბურთელის გამოცდას აპირებენ.

„რასინგი“ — „ბილბაო“. ზუსტად იგივე ითქმის, რაც სორიულ და ლასპალმასურ მატჩებზე.

„დეპორტივო“-„მალაგა“. მოგების შემთხვევაში გალისიელები ჩემპიონთა ლიგის ძირითად ბადეში ავტომატურად ხვდებიან, მაგრამ წაგების ან ფრის შემთხვევაში „მალიორკას“ შედეგზე იქნებიან დამოკიდებულნი. მალაგელები კი გამარჯვების შემთხვევაში უეფაზე გასვლის შანსს ინარჩუნებენ, ოღონდ „სელტა“ უნდა დამარცხდეს.

„ვილიარეალი“ — „ესპანიოლი“. ესეც უაზრო თამაშია.

„რეალი“ — „ვალიადოლიდი“. მადრიდელებს ახლა შვებულების გარდა არაფერი უნდათ. მათი სტუმრები კი მოგების შემთხვევაში დივიზიონში რჩებიან, თუ არა და სხვათა შედეგებზე არიან დამოკიდებულნი.

„მალიორკა“ — „ოვიედო“. ორივე გუნდი იბრძვის, მასპინძლები — მეორე ადგილისთვის, სტუმრები — დივიზიონში დასარჩენად.

„სოსიედადი“ — „ოსასუნა“. სანსებასტიანელებმა დივიზიონში დარჩენა გაინაღდეს და საინტერესოა, სახიფათო ზონაში მყოფ ძმებ ბასკებს მოაგებინებენ თუ არა.

„სარაგოსა“ — „სელტა“. ორივე გუნდი ფრეზეც ყაბულსაა, მოგება არც სჭირდებათ. სარაგოსელები დივიზიონში დარჩებიან, ვიგოელები კი უეფას თასზე გავლენ.



ბარსელონელთა ოცნება: ნეტავ გაისკა მენდიეტამ (მარცხნივ) ვერ ითამაშოს...

# აბა, პასპორტი მაჩვენე!

## ალვარო რეკობას ევროპელობა ორი წელი და მილიონნახევარი დაჯდება


გაიტანეთ რეკობა!

**იტალიაში** სეზონი ხვალ დამთავრდება და კლუბებს პროკურატურასთან სასაუბროდ მეტი დრო ექნებათ.

დაუდევრობამ, რაც პასპორტის გაყალბებაში დაშვებულ შეცდომებში გამოიხატა, შესაძლოა მილანის „ინტერი“ გვარიანად დააზარალოს. ხუთშაბათს სპეციალური კომისიის სხდომაზე საუბარი იქითკენ წავიდა, რომ „ინტერის“ ურუგვაელი თავდამსხმელი ალვარო რეკობა ორი წლით უნდა ჩამოშორდეს ფეხბურთს.

რეკობა მილანში 1997 წელს „ნასიონალიდან“ გადაბარგდა და ერთხანს არაევროპელად ითვლებოდა. შემდეგ „ინტერის“ ხელმძღვანელობას, რომელსაც გუნდში უცხოელი ფეხბურთელები საკმაოდ ჰყავდა, რეკობას „ვენეციაში“ განათხოვრება მოუხდა. მაგრამ ურუგვაელის ხეირიანი თამაშის შემხედვარე, მილანელებმა ალვარო კვლავ თავიანთი გუნდისთვის ინდომეს და დატრიალდნენ. ურუგვაელმაც იტალიური პასპორტით მალევე დაიმშვენა ხელი. რეკობა, ალბათ, დიდად ემადლიერებოდა კლუბის ტექნიკურ დირექტორ ლელე ორიალის და ხელმძღვანელობის კიდევ ორ წევრს — რინალდო გელფისა და ფრანკო ბალდინის. ეს ის ხალხია, რომლებმაც ურუგვაელის გაიტალიელება უზრუნველყვეს და ამჟამად თაღლითობაში მხილებულნი რეკობასთან ერთად პროკურორთა კაბინეტებში სხედან.

„ინტერს“, ფეხბურთელის ორი წლით დისკვალიფიკაციასთან ერთად, მილიონნახევარი დოლარი ექნება გადასახდელი. კლუბის ხელმძღვანელობა სასჯელს გადამეტებულს უწოდებს, მაგრამ პროკურორ კარლო პოჩედის არაფრის გაგონება არ სურს.

საბოლოო გადაწყვეტილება, მიუხედავად დანაშაულში ეჭვმიტანილთა სრული მხილებისა, ჯერ კიდევ უცნობია. მილანელთა ბედი ორშაბათს ან სამშაბათს გადაწყდება. ვგონებთ, რომ სამართალდამცავები აზრს არ შეიცვლიან. სპეციალურ სხდომაზე, რომელმაც განაჩენი უნდა გამოიტანოს, ავტორიტეტული სიტყვით კარლო პოჩედიც გამოვა და მას თავისი გადაწყვეტილების მართებულობის მტკიცებაც არ უნდა გაუჭირდეს. რეკობას ცრუ ევროპელობა და კლუბის ხელმძღვანელობის ყალბისმქნელობა შეუიარაღებელი თვალითაც კარგად ჩანს.

კარლო პოჩედი, ეტყობა, პრინციპული კაცია და თაღლითებსაც გაავებით დევნის. მილანელთა მსგავსად, მისი რისხვა რომაულმა კლუბმაც დაიტეხა თავს, „რომას“ პოჩედიმ ნახევარმილიონიანი საჯარიმო ქვითარი გაუმზადა, ხოლო მის ვითომ ევროპელებს, ბარტელტსა და ფაბიო ჟუნიორს ორწლიანი დისკვალიფიკაციით დაემუქრა.

პოჩედის სამართალს ალბათ, „მილანის“ კარის დარაჯი, ბრაზილიელი დიდა და „ლაციოს“ არგენტინელი, ხუან სებასტიან ვერონიც ვერსად გაექცევიან. „ინტერის“ და „რომას“ საქმის მომთავრების შემდეგ პროკურორი ალბათ, მათთვისაც მოიცლის.

**გიორგი გამარდაშვილი**



ედგარ დავიდსი და ფილიპო ინძაგი

ბადრი ქეთილაძის ფოტო

# აღგზნებული დავიდსი ფილიპო ინძაგის ეცა

**ფეხბურთელს** რომ სამუდამო დისკვალიფიკაციას მისცემენ, ცხადია, მის ფსიქიკაზეც მოქმედებს. ასეა თუ ისე, ჰოლანდიელი „პიტბული“ ედგარ დავიდსი ტურინის „იუვენტუსთან“ ერთად მაინც ვარჯიშობს. გუშინწინდელ ვარჯიშზე ედგარ დავიდსს, როგორც ჩანს, ნერვებმა უმტყუნა და ორმხრივ თამაშში შეჯახებისას ფილიპო ინძაგის ხელდახელ შეება.

ამ მუშტი-კრივმა დაახლოებით ორ წუთს გასტანა და მოჩხუბარნი ურუგვაელმა მცველმა პაოლო მონტერომ და თავად მწვრთნელმა კარლო ანჩელოტიმ გააშველეს. „კორიერე დელო სპორტი“, რომლის რეპორტიორიც ამ ამბავს შეესწრო, ჩხუბის წამოწყების კონკრეტულ მიზეზს არ ასახელებს, მაგრამ დასძენს, ბოლო დღეებია, დავიდსი საკმაოდ აღგზნებულიაო.

**გიორგი ვაჟაძიძე**

# კარაბინერებმა ბუფონი არ დაინდეს

## იტალიის ნაკრების მეკარეს ათმა პოლიციელმა შერტყა


ჯანლუიჯი ბუფონი

ბადრი ქეთილაძის ფოტო

**ოთხშაბათ** ღამით, როცა ფლორენციაში იტალიის თასის საპასუხო ფინალური მატჩი დასრულდა, იქაურ „ფიორენტინასთან“ წაგებით გულდაწყვეტილი „პარმასა“ და იტალიის ნაკრების მეკარე ჯანლუიჯი ბუფონი საკუთარი მანქანისკენ გაემართა, რომელიც „პარმას“ ავტობუსის წინ ეყენა.

მეკარეს ათი კარაბინერი მიუახლოვდა და სრულიად უმიზეზოდ ცემა დაუწყო. პარმელმა უკან არ დაიხია, მაგრამ, აბა, ათ შეიარაღებულ კაცთან რას გახდებოდა? საბედნიეროდ და ეგებ, „რომას“ გულშემატკივართა სამწუხაროდ, ჯანლუიჯი ბუფონი სერიოზულად არ დაშავებულა და როგორც თავად აცხადებს, კვირას „სტადიო ოლიმპიკოზე“ აუცილებლად ითამაშებს. ფლორენციის პოლიციის შეფმა გილერმო ანტონელიმ კი მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით დაუყოვნებლივ სისხლის სამართლის საქმე აღძრა.

**გიორგი ვაჟაძიძე**

# ჰა, ყაზახეთიც ევროპაა?!

**ყაზახეთის** ფეხბურთის ფედერაციამ დატოვა აზიის ფეხბურთის კონფედერაციის რიგები. ცნობა სამშაბათს თავად კონფედერაციის ხელმძღვანელობამ ოფიციალურად დაადასტურა. ყოფილმა საბჭოთა რესპუბლიკამ აღნიშნული გადაწყვეტილება უეფაში გაწევრიანების სურვილით ახსნა. ამ საკითხს ევროპული ფეხბურთის მამები უეფას აღმასკომის სხდომაზე ამა წლის ივლისში განიხილავენ.

აზიის ფეხბურთის კონფედერაციის ხელმძღვანელმა პეტერ ველაფმა ზემოაღნიშნულ ფაქტს შემდეგი კომენტარი გაუკეთა: „ჩვენ ეს არ გაგვკვირვებია, რადგანაც ყაზახეთს ადრეც გამოუთქვამს აზიის კონფედერაციის დატოვების სურვილი. ვიმედოვნებ, რომ უეფა ყაზახეთს თავის რიგებში გააწევრიანებს.“

ყაზახეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ალიევი განმარტავს: „უეფას რიგებში ჩვენი გაწევრიანების სურვილი სავსებით ბუნებრივია, რადგანაც ჩვენ საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ევროპული ფეხბურთის ოჯახის წევრად ვითვლებოდით.“

უეფას გენერალურმა დირექტორმა გერჰარდ აიგნერმა მრავალგზის აღნიშნა, რომ ყაზახეთის უეფას შემადგენლობაში გაწევრიანება მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, თუკი იგი არ იქნება არც ერთი ასოციაციის წევრი. ასე რომ, ყაზახეთის აზიის კონფედერაციიდან გასვლა შუააზიელთა ევროპული ფეხბურთის გრანდებთან გაწევრიანების აუცილებელი პირობა გახლავთ.

აი რა განაცხადა უეფას პრეზიდენტმა ლენარტ იუჰანსონმა: „ყაზახეთის ფედერაციის სურვილის აღსრულებას ხელს შევუწყობთ, რადგანაც ეს არის ქვეყანა, რომელსაც სერიოზული საფეხბურთო ინტერესები გააჩნია, ამიტომაც ჩვენ მივესალმებით მათ გაწევრიანებას უეფას რიგებში.“

როიტერის სააგენტოს ცნობით, ყაზახთა სურვილს ისიც უწყობს ხელს, რომ თურმე ყაზახეთის ტერიტორიის დიდი ნაწილი ევროპის კონტინენტს ეკუთვნის...

ისე, საინტერესოა, რა რეაქცია ექნებოდათ ამ განცხადებაზე ათიოდე წლის წინ საბჭოთა ფეხბურთის მამებს, რომელნიც ჩვენი ქვეყნის უეფაში გაწევრიანების უკანონობის საბაბად აქტიურად მიანიშნებდნენ, რომ საქართველოს ტერიტორია ცალსახად აზიის კონტინენტის კუთვნილებაა.

**გამუჟა ნაცვალაძე**


იყიდება!
ნახმარი
კომპიუტერული ტექნიკა
ტელ. 38-11-14, 39-48-29

ინფორმაცია 24 საათის განმავლობაში
ფეხბურთი, NHL, NBA
8 22 009000, 8 22 009 001 (1წთ / 50 თეთრი)

იყიდება
ვიოლინო, ზომა 3/4.
ტელ: 33-27-36


### ფეხბურთის რუკასთან



**იტალიური** „მილანის“ ფეხბურთელებმა — კლაუდიო სერჯინიომ, სებასტიანო როსიმ და დანიელე დაინომ კლუბთან ახალი კონტრაქტი გააფორმეს. სერჯინიომ „მილანში“ დარჩენა 2005 წლამდე ისურვა, ხოლო როსიმ და დაინომ — 2004 წლამდე. მანამდე სუპერკლუბთან კონტრაქტი გაახანგრძლივა ნახევარმცველმა ფრანჩესკო კოკომ. ხოლო, როგორც ადრე გაუწყეთ, იგივეს გაკეთებას, ოღონდ სერია A-ს დასრულების შემდეგ, ჯენარო გატუზოც აპირებს.

**ბრაზილიელმა** ნახევარმცველმა ზე რობერტომ მალე შესაძლოა „ლევერკუზენი“ დატოვოს და კარიერა „დეპორტივოში“ გააგრძელოს. სააგენტოების ცნობით, გალისიური კლუბი თანახმაა, მის სანაცვლოდ 8 მილიონი გირვანქა გადაიხადოს. აღსანიშნავია, რომ ბრაზილიელს პრიმერადივიზიონში უკვე უთამაშია, 1996-97 წლების სეზონში ის მადრიდის „რეალის“ ღირსებას იცავდა. არ გამორიცხავენ, რომ „დეპორტივომ“ ბუნდესლიგელებს ზე რობერტოში ნახევარმცველ ფრანის გაცვლა შესთავაზოს, თან თანხა დაამატოს. გალისიური კლუბი 32 წლის ფეხბურთელის გაშვებას აპირებს და მის სანაცვლოდ 2 მილიონ გირვანქას ითხოვს.

**ინგლისის** პრემიერლიგაში ახალაღზევებულმა „ბლექბერნმა“ „ტერნანას“ თავდამსხმელ კორადო გრაბი შეიძინა: სააგენტოები იუწყებიან, რომ ბრიტანულმა კლუბმა მის სანაცვლოდ 7 მილიონი გირვანქა გადაიხადა, ოთხწლიანი კონტრაქტი გაუფორმა და წელიწადში ერთ მილიონ გირვანქას გადაუხდის. „პრემიერლიგა უკეთესი ჩემპიონატია, ვიდრე სერია A. ელიტარული იტალიური კლუბებიც მეპატიჟებოდნენ, თუმცა საბოლოოდ ინგლისში გადასვლა ვარჩიე“ — განაცხადა გრაბიმ, რომელმაც სერია B-ს ახლახან დასრულებულ სეზონში 20 გოლი გაიტანა.

**გერმანული** „ჰერტას“ ყოფილმა ნახევარმცველმა სიქსტენ ვაიტმა კარიერა „ბეშიქთაშში“ გააგრძელა, იქამდე მას „კოტბუსიც“ ეპატიჟებოდა. 31 წლის ფეხბურთელმა კრისტოფ დაუმის გუნდთან ორწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი და წელიწადში 250 ათას გირვანქას მიიღებს.

# მიბაძეთ მანეს გიჟმაჟ ბიჭებს...

*მაშ ასე, ევროპის წლევანდელი საფეხბურთო სეზონიც თითქმის გასრულდა. თითო ტური ესპანეთსა და იტალიაში, კიდევ რამდენიმე წვრილი ბურთაობა და მერე ახალიც დაიწყება.*

*და ვინ გაგვახსენდება როცა 2001 წლის გაზაფხულს მოვიგონებთ? ვინ და, ალბათ „ალავესი"... რატომ? იმიტომ, რომ „ბაიერნი" ისევ შეხვდება „მანჩესტერსა" და „რეალს", თასი თუ არ აიღო, ნახევარფინალში მაინც გავა. „ლივერპულიც", ალბათ ლიგაში ითამაშებს. აი, „ალავესი" კი ყოველთვის თავისებურ და ლამაზ მოგონებად დაგვრჩება. ბასკებმა ხომ სასწაული — მოახდინეს დებიუტის წელს უეფას თასის ფინალს უწიეს, თანაც ღირსეულად და ლამაზად. შესაძლოა, ეს გუნდი რამდენიმე წელიწადში პრიმერადივიზიონიდანაც გავარდეს, მაგრამ მათი ვარდისფერი ზღაპარი ზღაპრადვე დარჩება. ამიტომაც მოინათლნენ სეზონის აღმოჩენად. ლეგენდარული იოჰან კრუიფი ამბობდა, დორტმუნდული ფინალი ყველაზე უინტერესო იქნება უეფას თასის ისტორიაში, რადგან „ალავესი" კლასით და სახელით დიდად ჩამორჩება „ლივერპულსო", მაგრამ პირიქით კი მოხდა. ასეთი ლაღი და ალალი ფეხბურთი დიდი ხანია აღარ გვინახავს, არადა გადამწყვეტი მატჩი იყო — ცხრა გოლი „ვესტფალენ შტადიონზე" მართლაც განუმეორებელი რამ გახლდათ. ამიტომაც მოხდა, წაგებულები სამშობლოში გმირებივით რომ მიიღეს.*

*„ალავესის" გამოხტომა ნიშანია იმისა, რომ ფეხბურთს ჯერ კიდევ შემორჩა უბრალოება და მხოლოდ „ბაიერნი" — „რეალის" მატჩებით არ შემოიფარგლება. დღეს კი გთავაზობთ „უორლდ სოკერის" წერილს, რომელიც ბასკურ კლუბზე გვიამბობს.*



მანე კარგი კაცია

**ასეთი** რამ „მეხელენის" შემდეგ აღარავის გაუბედავს. ანუ არცერთ „გამომხტომს" მსგავსი გზა არ გაუვლია. 1988 წელს „მეხელენმა" თავისი ევროდებიუტი თასების თასის აღებით დაამთავრა, მომდევნო წელს კი ნახევარფინალამდე მივიდა. დროის ამ მონაკვეთში 16 (!) წაუგებელი მატჩი ჩაატარა. მაგრამ „ალავესი" უფრო შორს წავიდა, რადგან ცნობილია, უეფას თასისკენ მიმავალი გზა უფრო გრძელი და ძნელია.

ბასკთა ქვეყანა მთელი ასწლეულის განმავლობაში „რეალ" — „ბარსელონას" ღერძის რაღაც საწინააღმდეგოს ემსახურებოდა. ბილბაოს „ატლეტიკი" და სან სებასტიანის „რეალ სოსიედადი" დიდ ძალას წარმოადგენდნენ. დღეს ეს ორი კლუბი ბევრი ვერაფრით დაიკვეხნის. კლუბში მხოლოდ ბასკი ფეხბურთელების ყოლის პოლიტიკამ „ატლეტიკი" საშუალო გუნდად აქცია. „სოსიედადიც" მთელი სეზონი ცხრილის სარდაფში ჩარჩენილიყო და მხოლოდ ჩემპიონატის პირველ ნახევარში სამი მწვრთნელი შეიცვალა.

ამ ვითარებაში ბასკური ფეხბურთის მედროშე მესამე ძალა — „ალავესი" გახდა. ამ გუნდის სახელი პროვინცია ალავადან მოდის, რომლის დედაქალაქი ვიტორიაა. 1921 წელს დაარსებულ „ალავესს" 1998 წლამდე ესპანურ ფეხბურთში დიდი ვერაფერი კვალი დაეტოვებინა, თუმცა ზოგჯერ გუნდში ფერენც პუშკაშისა და ხორხე ვალდანოს დარი ხალხი ტრიალებდა. პუშკაში „ალავესს" 60-იანი წლების ბოლოს წვრთნიდა, ხოლო ვალდანომ იქ თავისი ესპანური კარიერა დაიწყო.

გზა, რომელიც „ალავესმა" ბოლო ათწლეულში გაიარა, მართლაც შთამბეჭდავია. ჯერ კიდევ 1990 წელს გუნდი მეოთხე დივიზიონში იყო. 95-ში მეორემდე აღზევდა. სამი სეზონის შემდეგ კი ხოსე მანუელ ესნალ პადროს, ანუ მანეს თავკაცობით პრიმერადივიზიონის საგზურიც მოიპოვა.

ბასკურ სოფელ ბალმასედაში დაბადებულმა მანემ მართლაც სასწაული მოახდინა. თუმცა პირველ ელიტარულ სეზონში კინაღამ გავარდნენ. ვიტორიელები იმან გადაარჩინა, რომ მთავარმა კონკურენტმა „ესტრემადურამ" ბოლო ტურში უკვე გავარდნილ „ვილიარეალს" ვერ მოუგო. მანეს ხელი არ ჩაუქნევია და მომდევნო სეზონში ვიტორიელებმა ყველა გააკვირვეს. თუ სადებიუტო წელს „ალავესმა" „ბარსასთან" 1:7 წააგო, მერე შინაც და სტუმრადაც დაამარცხა, ამათ „რეალი" ზედ „სანტიაგო ბერნაბეუზე" მიაყოლა და არც მომავალი ჩემპიონი „დეპორტივო" დაინდო. ასეთი რამ ესპანურ ელიტაში სხვას ვერავის მოეხერხებინა.

„ალავესმა" სეზონი მეექვსე ადგილზე დაამთავრა, თუმც მეოთხესთან, ანუ ჩემპიონთა ლიგაში გამსვლელთან მხოლოდ ერთი გამარჯვება აშორებდა. ბოლო ტურში „ატლეტიკმა" მანეს გუნდს 2:1 მოუგო და ყველაფერი წყალში ჩაუყარა, თუმცა, როგორც აღმოჩნდა, ვიტორიელები ლიგაში მაინც ვერ მოხვდებოდნენ, რადგან ჩემპიონთა თასის მფლობელმა „რეალმა" მეხუთე ადგილი დაიკვა და ლიგის საგზური ავტომატურად მიიღო, უეფას დებულებით კი ერთ ქვეყანას ლიგაში ოთხ გუნდზე მეტის წარდგენა არ შეუძლია.

პატარა „ალავესი" მრისხანე „რეალს" ცხრილში მხოლოდ ერთი ქულით ჩამორჩა. მაგრამ რამხელა განსხვავებაა ამ გუნდების ფინანსურ შესაძლებლობებს შორის... 1999-2000 წლების სეზონის წინ „რეალმა" შემადგენლობის გაძლიერებისთვის 75 მილიონი დოლარი დახარჯა. „ალავესმა" ათჯერ ნაკლები. წლევანდელი სეზონის წინ სხვაობა კიდევ უფრო გაიზარდა. ბასკებმა ახალი ფეხბურთელების საყიდლად ჯამში დაახლოებით 5 მილიონი დოლარი დახარჯეს, „რეალმა" კი მხოლოდ ფიგუში გადაიხადა 56 მილიონი...

თუმცა, 50 წლის მანემ დაბალ დივიზიონებში მუშაობისას კარგად ისწავლა შეზღუდული რესურსებიდან როგორ ამოიღოს მაქსიმუმი. მან ტექნიკური დირექტორების, ხოსე მარია გარსიასა და ხუან კარლოს როდრიგესის გონიერი სასელექციო მუშაობის დახმარებით ალავესური ფენომენი შექმნა.

ორ წელიწადში გუნდის შემადგენლობა თითქმის მთლიანად შეიცვალა. იმათგან, ვინც შარშანწინ ლიგაში დასარჩენად იბრძოდნენ, მხოლოდ მცველი ანტონიო კარმონა და შუახაზელი ერმეს დესიო დარჩნენ.

მეკარე მარტინ ერერამ, რომელიც არგენტინულ „ფერო კარილიდან" გადაიყვანეს, შარშან „ზამორას პრიზი" მოიგო. ეს ჯილდო ესპანეთში ყველაზე ნაკლები გოლის გამშვები მეკარესია. ერერამ 37 ბურთი გაუშვა და მეკარეთაგან საუკეთესო კოეფიციენტი აღმოაჩნდა.

და ვინ იცოდა, რუმინელი მცველი კოზმინ კონტრა, ბუქარესტის „დინამოში" რომ აღმოაჩინეს?...

ორი კაცი, ხორდი კრუიფი და ივან ტომიჩი „ალავესამდე" სუპერკლუბებში — „მანჩესტერ იუნაიტედსა" და „რომაში" ირიცხებოდნენ. სწორედაც რომ ირიცხებოდნენ, რადგან მინდორზე იშვიათად ჩნდებოდნენ, ვიტორიაში კი თავის გამოჩენის შესაძლებლობა მიეცათ და გამოიჩინეს კიდეც. ტომიჩიმა დიდი ჯაფა გასწია „ინტერის" დასამარხცებლად, ხორდის დიდებული თავური კი ფინალის ბოლო წუთზე ფეხბურთის ისტორიაში ჩაიწერა.

მარცხენა მცველი დელფინ ჯელი შარშან ქვედადივიზიონელ „ალბასეტედან" გადაიბირეს. მანამდე ის „ბეტისში" უნდა გადასულიყო, მაგრამ სამედიცინო ტესტი ვერ გაიარა, ხოლო „ალავესში" ახალგაზრდობა გაიხსენა და იმ კაცს დაემსგავსა 1996-ში მადრიდის „ატლეტიკოსთან" ერთად ოქროს დუბლი რომ შეასრულა. თუმცა... ფინალში გადამწყვეტი გოლი საკუთარ კარში გაიტანა და ევროთასების ანტიგმირთა სიაშიც მოხვდა.

შარშან თავდასხმაში ბებრები ხულიო სალინასი და მეხო კოდრო თამაშობდნენ. მაგრამ ბევრი ვერაფერი მოახერხეს, 38 მატჩში კლუბმა მხოლოდ 41 გოლი გაიტანა. წლეულს კი შეტევაში „ბარსელონას" გაზრდილი ხავი მორენო დააყენეს. ფინალში ორი გოლის გამტანი ხავი ზაფხულიდან ოთხი წლით „მილანში" გადაბარგდება. „შავწითლებმა" მასში შვიდნახევარი მილიონი დოლარი გადაიხადეს (ჯერჯერობით კი, პრიმერადივიზიონის დამთავრებამდე ტურით ადრე, ხავის 21 გოლი მოუგროვდა და ბომბარდირთა დავაში მხოლოდ ერთით ჩამორჩება რეალელ რაულს — რედ). საინტერესოა, რომ „ალავესმა" ხავი სულ რაღაც 16 ათას დოლარად შეიძინა...

ურუგვაელ ივან ალონსოში „რივერ პლეიტს" 1 მილიონი დოლარი აკმარეს, კრუიფი და ჯელი ვიტორიას თავისუფალ აგენტებად ეწვივნენ, ტომიჩი კი „რომამ" გაანათხოვრა.

აი, ასე. გამოდის, მანემ თავისი გიჟმაჟი გუნდი სულ რაღაც კაპიკებად შეკრიბა. მერე კი დაიწყო, გაგრძელდა და უეფას თასის ფინალით დამთავრდა. გზად ვიტორიელებმა მილანური „ინტერი" ჩამოიცილეს, ხოლო გერმანულ „კაიზერსლაუტერნს" ჯამში 9 გოლი გაუტანეს...

რით არ გავს ეს ყველაფერი ზღაპარს?



„ინტერის" ძლევა ძნელი და მით უფრო გასახარია: ივან ალონსო (№19), ივან ტომიჩი (№15) და ხორდი კრუიფი



ხავი მორენომ „ლივერპულს" ორი გოლი გაუტანა

# კვარმე და რამე ტოშაკმა სოსიედადი დაახარისხა



ჯონ ტოშაკი: კვარმე გამოგვადგება

**არის** ასეთი ფეხბურთელი — ნორვეგიელი მცველი ბიორნ ტორე კვარმე. გეცნობათ? ალბათ, არა. ჰოდა, ბასკური „რეალ სოსიედადის" უელსელმა მწვრთნელმა ჯონ ტოშაკმა იგი უკვე სათავისოდ დაიგულა.

მაგარი კაცი ყოფილა ტოშაკი. მივიდა დაჩაჩანაკებულ, ფაქტობრივად გასავარდნად განწირულ გუნდში და პირველი რაც თქვა, ეს იყო: „სოსიედადი" არ გავარდება"! ასეც მოხდა, გიორგი დემეტრაძის გუნდი 2001-2002 წლების სეზონშიც პრიმერადივიზიონში ითამაშებს.

ესპანეთში ჩემპიონატი ჯერ არ გასრულებულა, ტოშაკმა კი „სოსიედადის" ახალი განაცხადი წარადგინა, 22 ფეხბურთელი სრულიად საკმარისიაო.

ქვემოთ „სოსიედადის" იმ მოთამაშეებს გაგაცნობთ, რომლებიც ახალი სეზონიდან ამ კლუბის ღირსებას დაიცავენ. მათ შორისაა ბიორნ ტორე კვარმეც.

ნორვეგიელი ცენტრალური მცველი ორი წლის წინ ტრონჰეიმის „რუსენბორგიდან" ინგლისურ „ლივერპულში" გადაბარგდა, თუმცა მერსისაიდულ კლუბში ფეხი ვერ მოიკიდა და ნისლიანი ალბიონიდან წასვლა გადაწყვიტა: ის ფრანგულ „სენტ ეტიენში" ჩაირიცხა, კლუბში, სადაც ერთი ხანობა ტოშაკიც მუშაობდა. მწვრთნელმაც შეგირდი ახლა თავისთან იხმო.

„მას მომავალ კვირაში ველით. კვარმე ნიჭიერი მცველია და „სოსიედადს" დიდად წაადგება" — განაცხადა ტოშაკმა.

22 ფეხბურთელში ვერ მოხვდა ექვსი ისეთი, რომლებსაც ჯერაც დაუსრულებელ ჩემპიონატში „სოსიედადის" მაისურა უკვე მოურგიათ. ბრაზილიელი ჟულიო სეზარი, რომელიც მადრიდის „რეალს" ჰყავდა განათხოვრებული, ჩემპიონებს სეზონის დასრულებისთანავე შეუერთდება. აი, სერხიო კორინო, სტეფან კოლე, ხოსე ფელიქს გერერო და იგორ ხაურეგი ტრანსფერზე დააყენეს. ვეტერანმა მიგელ ფუენტესმა კი ბუცები ლურსმანზე ჩამოკიდა.

**გიორგი გუჯაბიძე**

**რეალ სოსიედადი**
**(სან სებასტიანი) 2001-2002**

**მეკარეები**

1 ალბერტო ლოპესი
13 მატიას ასპერი

**მცველები**

2 ბიორნ ტორე კვარმე
3 აუგუსტინ არანსაბალი
4 ხაბი ალონსო
5 ლორენი
11 მიკელ არანბურუ
14 აიტორ ლოპეს რეკარტე
15 ზუჰაი გურუჩაგა

**ნახევარმცველები**

6 ლუის ალბერტო
8 ტაიფუნ კორკუტი
12 ხოსე ანტონიო პიკაბეა
16 ხოსება ლორენტე
17 იგორ ხაბილონდო
18 იჩიგო იდიაკესი
19 დმიტრი ხოხლოვი
20 ხოსე ხავიერ ბარკერო

**თავდამსხმელები**

7 გიორგი დემეტრაძე
9 ოსკარ დე პაულა
10 ხავიერ დე პედრო
21 ალბერტო ალეხანდრო
22 ედგარას იანკაუსკასი

# მაჰორიჩის შენიშვნები ხშირად მაღიზიანებს, მაგრამ ვიცი, ამას ჩემთვის აკეთებს

*საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში პირველად „კოლხას" შემადგენლობაში გამოჩნდა. ჯერ სრულიად ახალგაზრდას, ძალიან მაღალსა და ჩინებული მონაცემების პატრონს, პერსპექტიულ ნიკა ცქიტიშვილს კარგ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ. მან ეროვნულში სრულად ერთი სეზონის ჩატარებაც ვერ მოასწრო, რომ უცხოელ სპეციალისტთა ყურადღება მიიქცია. გავიდა ცოტა დროც და თექვსმეტი წლის ნიკა სლოვენიაში, ლიუბლიანის „სლოვანში" აღმოჩნდა. ეს ორი წლის წინ მოხდა. ნიკამ ბალკანეთში ბევრი რამ ისწავლა, „სლოვანის" შემადგენლობაში ქვეყნის ჩემპიონატის ბრინჯაოსაც დაეუფლა და ამ წარმატებაში სხვა ქართველებთან ერთად მისი დიდი დამსახურებაცაა. იგი ზაზა ფაჩულიასა და დავით უგრეხელიძესთან ერთად ეროვნული ნაკრების ყველაზე ახალგაზრდა წევრია და უკვე მოასწრო თავის გამოჩენა. რამდენიმე დღეში ნიკა იტალიაში მიემგზავრება, ტანმაღალ კალათბურთელთა საერთაშორისო შეკრებაზე, რომელსაც ცნობილი იტალიური კლუბი „ბენეტონი" ატარებს ფირმა „ნაიკის" ხელშეწყობით და რომელსაც მსოფლიოს კალათბურთის მრავალი სპეციალისტი დაესწრება. ამ და სლოვენიურ ამბებთან დაკავშირებით ნიკას გუშინ ვერის ბაღში, ახალგაზრდული ნაკრების ვარჯიშის შემდეგ გავესაუბრეთ.*

**— როგორ შეეგუეთ სლოვენიას?**

— ჩინებულად. პირველად რომ ჩავედი, სამივე ქართველი — დავით უგრეხელიძე, ირაკლი კეიდია და მე ერთად ვცხოვრობდით. მაგრამ შემდეგ, როცა იქ დედაჩემი და ჩემი ძმა ჩამოვიდნენ, ცალკე ოროთახიანი ბინა გამომიყვეს. იდეალური პირობები მაქვს, როგორც სავარჯიშოდ, ისე ყოფითი თვალსაზრისით. ამ ბოლო ხანებში, როცა სლოვენიურ ენას ცოტა რამ გავუგე, არანაირი პრობლემა აღარ მაქვს. მოკლედ, ყველაფრით კმაყოფილი ვარ.

**— ქართველების გარდა გუნდის სხვა წევრებთანაც მეგობრობთ?**

— მინდა გითხრათ, რომ ამ მხრივ ნამდვილად გამიმართლა. არ ვიცი, სლოვენიის სხვა გუნდებში რა სიტუაციაა, მაგრამ „სლოვანში" ყველა კალათბურთელი ერთმანეთის მეგობარია. იმის მიუხედავად, რომ ზოგ კალათბურთელს შორის არცთუ მცირე ასაკობრივი სხვაობაა, ერთმანეთს ყველა ჩინებულად ვუგებთ. ის კი არა, როდესაც ვარჯიში გვიმთავრდება, კვლავ ვიკრიბებით და თავისუფალ დროსაც ერთად ვატარებთ.

**— მწვრთნელზე რას იტყვით, როგორი თვალით გიყურებთ?**

— ტომო მაჰორიჩი, ჩემი აზრით, ერთ-ერთი ყველაზე მაღალი დონის მწვრთნელია სლოვენიაში. როგორი კარგი სპეციალისტიც არის, ასეთივე პიროვნებაა. მას ჩემთან განსაკუთრებული დამოკიდებულება აქვს, დიდ ყურადღებას მაქცევს და ყველანაირად ცდილობს, კარგ კალათბურთელად ჩამომაყალიბოს. ყოველ ვარჯიშზე სულ ცოტა ოც შენიშვნას მაძლევს. ჩემი არც ერთი მოძრაობა არ ეპარება, მცირე, შეუმჩნეველი შეცდომის დროსაც კი მაჩერებს და მანამდე არ მაგრძელებინებს ვარჯიშს, სანამ ყველაფერს მისი მითითების თანახმად არ გავაკეთებ. მართალი გითხრათ, როცა ასეთი მომენტები გამუდმებით მეორდება ხოლმე, ძალიან ვღიზიანდები, მაგრამ რა ვქნა, ვიცი, რომ მაჰორიჩი ამას მხოლოდ ჩემს სასიკეთოდ აკეთებს. მისი დიდი მადლობელი ვარ.

**— რთული ვარჯიშები გაქვთ?**

— ძალიან დატვირთული გრაფიკია. დღეში ორჯერ ვვარჯიშობთ. დილით უფრო ფიზიკურად ვემზადებით, ხოლო საღამოს მეტ დროს ბურთთან ვატარებთ და თამაშის ტაქტიკურ მხარეს ვხვეწთ.

**— გამოდის, თავისუფალი დრო არ გრჩებათ.**

— ძალიან ცოტა. მხოლოდ ერთი დღე, შაბათი, ისიც თამაშის შემდეგ გვაქვს თავისუფალი. ამ დროს ძირითადად ბარში, თანაგუნდელებთან ერთად ვატარებ. ვცდილობთ, გადატვირთული კვირის შემდეგ მაქსიმალურად დავისვენოთ.

**— ამ სეზონში ხშირად გიწევდათ თამაში?**

— პირველ სეზონს თუ შევადარებ, დიდი განსხვავებაა. წლეულს ერთ მატჩში საშუალოდ ოცი წუთი ვიყავი მოედანზე.

**— როგორ შეაფასებდით თქვენს თამაშს?**

— მას შემდეგ, რაც სლოვენიაში ჩამოვედი, თამაშის დონე ყველა ასპექტში ერთიორად ამიმაღლდა. თავიდან ცოტა გამიჭირდა, მაინც პირველი წელი იყო და ვნერვიულობდი. სადებიუტო და განვლილი სეზონები რომ შევადარო, უდიდესი პროგრესი განვიცადე. ყველა სათამაშო კომპონენტში, მოხსნა იქნება, დაფარება, დრიბლინგი თუ ბურთის ჩაგდება, საგრძნობ წინსვლას მივაღწიე. ამის მთავარი მიზეზი ის გახლავთ, რომ სლოვენიის დიდებული საკალათბურთო სკოლა გავიარე. თანაც, როცა იქ ჩავედი, მხოლოდ თექვსმეტი წლის ვიყავი. იქ ძალიან ბევრი რამ ვისწავლე და იმედი მაქვს, მომავალშიც ასე გაგრძელდება.



[illegible] ფოტო

**— „სლოვანთან" როგორი კონტრაქტით ხართ დაკავშირებული?**

— ჩემი კონტრაქტი სამწლიანია, მაგრამ შესაძლებელია, ეს ვადა კიდევ ერთი წლით გახანგრძლივდეს, თუ ამის სურვილი ორივე მხარეს გვექნება. წესით, კიდევ ერთი წელი უნდა ვითამაშო „სლოვანში". მერე ვნახოთ.

**— სხვა გუნდები ხომ არ დაინტერესებულან თქვენით?**

— დიახ.

**— სლოვენიური ხომ არა?**

— მომავლის დაგეგმვა და ამაზე ლაპარაკი არ მიყვარს. მხოლოდ ერთი რამის თქმა შემიძლია — ეს გუნდი არ არის სლოვენიური. დანარჩენს მაშინ ვიტყვი, როცა საქმე გადაწყდება.

**— სლოვენიაში როდის მიემგზავრებით?**

— ოცდაერთში იტალიაში მივფრინავ, ხოლო იქიდან სლოვენიაში ჩავალ და ივლისის დასაწყისისთვის კვლავ თბილისში ვიქნები. ახალგაზრდულ ნაკრებში ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლი მაქვს სათამაშო, რომელიც ათენში გაიმართება.

**— იტალიაში რისთვის მიდიხართ?**

— იქაურ კლუბ „ბენეტონის" თაოსნობით „ნაიკ კემპი", ტანმაღალ კალათბურთელთა შეკრება ტარდება, სადაც მრავალ უცხოელთან ერთად მეც მივიღებ მონაწილეობას. ეს ჩემმა მენეჯერმა გამიხერხა.

**— უფრო კონკრეტულად, თუ შეიძლება.**

— ეს იქნება ტანმაღალ მოთამაშეთა შეკრება, რომელსაც უცხოელი სპეციალისტები და მწვრთნელები დაესწრებიან როგორც ევროპიდან, ისე ამერიკის შეერთებული შტატებიდან. იქ შეკრებილნი რამდენიმე საჩვენებელ შეხვედრას გავმართავთ და იმ შემთხვევაში, თუ რომელიმეს მოგვიწონებენ, შესაძლოა სოლიდური კონტრაქტი შემოგვთავაზონ. ვნახოთ, რა გამოვა.

**— საქართველოდან მხოლოდ თქვენ იქნებით?**

— შეიძლება ზაზა ფაჩულიაც ჩამოვიდეს. თუ ასე მოხდა, ძალიან მოხარული ვიქნები.

**— „სლოვანი" წლეულს ბრინჯაოს დაეუფლა. გაგიძნელდათ?**

— პირადად ჩემთვის ეს უდიდესი წარმატებაა. ფრიად გახარებული ვარ. თუმცა შესაძლებელი იყო, ასე არც მომხდარიყო, რადგან სეზონის მიწურულს ფინანსურმა პრობლემებმა იჩინა თავი. მოთამაშეთა უმრავლესობა უკმაყოფილო იყო და ანაზღაურებას მოითხოვდა, თუმცა მათ დაწყებული საქმე ბოლომდე მიიყვანეს და მესამე ადგილიც დავიკავეთ. ამის შემდეგ კი ყველაფერი გამოსწორდა, სპონსორებიც გამოგვიჩნდნენ და პრობლემებიც მოგვარდა. სამომავლოდ უფრო მეტს გვპირდებიან, რაც დამატებით სტიმულს გვაძლევს იმისთვის, რომ უფრო მაღალი შედეგებისთვის ვიბრძოლოთ.

**— თითქმის გადაწყვეტილია, რომ ვლადიმერ ბოისა „სლოვანს" დატოვებს. კლუბის ხელმძღვანელობას ვისი დამატება სურს?**

— როცა საქართველოს ნაკრები სლოვენიაში იმყოფებოდა, ჩვენს მწვრთნელს ძალიან მოეწონა ნუგზარ კოკოლიშვილი და მას კონტრაქტიც კი შესთავაზა. იგი ძირითადად ნუგზარის მებრძოლი ხასიათითა და დაცვითი თამაშით მოიხიბლა. არ ვიცი, თავად კოკოლიშვილი რას ფიქრობს. ისე, თუ მან მოინდომა, „სლოვანში" მისი მისვლის წინააღმდეგი არავინაა.

**— რას იტყვით ჩვენი ეროვნული გუნდის ბოლოდროინდელ თამაშზე? უკვე დიდი ხანია, ჩვენს ნაკრებს ზედიზედ სამი მატჩი არ მოუგია.**

— კარგის მეტს ვერაფერს. მართალი გითხრათ, ვერც ვიხსენებ ასეთ რამეს. ჩვენი ნაკრების წინსვლა სწორად, ეტაპობრივად მიმდინარეობს. მჯერა, რომ იგი კვლავ გაგრძელდება და უფრო და უფრო დაიხვეწება ჩვენი გუნდის თამაში. ამისთვის საჭიროა, რაც შეიძლება ხშირად შევიკრიბოთ.

**— ჩვენი ნაკრების ჯგუფიდან გასვლის შანსებს როგორ შეაფასებდით?**

— მას შემდეგ, რაც ბულგარეთმა ბელარუსი დაამარცხა, საქმე ცოტათი გაგვირთულდა. არ ვიცი, ბულგარეთში რა მოხდა, რატომ წააგო ბელარუსმა ასეთი დიდი ანგარიშით, მაგრამ, მართალი გითხრათ, ეს ნაკლებად მაინტერესებს. ბულგარელები თბილისში ყველა სათამაშო კომპონენტში დავჯაბნეთ და ისეთი რა უნდა დაგვიპირისპირონ, რომ მოგვიგონ. ვფიქრობ, ყველაფერი ჩვენს სასარგებლოდ დასრულდება და საქართველოს ნაკრები მომდევნო ეტაპზე ითამაშებს.

**ირაკლი ბერტაია**

# სიეტლში იმუნიტეტს უხსნიან, ლუკასს ხმალს სთავაზობენ

**2000-01 წლების** სეზონი ნბა-ს ორი კლუბის, „ლოს ანჯელეს ლეიკერსისა" და „ფილადელფია სიქსერზის" გარდა, ყველა დანარჩენისთვის დასრულდა, თუმც ეს არამც და არამც არ ნიშნავს იმას, რომ საჩემპიონო ბრძოლას ფინალამდე გამოთიშული კლუბები ზამთრის (ამ შემთხვევაში ზაფხულის) ძილს მიეცემიან და ახალი სეზონის დაწყებამდე არ გაიღვიძებენ.

ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში ფუსფუსი არ წყდება. სხვებზე მეტად კი განვლილი სეზონით უკმაყოფილონი აქტიურობენ.

გამონაკლისი არც ჩვენებური ვლადიმერ სტეფანიას ყოფილი გუნდის „სიეტლ სუპერსონიქსია". „ზებგერითებს" აქვთ უკმაყოფილების საბაბი. 1996 წლის შემდეგ, როცა „სონიქსი" ნბა-ს ფინალში გავიდა, გუნდი თანდათან დაბლა ეშვება და აგერ ბოლო სამ სეზონში მეორედ გამოტოვა პლეი ოფი. ამან კლუბის მამები საფუძვლიანად ააფორიაქა და გუნდში ძირეული ცვლილებების განხორციელება აფიქრებინა.

„როდესაც საჩემპიონო გუნდი გყავს, მასში რამდენიმე ხელშეუხებელი მოთამაშე ყოველთვისაა. ჩვენი გუნდი კი ასეთი არაა" — ეს სიტყვები რიკ სანდს ეკუთვნის. იგი „სუპერსონიქსის" ახალი გენერალური მენეჯერი გახლავთ, რომელიც ამ პოსტზე მას შემდეგ დაინიშნა, რაც ძველმა, ვალი უოლკერმა სკამი გაათავისუფლა და კლუბის მფლობელებში გაერია. სანდი აქტიურად ჩაერთო საკლუბო საქმიანობაში და პირველი, რაც გააკეთა, ის იყო, რომ გუნდის ლიდერებს „იმუნიტეტი" მოუხსნა. ამასთან, მან მკაფიოდ გაუსვა ხაზი, რომ ხელშეუხებელი არც თვით ნბა-ს ერთ-ერთი უძლიერესი მოთამაშე გერი პეიტონია, რომელსაც ათი სეზონი ისე უთამაშია „სუპერსონიქსში", მისი გაყიდვა ან გაცვლა აზრად არავის მოსვლია. „მე არ ვამბობ, რომ გერის ნებისმიერ შემთხვევაში გავუშვებთ. უბრალოდ, გუნდი განახლებას საჭიროებს და თუ ხელსაყრელი წინადადება მივიღეთ, მოლაპარაკებებზე უარს არ ვიტყვით" — ამბობს სანდი. ბოლო სეზონში პეიტონის შედეგიანობამ მატჩში საშუალოდ 24 ქულას უწია, თუმც, როგორც ხედავთ, იგი შესაძლოა ბატონ სანდის რეფორმებს შეეწიროს.

თუ „სიეტლი" მზადაა, ასე იოლად შეელიოს გუნდის ლიდერს, ამისგან არც სხვა წამყვანი მოთამაშეები არიან დაზღვეულნი. „ზებგერითები" სიამოვნებითაც მოიშორებენ, მაგალითად, თავდამსხმელ ვინ ბეიკერს, რომლის თვიური ხელფასი მილიონს აჭარბებს, ამ ბოლო წელს გვარიანად გაზარმაცებული ვინი კი, ბევრის აზრით, ამის მეხუთედსაც არ იმსახურებს. დღესდღეობით იგი მხოლოდ აფერხებს კლუბის განვითარებას.

თითქმის გადაწყვეტილია 38 წლის ცენტრის, პატრიკ იუინგის გაშვებაც. სიეტლელები და თავად იუინგი დღეს უკვე აღიარებენ, რომ შარშან „სონიქსსა" და „ნიუ იორკს" შორის გაჩარხული გაცვლა, როცა 15-წლიანი ნიუიორკელობის შემდეგ იუინგმა „სიეტლის" მაისურა მოირგო (ამ გაცვლაში ვოვა სტეფანიაც მონაწილეობდა), არცთუ წარმატებული იდეა იყო. ამ ვარსკვლავთა სანაცვლოდ კი „სიეტლში" ახალ ბიჭებს ელიან, რომლებიც მეტი ხალისით გავლენ მოედანზე და ახალბედა მწვრთნელ ნეიტ მაკმილანის სიტყვასაც შეისმენენ.

უქმად არც სხვა კლუბები არიან. „კლივლენდ კავალიერზი" იმ კაცს ეძებს, რომელიც ამ კლუბის განკარგულებაში მყოფ კალათბურთელებს დამოძღვრავს და მეტოქეებზე დაგეშავს. ვგონებთ, გამოჩნდა კიდეც ასეთი — „დენვერის" მეორე მწვრთნელი ჯონ ლუკასი, რომელსაც „კავალერია" პირველი მხედართმთავრის ხმალს სთავაზობს.

ლუკასი 47 წლის მყვირალა კაცია, რომელიც 1992-96 წლებში „სან ანტონიოსა" და „ფილადელფიას" წვრთნიდა, ამ ორს 307 თამაშიდან 136 მოაგებინა და 171 წააგებინა. ბოლო ხუთი წელია, იგი მწვრთნელის ასისტენტიდაა და აი, საშუალება აქვს, კვლავ ჩაიბაროს ნბა-ს გუნდი. ისე კი, ხმა დაირხა, ლუკასს „კლივლენდის" გარდა „პორტლენდიც" ეპატიჟებაო. ერთი სიტყვით, ამ არცთუ ურიგო სპეციალისტს უმუშევრობა არ ემუქრება.

ოკეანგაღმა ლუკასს მომთხოვნ, მაგრამ ამავდროულად გამგებიან კაცად იცნობენ, რომელიც ადვილად აგვარებს ურთიერთობას ჭირვეულ კალათბურთელებთან. „კლივლენდისა" და „პორტლენდის" მოთამაშეებს კი სწორედაც რომ ვარსკვლავური სენი შეჰყრიათ და მკაცრ ხელს საჭიროებენ. მართალია, ლუკასს ოფიციალური მოლაპარაკებები ჯერ არც ერთ კლუბთან არ გაუმართავს, მაგრამ, ალბათ, მაინც „კლივლენდ კავალიერზთან" გააფორმებს კონტრაქტს.

**ირაკლი ფირაშვილი**

## იტალია

### პლეი ოფი

ფინალი (სამ მოგებამდე)

| | |
|---|---|
| **კინდერი** | **1** |
| **ფორტიტუდო** | **0** |

**კინდერი 86:81 ფორტიტუდო**

**კინდერი:** ჯინობილი (24), რიგოდო (13), ფროზინი (10), აბიო (3), გრიფიტი (8), იარიჩი (19), სმოდიში (4), ანდერსენი (5), ამბრასა

**ფორტიტუდო:** ბაზილე (3), მაიერსი (23), ბოუი (4), გალანდა, ფუჩკა (15), მენეგინი (9), გილი (17), დე პოლი (8), ჟუკაუსკასი (2)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ტომარაძე ნაკლზე საუბარს საკუთარი თავით იწყებს

## დაცვა: საქართველოს ნაკრების უმთავრესი საზრუნავი



***ბოლო წლებში ღრმად ეძინა ქართულ კალათბურთს და ბოლოს და ბოლოს ჩვენმა ნაკრებმა მოგება დაიწყო. გამოიღვიძა ამ სფეროში მოტრიალე ხალხმაც და უბრალო გულშემატკივარმაც, რომელსაც გამარჯვების გემო დავიწყებულიც კი ჰქონდა. მაგრამ ახლა ეიფორია დამღუპველია, ახალ საკვალიფიკაციო ციკლში სამივე მატჩის მომგები საქართველოს ეროვნული გუნდი ევროპული მასშტაბით კვლავაც უმდაბლეს საფეხურზე დგას, ჯერ საქმის ნახევარიც არ არის გაკეთებული. უმთავრესი ბრძოლები წინ აქვს ნაკრებს, მის აღმასვლაზე საუბარი ურთულესი ბარიერის გადალახვის შემდეგღა იქნება მიზანშეწონილი.***

***ამავე აზრზეა ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი ზურაბ ტომარაძეც. ამ ეტაპზე ის, რა თქმა უნდა, მიღწეულით კმაყოფილია, მაგრამ გაცილებით შორს მიმავალი გეგმები აქვს და ღმერთმა ქნას, ახლანდელი სიხარული მომავალში არაფრად მოგვეჩვენოს. საამისოდ კი ბევრი შრომაა საჭირო, დაუღალავი და მიზანმიმართული შრომა.***

***ზურაბ ტომარაძეს ამ რამდენიმე დღის წინ შევხვდით. ჩაიარა სანაკრებო ვნებათაღელვამ და მწვრთნელს ღრმა ანალიზის, მოვლენათა ცივი გონებით განჭვრეტის შესაძლებლობა მიეცა. ბუნებრივია, დღეს მას გაცილებით ბევრის თქმაც შეუძლია...***

— ნაკრების გამარჯვებები შემთხვევითი ნამდვილად არაა, მაგრამ სამომავლოდ ერთი გარემოებაც უნდა გავითვალისწინოთ. აქამდე ჩვენ ღირსეულ კონკურენტად არავინ გვთვლიდა და მეტოქეები გარკვეულწილად ზერელედ ეკიდებოდნენ ჩვენთან თამაშს. ახლა, როცა ჩვენი რეალური შესაძლებლობები დაინახეს, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ თითოეულ კალათბურთელს ზედმიწევნით შეისწავლიან, გუნდის სუსტ წერტილებს დაუწყებენ ძებნას და დარჩენილი მატჩებისთვის საგულდაგულოდ მოემზადებიან. ყოველივე, ცხადია, გაგვირთულებს საქმეს, მაგრამ ყველაფრისთვის მზად უნდა ვიყოთ, სუსტი მხარეები უნდა შევნიღბოთ და დარწმუნებული ვარ, წინ ვერაფერი დაგვიდგება.

**— თქვენი აზრით, ყველაზე მეტად რომელ კომპონენტში მოიკოჭლებს ნაკრები?**

— მუშაობა ყველა მიმართულებით მოგვიწევს. ნურავინ იფიქრებს, რომ საქართველოს ნაკრებმა ამ მოგებებით რაღაც განსაკუთრებული გააკეთა. ჩვენ ვალდებულები ვიყავით, სამივე მატჩში გაგვემარჯვა და მოვახერხეთ კიდეც.

თქვენს კითხვაზე უფრო კონკრეტულად რომ გიპასუხოთ, მოდით, ჩემგან დავიწყებ. ნაკრებს უპირველესად კვალიფიციური მწვრთნელები სჭირდება. ამხელა პოტენციის გუნდთან მუშაობისას ჩემი და ჩემი თანაშემწის, ნუგზარ კანდელაკის გამოცდილება მომავალში არ იქნება საკმარისი. ჩვენს მუშაობაშიც არის ნაკლოვანებები და ეს სისტემატური პრაქტიკითა და მწვრთნელთა საერთაშორისო სემინარებზე დასწრებით უნდა აღმოიფხვრას.

ახლა გუნდი იზრდება და გარკვეული სათამაშო სტილიც შეიძინა. თამაში, რაც ნაკრებმა ამ სამ მატჩში აჩვენა, დამაკმაყოფილებელი კია, მაგრამ სრულყოფამდე ჯერ ბევრი გვიკლია. ჩვენ საკმაოდ მწირი ტაქტიკური არსენალი გვაქვს იმასთან შედარებით, რასაც თანამედროვე კალათბურთის მოთხოვნები ითვალისწინებს. უმთავრესი საზრუნავი, ალბათ, გუნდის დაცვითი თამაშის მოდელის ჩამოყალიბებაა. პრესინგი, ზონური დაცვა, შერეული დაცვა — ერთი სისტემიდან მეორეზე გადაწყობა პრობლემას არ უნდა წარმოადგენდეს. ამის მერე იგივე თავდასხმის დახვეწაზეც უნდა ვიზრუნოთ, პოტენცია დიდია და უნდა გამოვიყენოთ, სხვადასხვა სტილის გუნდებთან სხვადასხვანაირი თამაში უნდა შეგვეძლოს.

**— ამის მცდელობა თბილისურ მატჩებშიც შეინიშნებოდა...**

— ძვრები ნამდვილად არის, ამ მხრივ, ვფიქრობ, უკვე გადავდგით წინ ნაბიჯი, ბულგარეთს სხვა კალათბურთი ვეთამაშეთ, ბელარუსს — სხვა. ერთადერთი, რაზეც გული მწყდება ისაა, რომ ბულგარეთის მეტი სხვაობით დამარცხება შეგვეძლო და შანსი ხელიდან გავუშვით. ისე, ამას კალათბურთელთა გამოუცდელობას უფრო მივაწერ, გუნდის ბირთვი ხომ მეტისმეტად ახალგაზრდულია, რამდენიმე მათგანი სულაც პირველად თამაშობდა სპორტის სასახლეში.

**— ბულგარელთა უფრო დიდი სხვაობით ძლევა ერთიორად მშვიდად გვამყოფებდა მეორე ეტაპის დაწყებამდე. პეტკო მარინოვის გუნდმა ბელარუსების 26 ქულით დამარცხებითაც დაამტკიცა, რომ ტრადიციულად შინ ძლიერად თამაშობს...**

— პირადად ჩემთვის დღემდე ამოუხსნელია, რის ხარჯზე მოახერხეს ბულგარელებმა ბელარუსთა განადგურება. ერთი შეხედვით ბორისოვს უფრო კარგი გუნდი ჰყავს და ამ შედეგს ნამდვილად არ ველოდი. ახლა ვხვდები, რისი გადატანა მოგვიწევს ამ გუნდებთან განმეორებით მატჩებში, თუმცა უიმედობის საბაბიც არ მაქვს. დრო არის, მოვემზადებით და ბულგარეთშიც მხოლოდ გამარჯვებისთვის ვიბრძოლებთ.

**— გუნდის შემადგენლობაში ცვლილებებს ხომ არ უნდა ველოდოთ?**

— ამას წინასწარ ვერ განვსაზღვრავ. ჩვენ, მწვრთნელები, ახლაც განვაგრძობთ ძიებას და იქნებ კიდევ მოვნახოთ ისეთი მოთამაშე, ნაკრების მოთხოვნები რომ დააკმაყოფილოს. ერთს ვიტყვი, ეროვნული გუნდის წევრი ბრძოლისუნარიანი და პიროვნულად ძლიერი უნდა იყოს.

**— რამდენად რეალურია დარჩენილ მატჩებში ვლადიმერ სტეფანიას დამატება?**

— ვიცი, რომ ვოვას საქართველოს ნაკრებში თამაშის სურვილი აქვს და ჩამოსვლა თუ მოახერხა, მისი სახით დიდ ძალას შევიმატებთ. სტეფანია, ფაჩულია, ნაცვლიშვილი — წარმოვიდგინოთ და პაუზა გავაკეთოთ...

**— ფაჩულიაზე, ალბათ, საგანგებოდ უნდა შევჩერდეთ. ზაზას თამაშმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა...**

— ეს ბიჭი გუშინ და გუშინწინ არ გამიცნია. სკოლის მოწაფე იყო, როცა „ვითას" ძირითადში მივიწვიე და ნახევარი სეზონი გაატარა ამ გუნდში, მალე კი თურქეთში წავიდა. მაშინვე ეტყობოდა, რა ნიჭის პატრონიც იყო, ამასთანავე ძალიან ბევრს შრომობდა და ცხადი გახდა, ადრე თუ გვიან აუცილებლად იტყოდა სათქმელს. ასე რომ, ფაჩულიას კარგმა თამაშმა ის ხალხი გააოცა, ვინც არ იცნობდა მას, თორემ პირადად მე ზაზასი ძალიან მეიმედებოდა.

ფაჩულიას სანაკრებო ნათლობა დანიაში შედგა, ბოლო მატჩებმა კი იგი ქართული კალათბურთის ახალ კაშკაშა ვარსკვლავად წარმოაჩინა. იქნებ გაუმართლებელიც იყოს ჩემგან ამის ხმამაღლა თქმა, მაგრამ კარგად ვიცნობ ზაზას ხასიათს და გამორიცხულია, მასზე ამან ცუდად იმოქმედოს. ფაჩულია ჩამოყოლიბებული პროფესიონალია. რაც კალათბურთელია, ორი იმდენი პიროვნებაა, მცირე ასაკის მიუხედავად, ზაზა გუნდში დიდი სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობს, უკვე ლიდერია. მაგრამ კალათბურთი მაინც გუნდური თამაშია და მიხარია, რომ ფაჩულია პარტნიორებსაც კარგად შეეწყო. ცქიტიშვილმა, ბოისამ, უგრეხელიძემ და სხვებმაც ჩინებულად აუბეს მხარი ზაზას, ნაცვლიშვილ-ფაჩულიას ტანდემი კი უკლებლივ ყველა მეტოქისთვის ანგარიშგასაწევადაც იქცა.

**— ვინც თქვენ ჩამოთვალეთ, ყველანი ფარის მოთამაშეები არიან. რაოდენ უცნაურიც უნდა იყოს, დღეს ყველაზე მეტად უკანა ხაზში გვიჭირს...**

— ამ ამპლუაშიც იმედისმომცემი ბიჭები იზრდებიან, მართალია, ისეთი ნაბიჯებით ვერ მიდიან, მაგრამ კადეტთა, ჭაბუკთა და ახალგაზრდულ ნაკრებებში გამოწრთობილნი მალე ეროვნული გუნდის წევრებს ღირსეულ კონკურენციას გაუწევენ. სხვა მხრივ, მიმაჩნია, რომ ამ ტურნირში ჩვენს უკანა ხაზს, კერძოდ, გამთამაშებლებს ურიგოდ არ უთამაშიათ. ბელარუსთა წინააღმდეგ არჩილ ჟღენტმა, ვფიქრობ, კარგად გაართვა თავი დაკისრებულ მოვალეობებს, კარგი იყო დავით თორთლაძეც, მაგრამ რატომღაც მგონია, რომ იგი ბოლომდე მაინც არ არის რეალიზებული.

**— მეორე ეტაპის დაწყებამდე რა ელით ნაკრების წევრებს?**

— სეზონისწინა მზადებას ლეგიონერები თავიანთ კლუბებში გაივლიან. ისინი საიმედო ხელში არიან, მე უფრო საქართველოში მოთამაშე კალათბურთელების ამბავი მაფიქრებს, სად წავლენ, როგორ მოემზადებიან...

გადავწყვიტე, რომ თითოეულ მოთამაშეს კონკრეტული მითითებები მივცეთ. მათ უნდა ავუხსნათ, მზადებისას უფრო მეტად რაზე უნდა გაამახვილონ ყურადღება. პირდაპირ გეტყვით, რამდენიმე კალათბურთელის ფიზიკური მდგომარეობა არ გვაკმაყოფილებს მწვრთნელებს, მათ შეუძლიათ, მუხლჩაუხრელი შრომით ერთიორად გაიუმჯობესონ კონდიციები.

**— ცნობილია, რომ მოსამზადებელ პერიოდში ნაკრებს ირანის საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობაც აქვს დაგეგმილი.**

— თეირანში, ალბათ, გავემგზავრებით, მაგრამ საეჭვოა, სრული შემადგენლობის შეკრება მოხერხდეს. თუ ეს შევძელით, ამას არაფერი სჯობს. იქ გუნდი საბოლოო სახით ჩამოყალიბდება, ბიჭები ერთმანეთში შეთამაშდებიან და ბულგარეთ-ბელარუსის წინააღმდეგ ბრძოლაც გაგვიადვილდება. რამდენადაც ვიცი, ირანის ტურნირზე ორი ამერიკული გუნდი ჩამოდის, იქნებიან გერმანიის, რუსეთისა და ადგილობრივი ძლიერი კლუბები, ასე რომ, თეირანში წასვლა ძალიან გამოგვადგება.

**— ერთი ნაღდია, ნაკრების ბოლოდროინდელმა გამოსვლამ ქომაგს მომავლის იმედი ჩაუსახა. თქვენი ვალიც სწორედ ისაა, რომ ხალხს სიხარული გაუხანგრძლივოთ, ახალ-ახალი გამარჯვებები აჩუქოთ...**

— საამისოდ ყველაფერს გავილებთ, თავს არ დავზოგავთ. ვფიქრობ, დანავსული პერიოდი უკან დარჩა და ახლა აღმასვლა იწყება. პირადად მეც ოპტიმისტურად ვარ განწყობილი. ამ ციკლში თამაში არ წაგვიგია. ახლა მთავარია, თვითკმაყოფილების გრძნობა არ დაგვეუფლოს.

**გიორგი გიჟაშვილი**

ძალოსნობა

# მარტენის ღუმელში შესაძახებელ ჯართს ელეიკო შეენაცვლა

**არ** შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ ქართული ძალოსნობის სკოლა ყველაზე ხმაურიანია მთელ მსოფლიოში. ამ ხმაურს კი ის მოძველებული, უფრო სწორად, ქვის ხანის დროინდელი საბჭოთა თუ რუსეთის წარმოების ინვენტარი იწვევს, რომლითაც ჩვენი ძალოსნები ვარჯიშობენ. მიუხედავად ამისა, ქართული ძალოსნობის სკოლის წარმომადგენლებს არაერთი წარმატებისთვის მიუღწევიათ. არადა, საკვირველია, საერთოდ როგორ ახერხებენ დანჯღრეული და მოყანყალებული შტანგებით ვარჯიშს მაშინ, როდესაც მათი უმრავლესობა მარტენის ღუმელშია შესაძახებელი.

ახლა კი ეს პრობლემა ნაწილობრივ მაინც მოგვარდა. დღეის იქით მოძველებულ და დაჟანგულ შტანგებს მსოფლიოში ცნობილი შვედური ფირმის, „ელეიკოს" ორი სავარჯიშო ინვენტარი შეენაცვლება.

ყველაფერი იმით დაიწყო, რომ საქართველოს ეოკ-ის თხოვნის საფუძველზე, ძალოსნობის საერთაშორისო ფედერაციამ ზემოთ ხსენებული ორი შტანგა გვაჩუქა, რომლებიც თავის მხრივ საქართველოს ძალოსნობის ფედერაციას გადაეცა.

მანამდე კი ძალოსნობის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტმა ტამაშ აიანმა, რომელიც უნგრეთის ეოკ-ის გენერალური მდივანიცაა, სეოკ-ს შემოუთვალა, შტანგა ჩვენი, ტრანსპორტირება თქვენიო. მიუხედავად იმისა, რომ ეს საჩუქარი იყო, სეოკ-მა ინვენტარის ტრანსპორტირების გარდა შტანგების განბაჟებასთან დაკავშირებული ხარჯებიც თავად გაიღო.

გუშინ კი საქართველოს ძალოსნობის ფედერაციაშიც მიგვიწვიეს. სპორტსმენები კმაყოფილნი ჩანდნენ შენაძენით. მათ შორის იყო სიდნეის ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოსანი გიორგი ასანიძეც. თუმცა, სხვებისგან განსხვავებით, იგი დატვირთვას ერიდებოდა. ამას მიზეზიც ჰქონდა. მაისში ასანიძემ საბერძნეთში ხელის ოპერაცია გაიკეთა და ამიტომაც მსუბუქად თუ შეავლებდა ხელს შტანგას. კმაყოფილი იყო ფედერაციის პრეზიდენტი რამაზ გურგენიძეც. მან დიდი მადლობა გადაუხადა საქართველოს ოლიმპიურ კომიტეტს ყურადღებისთვის და იქვე განაცხადა, კაცი ძალოსნობაში დავბერდი და პირველად ველირსე თანამედროვე ტიპის შტანგებსო.

ისე, ახალ ინვენტარს გარემონტებული დარბაზიც დაამშვენებდა. საქართველოს ეოკ-მა ამ მხრივაც აღუთქვა მხარდაჭერა ძალოსნობის ფედერაციას, შეძლებისდაგვარად მხარში ამოგიდგებითო.

**გიგა გურასაშვილი**

ყოველკვირეული
გაზეთი
სარბიელი
თავის ფასში
ტელეფონით!
[illegible] 1 თვით, 2 თვით, 3 თვით, 6 თვით, 12 თვით.
98-89-09, 26-10-80, (899) 55-30-97
ფოსტის ყუთები და
დამონტაჟება უფასოა!
„პრეს-მობილი"

# სარბიელი

## სპორტული ლატარია

# კროკო

**იტალია. სერია A. 34-ე ტური**
**17 ივნისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 001 | ბრეშა-ბარი | 1,4 | 3,5 | 6,0 |
| 18.00 | 002 | ფიორენტინა-ნაპოლი | 2,0 | 3,4 | 1,9 |
| 18.00 | 003 | ინტერი-ბოლონია | 1,7 | 3,1 | 3,4 |
| 18.00 | 004 | იუვენტუსი-ატალანტა | 1,05 | 6,0 | 12,0 |
| 18.00 | 005 | ლეჩე-ლაციო | 2,0 | 3,3 | 2,0 |
| 18.00 | 006 | რეჯინა-მილანი | 1,3 | 3,2 | 2,5 |
| 18.00 | 007 | რომა-პარმა | 1,25 | 4,0 | 8,0 |
| 18.00 | 008 | ვერონა-პერუჯა | 1,2 | 3,8 | 7,0 |
| 18.00 | 009 | უდინეზე-ვიჩენცა | 2,2 | 3,2 | 1,9 |

**იტალია. სერია C. პლეი-ოფი. II მატჩები**
**17 ივნისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 010 | კომო-ლივორნო | 1,7 | 2,8 | 5,0 |
| 19.30 | 011 | მესინა-კატანია | 1,8 | 2,7 | 4,2 |

**ესპანეთი. I დივიზიონი. 38-ე ტური**
**16 ივნისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 012 | ნუმანსია-ალავესი | 2,3 | 3,1 | 2,8 |
| 24.00 | 013 | რასინგი-ბილბაო | 2,0 | 3,2 | 3,1 |
| 00.30 | 014 | ვილიარეალი-ესპანიოლი | 1,5 | 3,6 | 5,6 |
| 01.00 | 015 | ლას პალმასი-რაიო ვალეკანო | 1,9 | 2,9 | 4,0 |

**17 ივნისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 24.00 | 016 | დეპორტივო-მალაგა | 1,5 | 3,2 | 5,0 |
| 24.00 | 017 | ბარსელონა-ვალენსია | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| 24.00 | 018 | რეალი-ვალიადოლიდი | 1,5 | 2,0 | 7,0 |
| 24.00 | 019 | მალიორკა-ოვიედო | 1,5 | 3,5 | 4,0 |
| 24.00 | 020 | სარაგოსა-სელტა | 1,9 | 1,9 | 2,8 |
| 24.00 | 021 | სოსიედადი-ოსასუნა | 2,0 | 3,5 | 1,9 |

**ესპანეთი. II დივიზიონი. 42-ე ტური**
**16 ივნისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 022 | უელვა-ფეროლი | 1,65 | 2,5 | 5,0 |
| 23.00 | 023 | ლეიდა-ესტრემადურა | 2,5 | 2,5 | 2,5 |
| 23.30 | 024 | სალამანკა-მურსია | 1,8 | 3,0 | 4,2 |
| 24.00 | 025 | სევილია-ეიბარი | 1,45 | 3,6 | 6,5 |

**17 ივნისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 026 | სპორტინგი-კორდობა | 1,75 | 2,8 | 4,4 |
| 22.00 | 027 | ლეგანესი-ტენერიფე | 5,0 | 3,0 | 1,3 |
| 22.00 | 028 | ალბასეტე-უნივერსიდადი | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| 22.00 | 029 | ხეტაფე-ატლეტიკო | 7,0 | 4,0 | 1,1 |
| 22.00 | 030 | ლევანტე-ბადახოსი | 1,95 | 2,3 | 4,4 |
| 22.00 | 031 | ხაენი-ბეტისი | 3,5 | 3,0 | 1,5 |
| 22.00 | 032 | ელჩე-კომპოსტელა | 1,9 | 2,9 | 3,4 |

**ჰოლანდია. პლეი-ოფი. A ჯგუფი. მე-5 ტური**
**16 ივნისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.30 | 033 | ტელსტარი-სიტარდი | 2,5 | 3,1 | 2,4 |
| 22.30 | 034 | ზვოლე-ვოლენდამი | 1,9 | 3,2 | 2,5 |

**ჰოლანდია. პლეი-ოფი. B ჯგუფი. მე-6 ტური**
**17 ივნისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 17.30 | 035 | იგლსი-სპარტა | 3,0 | 1,9 | 1,9 |
| 17.30 | 036 | კამბური-ექსელსიორი | 1,35 | 3,8 | 5,3 |

**საბერძნეთი. პლეი-ოფი. III მატჩები**
**17 ივნისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.30 | 037 | პანახაიკი-პანილიაკოსი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| 22.30 | 038 | ოფი-იანინა | 1,5 | 3,5 | 5,3 |

**რუსეთი. მე-13 ტური**
**16 ივნისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 17.00 | 039 | კრილია-ზილ | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 17.00 | 040 | ალანია-როტორი | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| 17.00 | 041 | ანჟი-სპარტაკი | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| 17.00 | 042 | ლოკომოტივი-ჩერნომორეცი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 17.00 | 043 | ტორპედო-როსტსელმაში | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 18.30 | 044 | ფაკელი-ცსკა | 3,0 | 2,9 | 2,3 |
| 19.00 | 045 | დინამო-სატურნი | 1,7 | 3,1 | 4,7 |
| 19.00 | 046 | ზენიტი-სოკოლი | 1,85 | 2,9 | 3,8 |

**შვედეთი. მე-10 ტური**
**17 ივნისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 047 | ჰამარბი-ნორჩიოპინგი | 1,7 | 3,3 | 4,2 |
| 20.00 | 048 | იორგრიტე-სუნდსვალი | 1,55 | 3,5 | 5,3 |

**18 ივნისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 049 | ჰეკენი-იურგორდენი | 2,1 | 3,1 | 3,2 |
| 22.00 | 050 | ელფსბორგი-გიოტებორგი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 22.00 | 051 | იორებრო-ტრელებორგი | 1,65 | 3,3 | 4,7 |

**ნორვეგია. მე-11 ტური**
**16 ივნისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 052 | რუსენბორგი-ლილესტრიომი | 1,4 | 3,6 | 6,5 |

**17 ივნისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 053 | ბოდიო-სტრიომგოდსეტი | 1,9 | 3,3 | 3,4 |
| 21.00 | 054 | ბრინი-სოგნდალი | 1,95 | 3,3 | 3,3 |
| 21.00 | 055 | მოსი-ლინი | 1,8 | 3,4 | 3,5 |
| 21.00 | 056 | ტრომსიო-ოდ გრენლანდი | 2,3 | 3,2 | 2,7 |
| 21.00 | 057 | ვიკინგი-ბრანი | 1,75 | 3,3 | 3,8 |
| 24.00 | 058 | მოლდე-სტაბეკი | 1,9 | 3,3 | 3,4 |

**ფინეთი. მე-13 ტური**
**17 ივნისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 059 | იოკერიტი-კუოპიო | 1,9 | 3,2 | 3,4 |
| 18.00 | 060 | ლაჰტი-ვაასა | 2,1 | 3,1 | 3,2 |
| 20.30 | 061 | ჰაკა-ატლანტისი | 1,9 | 3,2 | 3,4 |

**ინტერტოტო. I ეტაპი. I მატჩები**
**16 ივნისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 501 | ვიტ ჯორჯია-რიდი | ანგარიში | – | 5,0 |
| 19.00 | 502 | ორჰუსი-ცელიე | 1,55 | 3,6 | 5,0 |
| 19.00 | 503 | დანდი-სარტიდი | 1,75 | 3,2 | 4,0 |
| 19.00 | 504 | ანორთოსისი-სლავენი | 2,1 | 3,0 | 3,0 |
| 20.00 | 505 | უნივერსიტატია-ბილისი | 1,2 | 5.0 | 9,0 |
| 20.00 | 506 | ტატაბანია-შირაქი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 20.00 | 507 | კარმართენი-აიკ | 6,0 | 4,0 | 1,35 |
| 21.00 | 508 | სენტ ჯულია-ლოზანა | 10,0 | 5,6 | 1,05 |
| 21.00 | 509 | ბ68 ტოფტირი-ლოკერენი | 7,5 | 4,0 | 1,25 |
| 21.00 | 510 | დინამო (მინსკი)-ჰობშაიდი | 1,05 | 6,0 | 12,0 |
| 22.30 | 511 | კორკი-ლიეპაია | 1,9 | 3,2 | 3,3 |

**17 ივნისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 512 | ეკრანასი-პეტრჟალკა | 2,5 | 3,1 | 2,4 |
| 20.00 | 513 | გროცლინი-სპარტაკი (ვარნა) | 1,75 | 3,2 | 4,0 |
| 20.00 | 514 | ზაგლებე-ჰიბერნიანსი(მალტა) | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| 20.30 | 515 | ჩელიკი-დენიზლი | 2,7 | 3,2 | 2,2 |
| 20.30 | 516 | ზაგრები-პობედა | 1,35 | 4,0 | 6,5 |
| 21.00 | 517 | გრინდავიკი-ვილიაში | 1,35 | 4,0 | 6,5 |
| 21.00 | 518 | ტილიგული-კლიფტონვილი | 1,3 | 4,2 | 6,5 |
| 21.00 | 519 | ჯაზი-გლორია | 2,2 | 3,2 | 2,7 |
| 21.00 | 520 | ჰაპოელი (ჰაიფა)-ტალინი | 1,3 | 4,0 | 7,5 |

**მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები**
**16 ივნისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 521 | მექსიკა-კოსტა რიკა | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 23.00 | 522 | იამაიკა-აშშ | 2,7 | 3,0 | 2,3 |
| 01.00 | 523 | ტრინიდადი-ჰონდურასი | 2,0 | 3,1 | 3,4 |

**კალათბურთი. ფინალი**
**18 ივნისი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 06.00 | 802 | ლეიკერსი-ფილადელფია | 1,0 | 1,0 | 1,0 |

## კროკოს ბიუროთა მისამართები:

თბილისში — ფურცელაძის ქუჩა, კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში;
№2 ცენტრალური ფოსტამტი ალმაშენებლის გამზირზე;
გლდანი, I სავაჭრო ცენტრი;
ვაჟა ფშაველას 46 (მეტრო დელისთან);
წინამძღვრიშვილის 200 (ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში)
გურამიშვილის გამზირი, 50 (მეტრო „ღრმაღელესთან")
წერეთლის გამზირი №11;
ჭავჭავაძის გამზირი №41

ქუთაისი — პუშკინის ქუჩა№16 (ტელეკომპანია „ივერიონის" შენობაში)
ფალიაშვილის ქუჩა № 27

გორში — სტალინის ქუჩა, ჭადრაკის კლუბი; სტალინის ქუჩა№30

თელავში — კოსტავას ქუჩა №23.

რუსთავში — შარტავას ქუჩა №7

ოზურგეთში — გურიის ქუჩა №23

ბათუმში — მემედ აბაშიძის (ყოფილი სტალინის) ქუჩა №21;
ერას (ყოფილი გორკის) ქუჩა №61;
ჯავახიშვილის ქუჩა №78;
ჭავჭავაძის ქუჩა №113 (მალე)

ქობულეთში — ალმაშენებლის ქუჩა №106

მარნეულში — რუსთაველის ქუჩა №39

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

სარბიელი
სპორტული ლატარია
CROCO
BOOKMAKERS
კროკო

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქების სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება.

# კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში |
| | ალმაშენებლის გამზირი | №2 ცენტრალური ფოსტამტი |
| | გლდანი | I სავაჭრო ცენტრი |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან“ (ყოფილი „დელისი“) |
| | ნინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან“ |
| | წერეთლის გამზირი №11 | |
| | ჭავჭავაძის გამზირი № 41 | |
| ქუთაისი | პუშკინის ქუჩა№16 | ტელეკომპანია „ივერიონის“ შენობაში |
| | ფალიაშვილის ქუჩა№ 27 | |
| გორი | სტალინის ქუჩა №30 | ჭადრაკის კლუბი |
| თელავი | კოსტავას ქუჩა №23 | |
| რუსთავი | შარტავას ქუჩა №7 | |
| ბათუმი | მემედ აბაშიძის ქუჩა №21 | ყოფილი სტალინის ქუჩა |
| | ერას ქუჩა №61 | ყოფილი გორკის ქუჩა |
| | ჯავახიშვილის ქუჩა №78 | |
| | ჭავჭავაძის ქუჩა № 113 | |
| ქობულეთი | ალმაშენებლის ქუჩა №106 | |
| მარნეული | რუსთაველის ქუჩა №39 | |
| ოზურგეთი | გურიის ქუჩა №23 | |

# გათამაშების წესები

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, გამოიცნოს ტირაჟში მოცემული სპორტული შეჯიბრების შედეგი, სპორტის სათამაშო სახეობებში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში“. სიაში მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო“-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

① ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ

② შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება

③ შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება)

④ მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში

⑤ წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი

⑥ არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიან სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა. ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩაბარდეს „კროკო“-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო“-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თანხა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო“-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო“-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.

ევროპის ჩემპიონატი

# აზმაიფარაშვილი მესამისთვის ითამაშებს

**ნბა-ს** ტერმინით თუ ვიტყვით, დასრულდა ევროპელ ვაჟთა რეგულარული ჩემპიონატი და ჯერი პლეი ოფზეა. დრამატულ ბოლო ტურში უკლებლივ ყველა ერთ დაფას მისჩერებოდა, სადაც ლიდერები — რუსლან პონომარიოვი და ემილ სუტოვსკი თამაშობდნენ. მოიგებდა ერთ-ერთი და ჩემპიონის ტიტულს არავითარი პლეი ოფი აღარ დასჭირდებოდა, მაგრამ არც უკრაინელმა თინეიჯერმა და არც ებრაელმა დიდოსტატმა იმ დღეს მოგება არ ინდომეს, რადგან ამისთვის რისკი იყო საჭირო, სასწორზე კი ბევრი იდო. მწვავე თამაშზე უფრო პონომარიოვს უნდა ეფიქრა, რადგან თეთრებით იყო, მაგრამ უკრაინელმა სიცილიურ დაცვაში გართულებებს თავი არიდა, ცენტრში წაიომა და 24-ე სვლაზე დაუზავდა მეტოქეს. პონომარიოვი და სუტოვსკი „ნოკაუტ-სისტემის“ პრინციპით ახლა ჩქარ ჭადრაკს ითამაშებენ, თუ საჭირო გახდება, ბლიცებსაც და მოკლედ, სამშაბათის „სარბიელში“ ევროპის მეორე ჩემპიონს დაგისახელებთ.

მდევარ ჯგუფში იუდით პოლგარი შავებით გერმანელ ალექსანდერ გრაფს ეთამაშა და ხელს მხოლოდ მოგება აძლევდა (ასე ჰქონდა საჩემპიონო რბოლაში ჩართვის შანსი), მაგრამ ფერი ვერ უწყობდა ხელს და ველარც თამაში აეწყო. ბოლოს ყაიმი იკმარა. ქულებით მისი კოლეგა ლუკ ვან ველი კი ზურაბ აზმაიფარაშვილს ეთამაშებოდა და თეთრი ფიგურების კოზირიც მის ხელში იყო. მოსაგებად მომართულმა ჰოლანდიელმა ლაზიერის გამბიტი გაითამაშა, მაგრამ დებიუტიდან ისე ცუდად გამოვიდა, მეტი არ შეიძლება. მიტელშპილი ფაქტობრივად არ ყოფილა, მე-12 სვლაზე გაიცვალა ლაზიერები და აზმაიფარაშვილის უპირატესობა სრულიად აშკარა გახდა. თეთრებს ჰყავდათ განმხოლოებული პაიკი, რაც ენდშპილში, მოგეხსენებათ, დიდი თავსატკივარია და ქართველმა მისი დალუპვა ფრიად დინჯად მოამზადა: ეტლებით ორივე ღია ხაზი დაიპყრო და ვან ველის დაცვაში იმდენი ღრიჭოები გაჩნდა, პაიკზე ფიქრის დრო აღარ იყო. აზმაიფარაშვილმა ცივად მოკლა ის ეული პაიკი, მიაყოლა მეორეც და ამგვარად ლაზიერის ფრთაზე თეთრი ქვეითები აღარ დარჩნენ, შავი კი ორი ერთად მიიწევდა ლაზიერად გარდასახვის პუნქტისკენ. ვან ველის მეფის ფრთაზე ჰყავდა ორი პაიკი ერთი შავის წინააღმდეგ და კონტრშეტევა დაიწყო, მაგრამ ქართველმა რა ნახა, საცაა ლაზიერები შემემატებიანო, იმ ორ პაიკში უყოყმანოდ მიუგდო მეტოქეს მხედარი და შემდეგ უაღრესად ტექნიკური თამაში განაგრძო ლაზიერის ფრთაზე. ვან ველი 64-ე სვლაზე დანებდა, 8,5 ქულიანებში დარჩა და ვერა პრიზიორი ვერ იქნება, აზმაიფარაშვილმა კი მას ნახევარი ქულით გაუსწრო, ხოლო რაზან სხვა 8-ქულიანებს იმ დღეს პრინციპად „სიფრთხილეს თავი არ სტკივა“ აერჩიათ, ერთადერთი აღმოჩნდა, ვინც იუდით პოლგარს დაეწია. პოლგარი და აზმაიფარაშვილი „ბრინჯაოს პლეი ოფს“ ითამაშებენ.

დასანანი ამბავი: 7,5 ქულა იმის უფლებას იძლეოდა, მოჭადრაკეს ფიდეს მსოფლიოს ჩემპიონატზე გამავალი 46 ადგილიდან ერთ-ერთისთვის ბრძოლა განეგრძო, სამმა ქართველმა კი ჩემპიონატი 7 ქულით დაასრულა. ბოლო ტურში გიორგი ყაჭეიშვილმა იმ სერგეი რუბლიოვსკისთან წააგო, რომელმაც ადრე ბაადურ ჯობავასაც მოუგო. ვერ მოიგეს ზურაბ სტურუამ და მიხეილ მჭედლიშვილმა, არადა, მაინცდამაინც ქულა სჭირდებოდათ, ბაადურ ჯობავამ თეთრებით უნგრელ ზოლტან ალმაშისთან წააგო და 6,5-ზე გაიყინა, ზვიად იზორიას მონაგარი 6 ქულა გახლავთ.

მაგრამ პლეი ოფში გასვლაც ფიდეს პირველობაზე მოხვედრის ჯერ კიდევ მყიფე გარანტიას აძლევდა ქართველებს: 46 ადგილიდან 42-ის პატრონი ცნობილია, 4 დანარჩენს კი 21(!) მოჭადრაკე შეეცილება ერთმანეთს.

ახლა ის ვიკითხოთ, ზორბა რეიტინგების პატრონები როგორ გამოჩნდნენ ოჰრიდში, სადაც ტბისპირას, მწვანე გარემოში მიმდინარეობს სწორედ ევროპის პირველობა. რეიტინგ-ლისტის თავადთა მეტი წილი გვარიანად გამოჩნდა. პირველი ოთხეულის გარდა მსოფლიოს ჩემპიონატზე წავლენ მიხეილ გურევიჩი, ვიქტორ ბოლოგანი, ლუკ ვან ველი, ალექსანდერ გრაფი, რაფაელ ვაჰანიანი, ვადიმ მილოვი, სერგეი ტივიაკოვი, ვლადისლავ ტკაჩოვი, სერგეი მოვსესიანი, სერგეი რუბლიოვსკი, პრედრაგ ნიკოლიჩი, ალექსანდრ ბელიავსკი, კონსტანტინ საკაევი, რუსტემ დაუტოვი... საქმე საპლეიოფოდ გაიხადეს კირილ გეორგიევმა, ნაიჯელ შორტმა, ჟოელ ლოტიემ; ზოლტან ალმაშიმ, აგრეთვე ევროპის პირველმა ჩემპიონმა პაველ ტრეგუბოვმა და ვიცეჩემპიონმა ალექსეი ალექსანდროვმა. ამ ორის ტიტულს იქით კვირაში „ექს“ თავსართი დაემატება.

რაც შეეხებათ ლას ვეგასში ფიდეს ჩემპიონატის სენსაციურ გმირებს, რუმინელმა ლივიუ დიტერ ნისიპიანუმ (ამერიკაში აზმაიფარაშვილს, შიროვს და ივანჩუკს რომ მოერია) უკვე გაინაღდა ფიდეს პირველობის საგზური, სომეხი ვლადიმერ აკოფიანისთვის კი ოჰრიდში თამაში მორჩა, მან 6,5 ქულით 90-116-ე ადგილები გაიყო და პლეი ოფამდე მთელი ქულა დააკლდა, ხოლო ჭადრაკის ბებერ მაესტროს, ვიქტორ კორჩნოის — მხოლოდ ნახევარი, მეორე ვეტერანის, არტურ იუსუპოვის არ იყოს. მათ ახალგაზრდებმა სულ ცოტათი აჯობეს.

**დავით გულუა**

**ვითარება ბოლო ტურის შემდეგ**

**1-2. რუსლან პონომარიოვი (უკრაინა), ემილ სუტოვსკი (ისრაელი) 9,5; 3-4. იუდით პოლგარი (უნგრეთი), ზურაბ აზმაიფარაშვილი (საქართველო) 9; 5-11. ლუკ ვან ველი (ჰოლანდია), ალექსანდერ გრაფი (გერმანია), რაფაელ ვაჰანიანი (სომხეთი), ვადიმ მილოვი (შვეიცარია), სერგეი ტივიაკოვი (ჰოლანდია), აშოტ ანასტასიანი (სომხეთი), გეორგი ტიმოშენკო (უკრაინა) 8,5**

ჰოკეი

# საკიკი ყველგან და ყველასთვის საუკეთესოა

**14 ივნისს** ტორონტოში საგანგებო ცერემონია გაიმართა. ლიგამ ტრადიციისამებრ თავის ინდივიდუალური პრიზები გაანაწილა. როგორც მოსალოდნელი იყო, მთავარი ტრიუმფატორი კოლორადოს ლიდერი და კაპიტანი ჯო საკიკი გახდა. მას ერთბაშად სამი პრიზი ერგო, მათ შორის, უმთავრესი — „ჰარტ ტროფი“, რომლითაც ჩემპიონატის უძვირფასეს მოთამაშეს აჯილდოებენ. რა გვეთქმის, 31 წლის ჯომ მართლაც რომ საუცხოოდ ჩაატარა ეს სეზონი და ყველაფერი მოიგო, რისი მოგებაც კი შეეძლო. ხუთი დღით ადრე მან სტენლის თასი მიიღო ნჰლ-ის კომისარ გერი ბეტმენისგან. შეგახსენებთ, რომ საკიკმა უკლებლივ ყველა, 82 თამაში ჩაატარა ჩემპიონატში და პერსონალური რეკორდი დაამყარა: 118 (54 გოლი, 64 პასი) ქულა, ბომბარდირთა სიაში მას მხოლოდ „ჰარტზე“ წარდგენილმა იარომირ იაგრმა გაუსწრო, მაგრამ საკიკის ზეგავლენა გუნდის თამაშზე გაცილებით დიდი იყო. ეს ფაქტი ნჰლ-ზე მწერალთა ასოციაციის წევრთა გადაწყვეტილებამაც ცხადყო. ეგებ ვინმეს გული დაწყდა, რომ პრიზი მარიო ლემიეს არ ერგო, მაგრამ მოდით, გულახდილნი ვიყოთ, მან ხომ მხოლოდ სეზონის ნახევარი ჩაატარა, საკიკი კი პირველი მატჩიდან ბოლომდე საუკეთესო იყო თავის გუნდში. ერთი დღით ადრე კი თავიანთი ლაურეატი მოთამაშეებმაც დაასახელეს და მათი არჩევანი ასევე საკიკზე შეჩერდა. აღსანიშნავია, რომ საკიკი ყველაზე მეტად სწორედ კოლეგების აღიარებამ აალელვა. „არასდროს დამავიწყდება, რომ მოთამაშეებმა გამომარჩიეს, ეს ჩემთვის დიდი აღიარებაა“ — თქვა საკიკმა პრიზის გადაცემის დროს.

კოლორადოელის ტრიუმფი ამით არ დასრულებულა. როცა ზემოთ საკიკის სტატისტიკური მაჩვენებლები ვახსენეთ, საჯარიმო წუთების რაოდენობაზე განგებ არაფერი ვთქვით. საკიკს 82 მატჩში 30 საჯარიმო წუთი ჰქონდა. ფორვარდისთვის, რომელიც ასე დიდ დროს ატარებს ყინულზე, ეს საუკეთესო მაჩვენებელია, თუმც საქმე მარტო რაოდენობაში როდია. საკიკი სანიმუშო ყოფაქცევით ყოველთვის გამოირჩეოდა, ყველაზე კრიტიკულ მომენტშიც კი არ უჭირდა ემოციების მოთოკვა. მისი ყველაზე აშკარა მოწინააღმდეგეც კი ვერ გაიხსენებს, როდის დაარღვია საკიკმა წესები ისე, რომ ეს სათამაშო სიტუაცით არ იყო განპირობებული. ნჰლ-ში კი, მოგეხსენებათ, ყველაფერს ყურადღებას აქცევენ. ასეთი ხალხისთვის კი „ლედი ბინგ ტროფი“ არსებობს. ალბათ, მიხვდით საკიკის მესამე პრიზიც სწორედ ეს გახლავთ. მან ნიკლას ლიდსტრიომს და ადამ ოუთსს აჯობა.

მხოლოდ ერთი პრიზი დათმო საკიკმა, დაცვაში მარჯვე ფორვარდისთვის განკუთვნილი „ფრენკ ჯ. სელკე“, რომელიც ნიუჯერსელ ჯონ მედენს ერგო. მან დალასელ მაიკ მოდანოსაც გაუსწრო. 26 წლის მედენისთვის ეს მხოლოდ მეორე სრული სეზონია ლიგაში. ასე რომ, ნიჭიერი ჰოკეისტისთვის, რომელიც ლიგის საუკეთესო „პენალტი ქილერად“ ითვლება, დიდი ავანსი გაიცა. სხვათა შორის, თასის ფინალისტ ნიუ ჯერსის მხოლოდ ეს ერთადერთი პრიზი ერგო.

ხელცარიელი არც ზემოხსენებული ლიდსტრიომი დარჩა. შვედი პირველი ევროპელი „ნორის ტროფის“ მფლობელი შეიქნა ამ პრიზის 48-წლიან ისტორიაში. ლიდსტრიომი მართლაც საუკეთესო იყო მცველთა შორის. მან თანამეამპლუეთა შორის ყველაზე მეტი, 71 (15 გოლი, 56 პასი) ქულა მიითვალა და თავისი პირადი ფუნქციების შესრულებაშიც სხვა ნომინირებულებზე, ნიუჯერსელ სკოტ სტივენსსა და კოლორადოელ რეი ბურკზე მარჯვე იყო.

1994 წლის შემდეგ დომინიკ ჰაშეკმა მხოლოდ ორჯერ დაუთმო პირველობა თავის კოლეგებს. შარშან ეს ვაშინგტონელი ოლაფ კოლციგი იყო, მაგრამ წლეულს ჰაშეკი ისე საუკეთესო გახლდათ მეკარეთა შორის და ეს ლიგის 30 კლუბის გენერალურ მენეჯერთა უმრავლესობის აზრია. ეს მისი რიგით მეექვსე „ვეზინაა“. ამჯერად მან ნიუჯერსელ მარტინ ბროდოსა და ფილადელფიელ რომან ჩეხმანეკს აჯობა. ჰაშეკზე მეტი „ვეზინა“ მხოლოდ ლეგენდარულ ჟაკ პლანტს აქვს, მაგრამ მაშინ ამ პრიზს იმ გუნდის გოლკიპერს აძლევდნენ, რომელმაც ჩემპიონატში ყველაზე ნაკლები გოლი გაუშვა. ახლა ამისთვის სხვა პრიზი არსებობს, „უილიამ ჯენინგს ტროფი“, რომელიც ასევე ჰაშეკს ხვდა წილად.

გავიხსენოთ, რომ სან ხოსეს მეკარე ევგენი ნაბოკოვმა თავის სადებიუტო სეზონი ჩინებულად ჩაატარა და უმალვე პირველი ნომრის პოზიცია დაიბევა. ნაბოკოვი ყაზახეთიდანაა, თუმც ნჰლ-ში მოხვედრამდე იგი რუსეთში თამაშობდა. ეტყობა, ჩრდილოამერიკული სააგენტოები ამიტომაც მიიჩნევენ მას რუსად. ნაბოკოვმა ტამპელ ბრედ რიჩარდს და ოტაველ მარტინ ჰავლატის გაუსწრო „კოლდერ ტროფისთვის“ ჭიდილში.

„ჯეკ ადამს ავარდს“, საუკეთესო მწვრთნელის ჯილდოს, ახალი ლაურეატი ჰყავს. სხვადასხვა წლებში ამ პრიზის მფლობელებს — სახელოვან დეტროიტელ სკოტი ბოუმენს და ოტაველ ჟაკ მარტენს მათმა ფილადელფიელმა კოლეგამ ბილ ბარბერმა აჯობა. ბარბერი, რომლისთვისაც ეს პირველი სეზონია ლიგაში, კრიზისში მყოფ გუნდს 10 დეკემბერს ჩაუდგა სათავეში და შემდეგ 54 თამაშში 31 მოაგებინა. ეს მაშინ, როცა ლამის მთელი ამ ხნის განმავლობაში გუნდს წამყვანი მოთამაშეები — ერიკ ლინდროსი და ჯონ ლეკლერი აკლდა.

კიდევ ერთი პრიზი რეინჯერსის ფორვარდმა ადამ გრეივსმა მიიღო, რომელმაც, მიუხედავად ოჯახური პრობლემებისა, შეძლო ჰოკიში დაბრუნება. მას „ბილ მასტერტონ ტროფი“ ერგო, რომლითაც ჰოკეისადმი ერთგულებას და ვაჟკაცობას აღნიშნავენ. კოლორადოელმა შონ პოდინმა კი სახელი ლიდერული სულისკვეთებით გაითქვა, თანაც როგორც ყინულზე, ისე ძის გარეთ. მან „კლენსი ტროფი“ დაისაკუთრა.

გარდა ამისა, ლიგამ ასევე სეზონის ორი „ოლ-სტარი“ და ახალბედათა საუკეთესო ექვსეული დაასახელა.

***პირველი „ოლ სტარი“:*** *დომინიკ ჰაშეკი (ბუფალო); ნიკლას ლიდსტრიომი (დეტროიტი) — რეი ბურკი (კოლორადო); იარომირ იაგრი (პიტსბურგი) — ჯო საკიკი (კოლორადო) — პატრიკ ელიაში (ნიუ ჯერსი).*

***მეორე „ოლ სტარი“:*** *რომან ჩეხმანეკი (ფილადელფია); რობ ბლეიკი (კოლორადო) — სკოტ სტივენსი (ნიუ ჯერსი); პაველ ბურე (ფლორიდა) — მარიო ლემიე (პიტსბურგი) — ლუკ რობიტაილი (ლოს ანჯელესი)*

***ახალბედათა „ოლ სტარი“:*** *ევგენი ნაბოკოვი (სან ხოსე); ლუბომირ ვისნოვსკი (ლოს ანჯელესი) — კოლინ უაიტი (ნიუ ჯერსი); მარტინ ჰავლატი (ოტავა) — ბრედ რიჩარდსი (ტამპა) — შეინ უილისი (კაროლინა)*

დაბოლოს, ჩემპიონატის სტატისტიკური შედეგების მიხედვით გამოვლენილ კიდევ რამდენიმე პრიზის ლაურეატს დავასახელებთ, მით უმეტეს, რომ ერთი უკვე ვახსენეთ. მათი დაჯილდოებაც ამ ცერემონიალზე მოხდა.

მეხუთედ, თანაც ზედიზედ მეოთხედ, ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი და „არტ როს ტროფის“ ლაურეატი იარომირ იაგრი გახდა. მან 121 (52 გოლი, 69 პასი) ქულა მოაგროვა. „მორის რიშარ ტროფის“ მფლობელი ჩემპიონატის საუკეთესო მეგოლე პაველ ბურეა. რუსმა ეს პრიზი ზედიზედ მეორედ მოიგო. წლეულს მის აქტივში 59 შაიბა აღმოჩნდა.

ამრიგად, ლიგამ პრიზები უკვე გაანაწილა და ამ სეზონში ერთი მნიშვნელოვანი მოვლენაღა დარჩა — დრაფტი, რომელიც 23-24 ივნისს ჩატარდება.

**სამველ ლარიბიანი**



ჯო საკიკი პრიზები დააგროვა



REUTERS ტორონტოდან

დომინიკ ჰაშეკი ვაჟ მიხაელთან და საუკეთესო მეკარისა და ყველაზე ნაკლები გოლის გამშვების პრიზებთან



REUTERS ტორონტოდან

საუკეთესო ახალბედა ევგენი ნაბოკოვია



REUTERS ლონდონიდან

მარატ საფინი ბალახზე ვერ ბრწყინავს

# პატრიოტიზმი გერმანულად

**ლონდონი (ინგლისი)**
**„სტელა არტუას ჩემპიონატი"**
**ბალახი. საპრიზო 800 ათასი $**

მარატ საფინი შეიძლება მსოფლიოს მესამე ჩოგანი და აშშ-ის ღია პირველობის ჩემპიონიც იყოს, მაგრამ როდესაც საქმე ბალახზე თამაშზე მიდგება, ზორბა რუსი ერთი რიგითი ტლანქი ჩოგბურთელია გალიზიანებული გამომეტყველებით და წარამარა ჩოგნის მიწაზე გდებისკენ მიდრეკილებით.

„ქუინსის" ტურნირზე პირველად განთესილ საფინს მწვანე საფარზე ჩატარებული ათი მატჩიდან სულ ოთხი აქვს მოგებული და ამ შეურაცხმყოფელ სტატისტიკას, ალბათ, ვერც ამ სეზონში გამოასწორებს, ყოველ შემთხვევაში, ასე თამაშით ვერა. მერვედფინალში რუსისთვის გადაულახავი დაბრკოლება კლასიფიკაციით 102-ე ჰოლანდიელი პეტერ ვესელსი აღმოჩნდა.

ბადესთან ხშირ დემარშებს უჩვევი საფინი მატჩის დასაწყისში ურიგოდ არ გამოიყურებოდა და სხვა თუ არაფრით, მძლავრი მოწოდებით მაინც აწიოკებდა მეტოქეს, თუმცა მიღებებზე ბევრი არაფერი გამოსდიოდა. შეხვედრის ბედი, როგორც ეს ბალახზე ხშირად ხდება, მესამე ხელის ტაი-ბრეიკმა გადაწყვიტა. აქ რუსმა ორი მატჩ-პოინტი ვერ გამოიყენა, თავად კი წინ გაჭრილმა ბურთის ბადეში გახვევით დაუსვა მატჩს წერტილი — 4:6, 6:4, 7:6 (10:8) ვესელსის სასარგებლოდ.

„არ მესმის, რატომ არის ყველა დარწმუნებული, რომ ამ საფარზე თამაში არ შემიძლია — განაცხადა მოგვიანებით საფინმა, რომელიც საკუთარი შეხვედრების ვიდეოჩანაწერებს, ეტყობა, არასოდეს უყურებს — დღეს ცოტათი არ გამიმართლა, თორემ დამეთანხმეთ, მოგება შემეძლო. პიტ სამპრასი თიხნარზე გაცილებით უარესად გამოიყურება, ვიდრე მე ბალახზე".

მასპინძელთა ჯილა ტიმ ჰენმანს ბალახზე გარჯა არავისგან ესწავლება, ბოლოს და ბოლოს უიმბლდონის ორგზის ნახევარფინალისტი გახლავთ. და მაინც, მომდევნო წრეში გასვლა ინგლისელს უსაშველოდ გაუჭირდა. საქმე ის არის, რომ მისი მეტოქე ATP ტურზე ერთ-ერთი საუკეთესო მოწოდების პატრონი უეინ არტურსი იყო.

30 წლის ავსტრალიელს ეისების დაგროვების გარდა კორტზე ბევრი არაფერი ეხერხება, თუმცა ყველაზე სწრაფ საფარზე მოსაგებად ზოგჯერ მეტი არც არაფერია საჭირო. გათამაშების აბსოლუტური უმრავლესობა ჰენმან-არტურსის შეხვედრაში მაქსიმუმ სამი დარტყმისგან შედგებოდა — მოწოდება, იშვიათად, ზუსტი მიღება და საჭიროების შემთხვევაში, ბადესთან დაუშვებელი ბურთისთვის ცარიელ კორტზე ადგილის მიჩენა.

სამივე სეტში საქმე ტაი-ბრეიკამდე მივიდა და თუ პირველად ჰენმანმა ორმაგით შეირცხვინა თავი, მეორედ და მესამედ მსგავსი შეცდომა აღარ გაუმეორებია 6:7 (5:7), 7:6 (8:6), 7:6 (7:5).

„მოგებასა და წაგებას შორის ხშირად ძალიან ვიწრო ზღვარია, დღეს ეს ზღვარი თითქმის არც ჩანდა. ვიცოდი, რომ ჩემს მეტოქეს ყოველ გეიმში ორი-სამი ეისის მოწოდება შეუძლია და ამას მოთმინებიდან არც გამოუყვანივარ. მთავარია, ის მცირე შანსები გამოიყენო, რასაც ბედი გიწყალობებს, რაც შევძელი კიდეც."

ჰენმანის თანამემამულე გრეგ რუზეცკის მერვედფინალში იოტისოდენადაც არ გასჭირვებია. ნათხოვარი შორტებითა და ფეხსაცმელებით შარშან უიმბლდონის ნახევარფინალში გაღწეულ ბელარუს ვლადიმირ ვოლჩკოვს ინგლისელთან შეხვედრაში ხეირიანი მიღებისა და ბექჰენდის თხოვება არ აწყენდა, მაგრამ რაკი ამისი მსურველი არავინ აღმოჩნდა, საათზე ნაკლებში, 2:6, 2:6 დამარცხდა.

„აღარც კი მახსოვს, ბოლოს ასე კარგად ბალახზე როდის ვითამაშე. ძალიან სწრაფად ვმოძრაობდი, შეცდომებს არ ვუშვებდი და თავს ფიზიკურად შესანიშნავად ვგრძნობდი. ასე თუ გავაგრძელე, კიდევ ბევრს გავამწარებ" — განაცხადა ინგლისელმა.

რუზეცკის მატჩის შემდეგ აღტაცებულმა ქომაგებმა ტაშის კვრით გულის ჯერებაც ვერ მოასწრეს, რომ საქმეში ბრიტანული ტარონსი ჩაერია, წითლად გადაღებილ მყუდრო კლუბს თავსხმა წვიმა დაატეხა და სხვა მატჩების დასრულება მეორე დღისთვის გადადო.

**მერვედფინალი: პიტ სამპრასი (2, აშშ) — იან სიმერინკი (ჰოლანდია) 6:3, 6:4; ლეიტონ ჰიუიტი (3, ავსტრალია) — ბაირონ ბლექი (ზიმბაბვე) 6:3, 6:2; ჟან მაიკლ გემბილი (6, აშშ) — ჟილ ელსენერი (ბელგია) 6:4, 4:6, 6:3; უეინ ფერეირა (7, სამხრეთ აფრიკა) — რაემონ სლუიტერი (ჰოლანდია) 6:3, 6:3**

**ჰალე (გერმანია)**
**ჯერი ვებერის ღია პირველობა**
**ბალახი. საპრიზო 1 მილიონი $**

ჰალეს ტურნირის ორგანიზატორები ხუთშაბათს, თავიანთი აზრით, ჭკვიანურად მოიქცნენ, როდესაც აშშ-ის ორგზის ჩემპიონის, პატრიკ რაფტერის შეხვედრა ცენტრალური კორტიდან პირველზე დააქვეითეს და 12 500-კაციან არენაზე თანამემამულე დევიდ პრინოშილს მიუჩინეს ადგილი. ვაი, რომ ერთ დროს ფრიადი შოვინიზმით გამორჩეულ გერმანელებს ამჟამად მაღალი პატრიოტული მოტივები აღარ ამოძრავებთ — მაყურებელთა უმეტესობამ ახალი ამბის გაგებაზე გემოზე შეიკურთხა და ათლეტური ავსტრალიელის სანახავად ან ზომით ორჯერ პატარა კორტზე გადაინაცვლა, ან საერთოდ შინ გაემგზავრა.

არადა, ტურნირის შარშანდელ ჩემპიონ პრინოშილს თავიასიანთა მხარდაჭერა დიახაც რომ სჭირდებოდა. შვეიცარიელმა ამომავალმა ვარსკვლავმა როჯერ ფედერერმა პირველ ხელში რამდენიმე სეტ-პოინტი გაადარჩინა, ტაი-ბრეიკზე მეტოქეს კბილებით გამოსტაცა გამარჯვება და ზედიზედ მეორე ტიტულზე მეოცნებე გერმანელი მშრალზე დატოვა 7:6 (10:8), 7:5.

საკუთარი თავით ძალიან კმაყოფილი ვარ, თიხნარიდან ბალახზე გადართვა იოლად შევძელი — აღნიშნა ფედერერმა, რომელიც როლან გაროსზე კარიერაში პირველად გავიდა დიდი სლემის ტურნირის მეოთხედფინალში — თუმცა ისიც ვიცი, რომ მომდევნო წრეში ძალიან გამიჭირდება, ჩემი მეტოქე სულ სხვა ტიპის მოთამაშე იქნება".

ფედერერის ეს სიტყვები ზემოხსენებულ პატრიკ რაფტერს ეხება. მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა ორგანიზატორებზე გულში ბოღმა არ ჩაიდო და შარშან შტუტგარტში მარცხისთვის რუმინელ ანდრეი პაველზე იძია შური — 6:3, 6:3.

მეოთხედფინალში გააღწია ტურნირზე პირველად განთესილმა ევგენი კაფელნიკოვმაც. სოჭელ ჟენიას უიმბლდონზე ციდან ვარსკვლავები არასოდეს დაუკრეფია, თუმცა ჰალეს ბალახთან ფრიად შეხმატკბილებული გახლავთ, 1997-სა და 1998-ში აქ ჩემპიონიც გამხდარა და ამჯერადაც არ იტყოდა უარს გამარჯვებულისთვის განკუთვნილ 137 ათას დოლარზე: „ბალახის სეზონი ისე მოკლეა, უნდა შეეცადო, უიმბლდონამდე მაქსიმალურად ბევრი ითამაშო ახალ საფართან შესაგუებლად, ამიტომ ჰალეში ძალას არ დავიშურებ წარმატების მისაღწევად. ლონდონში პირდაპირ აქედან გავემგზავრები და „ოლ ინგლენდ კლაბში" 5-6 დღე მაინც ვივარჯიშებ".

კიდევ ერთ მასპინძელ რაინერ შუტლერთან შეხვედრაში კაფელნიკოვი მეტად უხეიროდ აწოდებდა და ბლომად ორმაგებიც დაუგროვდა, სამაგიეროდ უკანა ხაზიდან და ბადესთან თამაშში მეტოქე აშკარად დაჩაგრა და 6:4, 6:4 იმარჯვა.

**მერვედფინალი: ფაბრის სანტორო (საფრანგეთი) — სებასტიან გროჟანი (3, საფრანგეთი) 7:5, 7:5; თომას იოჰანსონი (7, შვედეთი) — მაგნუს ლარსონი (შვედეთი) 7:5, 7:5; იონას ბიორკმანი (შვედეთი) — ნიკოლას კიფერი (გერმანია) 7:6 (7:3), 6:7 (4:7), 7:6 (7:1); ნიკოლა ესკუდე (საფრანგეთი) — ტომი ჰაასი (8, გერმანია) 6:3, 6:4; ლარს ბურგსმიულერი (გერმანია) — ჟერომ გოლმარი (საფრანგეთი) 6:4, 4:6, 7:5.**

**ბირმინგემი (ინგლისი)**
**DFS CLASSIC**
**ბალახი. საპრიზო 170 ათასი $**

**მერვედფინალი: ნატალი ტოზია (1, საფრანგეთი) — ალექსანდრა სტივენსონი (აშშ) 6:3, 6:3; ლაიზა რეიმონდი (4, აშშ) — ანასტასია მისკინა (რუსეთი) 1:6, 6:2, 7:6 (7:5); კრისტინა ბრანდი (აშშ) — ტამარინ ტანასუგარნი (5, ტაილანდი) 6:2, 7:5; ელენა ლიხოვცევა (7, რუსეთი) — ტინა პისნიკი (სლოვენია) 4:6, 6:4, 6:3; ვირჟინი რაზანო (საფრანგეთი) — კარა ბლექი (9, ზიმბაბვე) 6:3, 6:7 (4:7), 7:6 (7:3).**

**ავთანდილ სვანიძე**



ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჰელსინკის გრან პრი 2

# ციოდა, წვიმდა, ქროდა, მაგრამ ჟელეზნის უხაროდა

**ფინეთში** ზაფხულის სახეობათა ტურნირი თავსატეხია ორგანიზატორებისთვის. იმ ცივ ქვეყანაში წელიწადის ამ დროშიც წვიმს და ქარი ქრის, ამიტომ გუშინწინ „ჰელსინკის გრან პრი 2"-ზე მძლეოსანთა მეტი წილი შეკრული კოპებით ასპარეზობდა. ჟურნალისტებთან ბარე ათმა რჩეულმა დაიწუწუნა, მშვენიერი სანახაობის მოწყობას ვაპირებდით და ამინდმა გვიმტყუნაო. მაყურებელი იქნებოდა, რადგან ავდარშიც კი ჰელსინკის ოლიმპიურ სტადიონზე 10 ათასი კაცი შეიყარა და მზესა და სითბოში ვითომ სამჯერ მეტი რატომ არ უნდა მისულიყო? ხალხი, პირველ ყოვლისა, თავისიან აკი პარვიაინენს ქომაგობდა, რომელიც მეშუბე ვაჟთა „მსოფლიო ტრიოს" წევრი გახლავთ და დანარჩენი ორიც ჰელსინკიში ჩავიდა: ბერძენი კონსტადინოს გაციუდისი და ჩეხი ოლიმპიური ჩემპიონი და მსოფლიოს რეკორდსმენი იან ჟელეზნი. ჩეხმა ფინეთში პოლონეთიდან გადაინაცვლა, სადაც პრესტიჟული ტურნირი მოიგო.

ჟელეზნიმ ჰელსინკიშიც გაიმარჯვა. მისი შუბი 86,84 მეტრის იქით დაერჭო და პატრონი საამოდ გააოცა. „ჰელსინკიში საერთოდ ცუდად ვტყორცნი — აღნიშნა სახეგახსნილმა ჟელეზნიმ — ამჯერად კი გამომივიდა. მიკვირს, ასეთ ამინდში რომ გავიმარჯვე". გაციუდისმა მეორე ადგილი დაიკავა 84,14 მეტრით, პარვიაინენმა კი ადგილობრივი საზოგადოება დაალონა, რადგან ყველაზე კარგად ნატყორცნი შუბი მხოლოდ 81 მეტრსა და 66 სანტიმეტრს უწვდინა.

ფინელი ცუდ ხასიათზე იყო და თავისი უხეირობის ახსნა არ უცდია, როგორც ეს ოთხმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა გააკეთა. დიახ, ჟელეზნის გარდა სიდნეის ოლიმპიადის სხვა ტრიუმფატორებს ჰელსინკიში უიღბლობის ჟამი ედგათ და მიზეზების ძიებისას ოთხივენი უაღრესად ერთსულოვანნი იყვნენ — ამინდი და მხოლოდ ამინდი! „ჩემს ბებერ ძვლებზე სიცივემ ძლიერ იმოქმედა — თქვა 35 წლის მორწმუნე ბრიტანელმა სამხტომელმა ჯონათან ედვარდსმა — გახურებისას ზურგი და მარჯვენა გვერდი ისე საშინლად ამტკივდა, ხტომაზე ფიქრის თავი აღარ მქონდა". „წვიმის წვეთები საფანტივით მხვდებოდა" — ამას უკვე ეთიოპელი სტაიერი მილიონ ვოლდე ამბობს, რომელიც სიდნეიში 5 000 მეტრზე გაჩემპიონდა და ჰელსინკიში კი 3 000 ირბინა. ვოლდე ფინიშამდე ყოჩაღად გარბოდა, მაგრამ დასკვნითი სპრინტის დაძაბულობას ვერ გაუძლო და სულ ცოტათი ჩამორჩა თვისტომებს, აბიოტე აბატეს (7.46,55) და იუნერ კენესს ბაკელეს (7.46,71). ვოლდეს შედეგი 7.46,80 იყო და ახლა ჩემპიონი მდგომარეობის სასწრაფოდ გამოსწორებას გეგმავს, რისთვისაც რომში, „ოქროს ლიგაზე" სირბილი განუზრახავს.

აბატე და ბეკელე ასე თუ ისე განთქმულნი არიან, ედვარდსს კი სამხტომი ვინმე შვედმა, კრისტიან ოლსონმა მოუგო, როცა 17 მეტრსა და 8 სანტიმეტრზე გადახტა. ბრიტანელი 9 სანტიმეტრით ჩამორჩა და კიდევ ბრიტანელი, ოღონდ მუქკანიანი ლერი ეჩიკი — 11-ით.



REUTERS ჰელსინკიდან

კრისტიან ოლსონის ჰელსინკურ სამხტომთან ოლიმპიური ჩემპიონი ჯონათან ედვარდსიც ვერას გახდა

უიღბლო ოლიმპიურ ჩემპიონებს ჰელსინკში შეუერთდა პოლონელი მეუროე ქალი კამილა სკოლიმოვსკაც, რომელიც კარგა ხნის შემდეგ პირველად დამარცხდა. რუსი ოლგა კუზენკოვა მეორე იყო სიდნეიში და იმის მერე არაერთ სხვა ტურნირზეც, ახლა კი გაუსწრო, თან სოლიდურად: მისი ურო 69,19 მეტრზე გადაფრინდა, სკოლიმოვსკასი — 66,97-ზე, რაც მეორე შედეგი იყო.

აინუნში არ ჩააგდო ავდარი მხოლოდ ბრიტანელმა კრისტიან მალკოლმმა და 100 და 200 მეტრი ზედიზედ მოიგო. ორივე დისტანციაზე მეორემ უწია ფინიშს განელმა აბდულ აზიზ ზაკარმა, ხოლო შვედეთიდან მოსული მსოფლიო ჩემპიონი ფრანგი იუნის ბარბერი ჰელსინკიში სახლიდან ჩაიგდო. ჰაიკე დრეხსლერს, ტატიანა კოტოვას, მარიონ ჯონსისა და ფინელ მეის არჯუნაში მან 6 მეტრი და 67 სანტიმეტრი დაფარა. მისაღებად იყო.

**დავით გულუა**



REUTERS ჰელსინკიდან

ოლგა კუზენკოვას მოქნეული ურო ყველაზე შორს გაფრინდა

ეროვნული ბიბლიოთეკა




REUTERS ბარსელონიდან

# შაკი ბუშტზე

მორიგ ჩემპიონობასთან ახლო მყოფი „ლეიკერსი" კვლავ ფილადელფიაშია და დიდი საკალათბურთო ფინალის მეხუთე მატჩისთვის ემზადება. თქვენ რომ ამ გაზეთს ხელში აიღებთ, ეგებ „ლეიკერსი" უკვე ჩემპიონიც იყოს. „ფილადელფია" — „ლეიკერსი" ჩვენი დროით გამთენიისას დაიწყება. ლოსანჯელესელები 3:1-ს უგებენ ალენ აივერსონს და მის ამხანაგებს. მანამდე კი საკვირველი ეს არის, ეს ბუშტი როგორ უძლებს შაკილ ონილის სიმძიმეს?




REUTERS ფილადელფიიდან

# მონტმელოზე

ამ უქმეებზე, მონტმელოს განთქმულ ტრასაზე, ბარსელონის ახლოში რომ გაუფენიათ, ხუთას კუბურსანტიმეტრიან მოტოძრავათა დიდი ბღუილი ატყდება. თამაშდება კატალონიის დიდი პრიზი. აქ უკვე თავი მოუყრიათ მოტომრბოლებს და მათ გულშემატკივრებს. რბოლის ვეტერანი, ამერიკელი რენდი მამოლა, ესპანელ ჩოგბურთის ვარსკვლავს, არანჩა სანჩეს-ვიკარიოს ებაასება. ესპანელ მრბოლს, სეტე გიბერნაუსს კი ასევე ჩოგბურთელი, ხუან კარლოს ფერერო შემოუსვამს უკან და მონტმელოზე დაატარებს.



REUTERS ტულსადან

# ვუდსი ხალხში

მსოფლიოს საუკეთესო მეგოლფე ტაიგერ ვუდსი ახლოა იმასთან, რომ ზედიზედ მეხუთედ შეიქნას ამერიკის ღია პირველობის გამარჯვებული... მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი შეჯიბრი ტულსაში მიმდინარეობს და წლეულს ასმეერთედ ტარდება. ვუდსი კი ეს-ესაა მორჩა ვარჯიშს და თაყვანისმცემელთა ლაშქარს ურიგებს ავტოგრაფებს.



REUTERS ბარსელონიდან

# საკიკის სამი ჯილდო

ჰოკეის ეროვნული ლიგის წლევანდელი სეზონი გასრულდა და წესისამებრი დარბაზობაც გაიმართა. ამჯერად ჯილდოების ყინულსგარეთა ჩამორიგება ტორონტოში ჩატარდა. წლევანდელ გამარჯვებულთა, „კოლორადო ეველანშის" კაპიტანმა, ჯო საკიკმა კიდევ ერთხელ ასწია სტენლის თასი და პირადი მონაგარიც, ჯენტლმენობისთვის დაწესებული ლედი ბინგის (მარჯვნივ) და უძვირფასესი მოთამაშის, სხვანაირად ჰარტის თასებიც მიიღო.



REUTERS ტორონტოდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ტექნიკური რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი კალათბურთის და ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი ფირაშვილი კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, თამაზ გოგებაშვილი, ელენე გელუტაშვილი, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კაზურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, გურამ ხელაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge